გაზეთი ბევრისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№17 (773) 15 - 17 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

## „ნაციონალმა“ დავით საყვარელიძემ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დატოვა



გედევან ფოფხაძე სამოქალაქო დაპირისპირებას პროგნოზირებს



### პატრიოტთა ალიანსი შემოდგომაზე საპრეზიდენტოსთან ერთად, ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს

### შვილმკვდარი დედის თხოვნა ივანიშვილს — ნაგავსაყრელზე, საკუთარი ხელით აშენებულ ქოხს ნუ დამინგრევენ!

### ფოთის ნავსადგურიდან სახელმწიფო ათეულობით მილიონ ლარს კარგავს!

ტრანზიტული ტვირთების საზღვაო გადაზიდვების კორუფციული სქემა



## SOS! 182-ე საჯარო სკოლაში მეშვიდეკლასელი ბიჭი გააუპატიურეს!



მშობელთა საინიციატივო ჯგუფმა, დირექტორისა და მანდატურების პასუხისმგებლობის მოთხოვნით, განათლების სამინისტროს 4 თებერვალს განცხადებით მიმართა, რაც „ვერსიას“ სამინისტროში დაუდასტურეს...



### ვის შეიძენს ვალერი ხაბურძანია ახალი რუსული პროექტისთვის ქართული პარტიული სახეებიდან?!

გვ. 2

### ნიკა ლალიაშვილი

შეიძლება, წავიდე ამ პარტიიდან, მაგრამ მაშინ საერთოდ, წავალ პოლიტიკიდან

გვ. 5

### კომპანია „ნატახტარი“ ახალი შრომის კოდექსის პრინციპებით 2008 წლიდან მუშაობს

გვ. 7

### დომენტი გაგნიძის პრეპარატებს უცხოელები წარმოებაში ჩასაშვებად ყიდულობენ



გვ. 13

### „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ექსპლოატაციაში შედის

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

გვ. 9

### აფბა 112-ის გადასახადის გაუქმებას ითხოვს

გვ. 7 და გვ. 11

### საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს ქმნის

# ვის შეიძენს ვალერი ხაბურძანია ახალი რუსული პროექტისთვის ქართული პარტიული სახეებიდან?!

ეკა სეხნიაშვილი

**საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი ვალერი ხაბურძანია, 9-წლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ბრუნდება. მას უკვე შეარქვეს „რუსული პროექტი“. რატომ და ვის ინტერესებშია ხაბურძანიას სპეცსამსახურების ყოფილი შეფიდან პოლიტიკური ცენტრის ლიდერად ქცევა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მოსკოვში გახიზნულს, 9 წლის განმავლობაში, სააკაშვილის საწინააღმდეგოდ, თითი არ გაუნძრევია და პოლიტიკის ხსენებაზე ხელებს გველნაკბენივით ასავსავებდა, ახლა ის ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე შემოსვლასა და მესამე პოლიტიკურ ცენტრად დამკვიდრებას ცდილობს?**
**რომელმა პარტიებმა მიიღეს გზავნილი ხაბურძანიასგან, ვინ თქვა უარი რუსულ ვექტორში ჩართვაზე და რატომ დასჭირდა რუსეთს „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ ახალი ძალის ამუშავება?! ჯერჯერობით კი, ფაქტი ის არის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ, მისი მისამართით რუსული ჟურნალისტიკა შხამად იფრქვევა.**



ხაბურძანია რომ რუსული პოლიტიკური ვექტორის უშუალო განმახორციელებელია, არც თავად დაუმალავს. ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიდეც, რომ საქართველოში პრორუსული მიმართულების პარტიების თავმოყრასა და კონსოლიდაციას აპირებს. ქართულ პოლიტიკურ წრეებში მას ისედაც რუსულ პროექტად მოიაზრებენ და ყოველთვის ასოცირდებოდა ეფესბე-სა და გრუ-სთან. მიუხედავად ამისა, თავად ინტერვიუებში მხოლოდ იმით ამაყობდა, რომ რუსეთის პრეზიდენტს, მოსასვენებელ ოთახში, ჭიქას უჭახუნებდა და სადღეგრძელოებით თავს იქცევდა. რა გეგმებს ადღეგრძელებდა საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი პუტინის მოსასვენებელში, ახლა უკვე ძნელად დასადგენია, თუმცა იოლი მისახვედრია, რომ ხაბურძანიას პოლიტიკაში ჩართვა რუსების პირდაპირ ინტერესებში უნდა იყოს და მას არც ის დაუმალავს, რომ საქართველოში რუსულ ორბიტაზე ქართველი პოლიტიკური ძალების დასაბრუნებლად და ამ ძალების კონსოლიდაციისთვის დაბრუნდა. ეს ახალი პარტიული კონგლომერატი, ქართული პოლიტიკის მესამე ცენტრი უნდა გახდეს — ასეთია რუსული გეგმის ნაწილი. ხაბურძანიას ახალმა პარტიამ უნდა მოახდინოს რუსულ ორბიტაზე მყოფი ძალების კონსოლიდაცია და გაფართოება, სხვადასხვა სტრუქტურებში მათი შეღწევა და დიდი პოლიტიკური ცენტრის შექმნა.

უფრო დეტალურად კი, რუსული მესამე ცენტრის თაობაზე, როგორც ამბობენ, პუტინის იმ სამკაციან ვიწრო მაგიდაზე გადაწყდა, სადაც ვალერი ხაბურძანიას სადღეგრძელოს უფლებას აძლევენ. მას მეგობრები ჰყავს რუსეთის უშიშროების საკვანძო პოსტებზე და, როგორც თავად აცხადებს, ამჟამად რუსეთში მძლავრი სააქციო ფინანსური კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტია. აღნიშნული კორპორაცია ფლობს ისეთი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს, როგორიც ,,მოსკოვის საქალაქო სატელეფონო ქსელია“. მისივე მიცემულ ინტერვიუებში კი იმითაც ამაყობს, რომ ამ კომპანიაში რუსეთის ფედერაციის სამართალდამცველ სტრუქტურებთან ურთიერთობა ევალება. ამის შემდგომ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ხაბურძანია რუსეთის გათამაშებული კარტია, თუმცა არა — ჯოკერი.

რატომ დასჭირდათ რუსებს 9-წლიანი პოლიტიკური უმოქმედობის მერე ხაბურძანიას „გაღვიძება“. გასაგებია, რომ მათთვის ყველაზე სანდო ფიგურაა, ახლა მისი ასპარეზზე გამოშვება კი, როგორც ექსპერტები და წყაროები მიუთითებენ, რუსეთს სწორედ გამარჯვებული კოალიციის, „ქართული ოცნების“ გეგმების წინააღმდეგ სჭირდება.

აღნიშნული გადაწყვეტილება კრემლმა მას შემდეგ მიიღო, რაც ივანიშვილმა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ, გამოკვეთილად თქვა უარი საქართველოს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებასა და დასავლური, ევროატლანტიკურ სივრცეზე ორიენტირებული კურსის შენარჩუნების შესახებ საჯაროდ განაცხადა. რუსებს ივანიშვილმა იმედები გაუცრუა, ბიძინამ ისინი პირშიჩალაგამოვლებული დატოვა და დსთ-ზე წიხლი უკრა. არადა, კომპეტენტური წყაროები ამბობენ, რომ რუსეთის ფედერაციიდან ამის შესრულების სანაცვლოდ, სხვადასხვა მიმზიდველი სიგნალები და შემოთავაზებები იყო. ასეა თუ ისე, კოალიციამ „ქართული ოცნება“ დსთ-ში დაბრუნებაზეც უარი თქვა, არც პუტინის ინიცირებული ახალი კავშირი ინდომა და ამიტომაც, რუსებმა თავისი ძველი კადრების ამუშავება დაიწყეს.

**წყაროს ინფორმაციით, ხაბურძანია ჯერ კიდევ არჩევნებამდე ეცადა ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას და „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ ძველი მეგობარი, ნიკა ლალიაშვილი მიუგზავნა იმჟამინდელ შს მინისტრს, ვანო მერაბიშვილს, მაჟორიტარად კენჭისყრაში მომეხმარეთო, თუმცა მაშინ, შეთანხმება ვერ შედგა. მაშინაც ხაბურძანიას გარშემო პრორუსული ვექტორის პარტიებს უნდა მოეყარა თავი და ამ გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე სცადეს. კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ რამენაირად უნდა შესულიყო კახა კუკავა, რომელსაც რუსეთის ფედერაციიდან დამფინანსებლად ალექსანდრე ებრალიძე მოევლინა.**

პარტიის გაძლიერებაზე სოლიდური თანხა, როგორც თავად აღნიშნა, დაახლოებით, 500 000-მდე დაიხარჯა. ებრალიძის კავშირებსა და დონორობას არც კუკავა უარყოფს, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ სრულუფლებიან წევრად მოხვედრასა და „ოცნების“ შიგნით რაც შეიძლება მეტი დასაყრდენის ყოლას ცდილობდა. რას იზამდა კუკავა იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ძალა პროდასავლურ კურსს შეინარჩუნებდა და რუსულ ორბიტაზე არ დაბრუნდებოდა, დღეს ძნელი სათქმელია, მაგრამ გამორიცხული არც ისაა, საკუთარი რესურსების წყალობით, მას კოალიცია შიგნიდან აეფეთქებინა, თავის მაჟორიტარებიანად გაერთიანება დაეტოვებინა, გადაებირებინა და ა.შ. კოალიციის კულუარებში ამბობენ, რომ ივანიშვილის ყურამდე კუკავას ზრახვების შესახებ ინფორმაცია მივიდა და მასთან თანამშრომლობაზე უარი არჩევნებამდე თავად „ქართული ოცნების“ ლიდერებმა თქვეს.

კოალიციაში სრულუფლებიან წევრად ჩარიცხვაზე უარის თქმის შემდეგ, კუკავამ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყო. მაშინ იგი საკუთარი მაჟორიტარი კანდიდატებით მანიპულირებდა კიდეც — თქვენთან შეთანხმების გარეშე დავაყენებო. ივანიშვილს არ უყვარს პოლიტიკური „შანტაჟის“ ენით საუბარი და არც კუკავას გაუვიდა მაჟორიტარებით ვაჭრობა, რადგან ფაქტია, არჩევნების შემდგომ, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი მარტო აღმოჩნდა.

სწორედ ამ ფონზე, ჩნდება რუსულ ორბიტაზე ვალერი ხაბურძანია. მისი გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, ეს იქნება მიმზიდველი და ფულიანი ძალა საქართველოში პრორუსული პარტიების გასაძლიერებლად და გასაფართოებლად, „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ. კუკავამ და ზოგიერთმა სხვა პარტიამ მასთან თანამშრომლობის თაობაზე გზავნილი უკვე მიიღეს.

**არ გახმაურებულა, რომ საქართველოში ვალერი ხაბურძანია სწორედ ამ დავალებით იმყოფებოდა, ამა წლის იანვარში. მაშინ კუკავასგან უშიშროების ყოფილმა მინისტრმა თანხმობაც მიიღო, როგორც ამბობენ, სოლიდური დაფინანსების შეპირების სანაცვლოდ. ხაბურძანიას არც ის დაუმალავს, რომ პრორუსულ პარტიებს ფინანსებს დაახარჯებს. ორივე ერთად კი, „ვერსიის“ წყაროს ცნობით, ნინო ბურჯანაძესთან ეცადა საერთო ენის გამონახვას. ბურჯანაძემ, როგორც ასეთ საკითხებში გამოცდილმა პოლიტიკოსმა, უცებ „გაშიფრა“ ხაბურძანია-კუკავას ტანდემის მიზნები და აღნიშნულ ძალებს თანამშრომლობაზე უარი უთხრა.**

ინფორმაცია შიდაკონსულტაციების შესახებ გარეთ არ გამოსულა, თუმცა ბურჯანაძემ ხაბურძანიას პრორუსულ ცენტრში გაერთიანებაზე უარი თქვა — ასეთია კულუარული დასკვნა. არადა, იგი სწორედ ბურჯანაძეს მოისაზრებდა პრორუსული გაერთიანების ერთ-ერთ შესაძლო ლიდერად. მისი უარის შემდეგ კი კუკავამ ითავა გზავნილების გაჟღერება და რუსულ რელსებზე მდგომი ლოკომოტივის ფუნქციაც სწორედ მას დაეკისრება.

**რუსეთიდან ხაბურძანიას ცენტრთან, სამომავლოდ, თანამშრომლობის გზავნილები სხვა პრორუსულად მოაზრებულმა ძალებმაც მიიღეს: მათ შორის სახელდებიან ირინა სარიშვილი, იგორ გიორგაძის პარტია, ასევე მინდია გულუა, ვალერი კვარაცხელია, ანზორ აბრალავას მივიწყებული „სოლიდარობა“ და ა.შ. ამ პარტიების ნაწილმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო, ნაწილი კონსულტაციების რეჟიმშია, ხოლო ნაწილმაც უკვე თქვა უარი. გარკვეული მესიჯები მიიღო შალვა ნათელაშვილმაც, რომელსაც ხაბურძანიასთან გაერთიანება თითქმის გადაწყვეტილი ჰქონია. გამომდინარე იქიდან, რომ ლეიბორისტულ პარტიას საბიუჯეტო დაფინანსება შეუწყდა, ნათელაშვილს ახლა დონორი სჭირდება, ამიტომაც მისი და ხაბურძანიას „ჩახუტება“, შესაძლოა, მალეც მოხდეს.**

კუკავასა და ხაბურძანიას თანამშრომლობის შესახებ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კუკავა ერთ-ერთი პირველი იყო ქართულ პოლიტიკურ წრეებში, ვინც ღიად დაიწყო „ქართული ოცნების“ კრიტიკა. კიდევ ვის შემოიკრებს საქართველოში პრორუსული ძალის გასაძლიერებლად და „ქართული ოცნების“ საპირწონედ ხაბურძანიას ახალი გაერთიანება, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

## ვერსიანიუსი

### ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა ჟენევაში აღარ გაიმართება



რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის, გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა, ჟენევის ნაცვლად, ევროპის რომელიმე სხვა ქალაქში გაიმართება.

ამის შესახებ ინფორმაცია ზურაბ აბაშიძემ გაავრცელა და განმარტა, რომ ქართულმა მხარემ არ უნდა დაუშვას ჟენევის ფორმატის დასუსტება, რომელზეც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები საქართველოს პარტნიორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით განიხილება.

აბაშიძისვე განცხადებით, კარასინთან გამართულ პირველ შეხვედრაზე განისაზღვრა საწყის ეტაპზე განსჯისა და თანამშრომლობის სფეროები, რომლის ჩამონათვალი ასეთია: სავაჭრო ურთიერთობები, სატრანსპორტო კავშირები, ჰუმანიტარულ-კულტურული კონტაქტები. ტრანსპორტის სფეროში, საუბარია რეგულარული ავიარეისების აღდგენაზე, ასევე სახმელეთო გადაზიდვებზე ყაზბეგი-ზემო ლარსის მარშრუტით. მორიგ შეხვედრაზე კი, მხარეები შეაჯამებენ, რა წინსვლაა ვაჭრობის კუთხით, კერძოდ, ჩვენი პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თვალსაზრისით. შესაძლოა, განიხილონ აღნიშნულ სფეროებში თანამშრომლობის ახალი მიმართულებებიც.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ივანიშვილი თურქეთის პრეზიდენტსა და პრემიერს შეხვდა



თურქეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ აბდულაჰ გიულისა და პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, მეზობელი ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრა, ამ უკანასკნელის რეზიდენციაში გაიმართა. საუბრის ძირითადი თემა ორი მეზობელი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობების გაღრმავება და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები. როგორც პრემიერის პრესსამსახურში აცხადებენ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა თბილ, მეგობრულ გარემოში წარიმართა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში შედგა რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ივანიშვილის შეხვედრა. საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრას წინ უძღვოდა დახვედრის ოფიციალური ცერემონია.

14 თებერვალსვე, გაიმართა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციების მოლაპარაკებები გაფართოებული შემადგენლობით. მხარეებმა რეგიონულ საკითხებზე იმსჯელეს და კეთილმეზობლური პოლიტიკის გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

*„ვერსიანიუსი“*

# „ნაციონალმა“ დავით საყვარელიძემ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დატოვა

## გედევან ფოფხაძე სამოქალაქო დაპირისპირებას პროგნოზირებს



ნინო კომახიძე
პოლიტიკა



**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე საჯაროდ პირველად აფასებს „ნაციონალ“ კოლეგებზე ფიზიკური თავდასხმის ფაქტებს, გმობს ძალადობას, „ოცნების“ სამართალს ბრეხტისეული აზდაკის სამართალს ადარებს და „ვერსიას“ გულწრფელ ინტერვიუს აძლევს.**

— პირდაპირ გეტყვით, ქალბატონზე, პიროვნებაზე, ზოგადად, მოქალაქეზე ძალადობა, ცალსახად, მიუღებელია ჩემთვის! გიგა ნასარიძე ჩემი ახლობელია, მასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, პიროვნულად, წლებია ვმეგობრობთ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო შეხედულებები არ გვაქვს, თანაც ის ცხოველთა სამყაროს წარმოადგენს, მე — ფრინველთა. ის ვირი იყო, მე გედი ვარ.

**— ისე, დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის თვალსაზრისით, ძალიან არაპოპულარულ ადამიანებთან მეგობრობთ.**

— პოპულარობა გიგას თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, მით უმეტეს, იგი არაპოპულარულ განცხადებებს აკეთებს, რომელსაც არ ვეთანხმები. არსებობს სისხლის სამართლის ცნება — ვიქტიმოლოგია, ანუ მსხვერპლის ქცევა დანაშაულის დროს, როცა დამნაშავის პასუხისმგებლობა უფრო დაბალია, თუ მას პროვოცირებას უკეთებენ. ხომ გახსოვთ, „კავკასიური ცარცის წრე“, სადაც აზდაკი ჟუჟუნას ასამართლებს?! ცინიზმით არ ვამბობ.

**— ახლა იმის ხაზგასმას აკეთებთ, რომ ცინიზმით ამბობთ...**

— შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მინდოდა, წინა ფრაზა გადამეფარა. აზდაკი რომ ამბობს ჟუჟუნაზე, ნახეთ, როგორ უთანთალებსო, გახსოვთ?! დამნაშავე ნაპოვნია და დანაშაული დაფიქსირებულიო — ესაა აზდაკის სამართალი. აზდაკი ჟუჟუნას ადანაშაულებს, რომ ის კი არ გააუპატიურეს, აქეთ გააუპატიურა!

**„არ მინდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც დეპუტატებს ფიზიკურად უსწორდებიან და ადამიანებს განსხვავებული აზრის გამო დევნიან!“**

**— მაინც ცალსახად ვამბობ — არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც დეპუტატებზე ფიზიკურად ძალადობენ! არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც განსხვავებული აზრის ადამიანებს ამის გამო დევნიან.**

**— ანუ აღიარებთ ამას?**

— ჯერ მთლად ასეც არ არის, ტფუ, ტფუ, ტფუ! ვიღაცას უნდა, დღეს ასეთი რეალობა შეიქმნას, მე ეს არ მინდა!

**— რეალობა უკვე შექმნილია!**

— თქვენ ხომ იცით, ბიბლიოთეკასთან რა კატეგორიის ხალხიც იყო შეკრებილი?

**— თქვენს მიერ ცოტა ხნის წინ გამოშვებული პოლიტპატიმრების 400-კაციანი ამალა.**

— ეს არის ხალხი, რომელიც გაამწარეს — მაპატიეთ, მაგრამ კონსტანტინეპოლიდან გამოშვებული ხალხისთვის ნაცისტები რომ მიეცათ ხელში, იცით, რას უზამდნენ?! მაგრამ ეს არ გააკეთა კოალიციამ!

**— ვიქტიმოლოგიის თემას თუ გავყვებით — უგულავამ და თაქთაქიშვილმა ხალხი უდავოდ წააქეზეს, მაგრამ ნანა კაკაბაძე წამქეზებელი არ არის, რომელმაც ციხიდან ახლაგამოსული, გამწარებული ხალხი შეკრიბა და „ნაციონალებს“, მათ მწვალებლებს დაახვედრა?!**

— ჩვენ რომ გაგვეკეთებინა თავყრილობა, იცით, რამდენი კაცი იდგებოდა იქ? პირიქით, ჩვენს მომხრეებს, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც, ნამდვილად, მოვუწოდეთ, იქ არ მისულიყვნენ. წამქეზებლობა რა შუაშია, იქ შეიკრიბა ხალხი, ვისაც აქვს კონკრეტული წყენა ნაციონალური მოძრაობის მიმართ და ეს აგრესიულად გამოხატეს. მეც გაბრაზებული ვარ „ნაციონალებზე“, მაგრამ თავს ვერევი და მათ ცემაზე არ გადავდივარ, მაგრამ ახერხებს ამას. გარდა ამისა, არსებობს აფექტური მდგომარეობაც — კაცს 8 წელი ყოველდღე რომ ეძახო, კოჭლი ხარო და მან მოგკლას, შეიძლება, ის კაცი ციხეში არც ჩასვან.

**— ამიტომ ახლა მოვკლათ უგულავა და ვიძახოთ, რომ აფექტში ვიყავით?**

— არა, რას ლაპარაკობთ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. უბრალოდ, „ნაციონალებმა“ იცოდნენ, რომ იქ გამწარებული ხალხი იყო და რატომ წავიდნენ ამ კონფლიქტზე? ამ ხალხისთვის, როგორც წითელი ნაჭერი ხარისთვის, ისე იყო იმ სახეების დანახვა, ვისაც საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების უბედურებას უკავშირებენ. მე ეს აგრესია, ნორმალურ რეაქციად მიმაჩნია.

**— აუცილებლად კონფლიქტი უნდა მომხდარიყო, უსუფაშვილი სააკაშვილთან რომ მისულიყო და ისედაც მოჩვენებითი კოჰაბიტაცია განეახლებინათ, თავისი შეთანხმებებით?**

**— ცუდი იყო ეგ ცემა-ტყეპა, მაგრამ პროცესი იმით დაიწყო, რომ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, „ნაცმოძრაობის“ აქტივი, „სატელიტები“ და „ზონდერები“ ამბობდნენ, 6 თვეში დაბრუნდება ჩვენი ხელისუფლებაო. დავსხედით იურისტები და გავაანალიზეთ, რამდენად იყო ეს კონსტიტუციურად შესაძლებელი — დაბრუნება, როგორც ასეთი, არ მოხდება, მაგრამ მოხდება სამოქალაქო დაპირისპირება. აბა, თუ მინისტრებს გადაგვიყენებენ და პარლამენტს დაშლიან, წავალთ, სახლში დავსხდებით და შევეგუებით კონსტიტუციურ გადატრიალებას?**

**— აბა, რას იზამთ?**

— შინაგანად, მე ვიცი, რასაც ვიზამ! ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას ნებისმიერ შემთხვევაში არალეგიტიმურად ჩავთვლით. უბრალოდ, ამ საკონსტიტუციო პროექტით გამოვრიცხავთ ქვეყანაში კრიზისს და ეს იყო მესიჯი ჩვენგან, ხელისუფლებისგან. ძალიან არ მინდა, განმეორდეს ის, რაც მოხდა 8 თებერვალს, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბებით.

**— კიდევ არის ამის ალბათობა?**

**— თეორიულად, არის — განსხვავებული აზრების გამო, შეიძლება, ერთმა ადამიანმა მეორე გაანადგუროს, ჩვენ კი გაცილებით ლმობიერი ხელისუფლება ვართ, ვიდრე „ნაციონალები“ და რაღაც საკითხებში ეს ცუდია, მაგრამ იმის თქმა, რომ გვინდა, მათ ქუჩაში ურტყამდნენ და ხალხს ასე ეზიზღებოდეს, აბსოლუტურად არასწორია. სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დავით საყვარელიძემ დატოვა! განცხადება შემოიტანა და ეს ამბავი უბრალოდ, გაჟღერდა კომიტეტის სხდომაზე.**

**— რატომ დატოვა?**

— არ ვიცი, ვითომ მე და ეკა ბესელიამ მისი უფლებები დავარღვიეთ?! ხანდახან მგონია, პარლამენტში სხვა ქვეყანაში ამირჩიეს, მერე ის პარლამენტი სულ სხვა სივრცეში გადაიტანეს და გასული 8 წელი საერთოდ არ მომხდარა. კი ბატონო, ნამდვილად მიუღებელია ფრაზა, თუ „ნაციონალები“ ასე იქცეოდნენ, მოდი, ჩვენც ასე მოვიქცეთო, მაგრამ „ნაციონალები“ დიალექტიკის კანონებს საერთოდ უარყოფენ და ამბობენ, მიზეზებზე კი არა, მარტო შედეგებზე გველაპარაკეთო.

**— პოლიტპატიმრების ახალ სიაზე ვისაუბროთ, მაშინ.**

— ახალი არავინაა — იქ არიან ადამიანები, რომელთა განცხადებების შემოგზავნა საჭირო ვადებში ვერ მოხერხდა. ამის მერე ვიფიქრეთ, საერთოდ, აღარ განვიხილავთ ამ განცხადებებსო, მაგრამ ვინც უკვე დაფიქსირებული იყო, მათ განცხადებებს მაინც ვნახავთ, პოლიტპატიმრების ახალი სია კი აღარ იქნება. ახლა ჩვენ იმის სამართლებრივ ფორმას ვეძებთ, რომლითაც ეს კონკრეტული საქმეები შეფასდება.

**— კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი უცვლელია?**

— სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა არ ვიცი, მაგრამ ვიცი, ისინი მხოლოდ ტექნიკურ მასალას მოამზადებენ და აღარ იქნებიან გადაწყვეტილებების მიმღებები.

**— ძველ სახეებს თუ ვიხილავთ ამ ჯგუფში?**

— არა, არა მგონია და ძველ ჯგუფში ჩემი ფავორიტებიც არ მყოლია.



„ამ ფაქტმა დაამტკიცა, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურის კრიზისია“, „ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლები, დემოკრატიის ჩარჩოებს არ უნდა გასცდნენ“, „ვისაც ნერვები არ ჰყოფნის, წავიდეს სახლში და დაისვენოს“... — მსგავსი განცხადებები პოლიტიკოსებმა თუ თანამდებობის პირებმა მას შემდეგ გააკეთეს, რაც ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, საპარლამენტო უმრავლესობა-უმცირესობის დეპუტატების, კობა დავითაშვილისა და სერგო რატიანის მუშტი-კრივს უყურეს. შეფასება გადაჭარბებული ნამდვილად არ არის, ამას ნებისმიერი ის მოქალაქე დაადასტურებს, რომელმაც 13 თებერვალს გადაცემა „არგუმენტებს“ უყურა.

დაპირისპირება გადაცემაში 8 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ორი ლიდერის დებატებს მოჰყვა. რატიანი და დავითაშვილი ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ. კობა დავითაშვილის მიერ სერგო რატიანის „ნაძირლად“, „მკვლელად“ და „არაკაცად“ მოხსენიებამ კი, ეპითეტების ადრესატის განრისხება გამოიწვია. რატიანმა, პროტესტის ნიშნად, ჭიქა დაამსხვრია და გადაცემის დატოვებას აპირებდა, მაგრამ დავითაშვილი მასთან მივიდა და... ყველაფერი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. საბოლოოდ, გადაცემის ორივე სტუმარი, სტუდიიდან ტელეკომპანიის დაცვის თანამშრომლებმა გაიყვანეს.

ინციდენტიდან მალევე, „მაესტროში“ სამართალდამცავები მივიდნენ, რომლებმაც გადაცემის წამყვანი თეა სიჭინავაც დაკითხეს, რომელმაც მომხდარის გამო, მაყურებელს იმავე საღამოს ბოდიში მოუხადა.

## სერგო რატიანი წუხს, კობა დავითაშვილი ბოდიშის მოხდას არ აპირებს




დეპუტატების ფიზიკური დაპირისპირება ტელეგადაცემაში

13 თებერვალსვე, მომხდარის გამო, აღშფოთება გამოხატა სერგო რატიანმა. მან საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა: **„მიუხედავად ზღვარგადასული შეურაცხყოფისა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გავაფრთხილე ბატონი კობა დავითაშვილი, დამშვიდებულიყო, მაინც ვწუხვარ, ეს ინციდენტი რომ მოხდა. ჩვენი მაყურებელი, ჩვენი ხალხი არ უნდა უყურებდეს პოლიტიკოსების ჩხუბს ეთერში“.** ამ ფორმით, საზოგადოებას სერგო რატიანმაც მოუხადა ბოდიში.

სამაგიეროდ, ბოდიშის მოხდას, ოღონდ „მკვლელების წინაშე“, არ აპირებს კობა დავითაშვილი. **„არც მონანიებას ვაპირებ და არც ბოდიშის მოხდას მკვლელების წინაშე. არც იმის თქმას, რომ მეტს აღარ ვიზამ. უნდა ვაღიარო, რომ რატიანს ხელი არ დაურტყია. ხელი მოიქნია, მაგრამ არ მომხვედრია, თუმცა ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და რომ მოენდომებინა, ამას მოახერხებდა. პირველი მე ვკარი ხელი და მისი წაქცევაც არ ამცირებს მას, რადგან ფეხი დაუცდა, აშკარად. პირველად მე შევაგინე. არაფერს ვნანობ, არც ბოდიშის მოხდას ვაპირებ, მაგრამ მზად ვარ, პასუხი ვაგო, როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად“,** — განაცხადა დავითაშვილმა და ისიც დასძინა, რომ მასთან დაკითხვაზე ჯერ არავინ მისულა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თავად გამოცხადდება სამართალდამცავ ორგანოებში და მზადაა, სამართალდამცავებთან, ამ საკითხზე ითანამშრომლოს.

კობა დავითაშვილი, ინციდენტთან დაკავშირებით, უმრავლესობის წევრების მიერ გაკეთებულ შეფასებებსაც გამოეხმაურა: **„ვიცი და მესმის, რომ არსებობს თმენის ვალდებულება, მაგრამ სხვა სხვის ომში ბრძენია. ძალიან რთულია, გამოიჩინო თმენა, როდესაც წააწყდები უსამართლობისა და ცინიზმის ისეთ გამოხატულებას, როგორიც მე ვიხილე. ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ თუ ნერვები ღალატობს ადამიანს, სახლში უნდა იჯდეს, ეს მათი გადასაწყვეტია და ამ გადაწყვეტილებას დავემორჩილები. ბოლო დროს, ჩვენ საჯაროდ გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა“.**

დავითაშვილი აცხადებს, რომ სანამ ქვეყანაში მართლმსაჯულება არ განხორციელდება და სასამართლო სრულიად დამოუკიდებელი არ იქნება, ძალადობის საფუძველი კვლავ იქნება.

დავითაშვილი მიმართავს საპარლამენტო უმრავლესობას და მოუწოდებს, შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის როგორც 8 თებერვლის, ისევე 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენებს.

***„ვერსიანიუსი“***

## დავით საგანელიძე უმცირესობას მოუწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე საკუთარი გუნდის წევრებს მოუწოდებს, უმცირესობის პროვოკაციებს არ წამოეგონ: **„ძალიან ვწუხვარ, რომ ქვეყანაში არსებობს ვითარება, სადაც ადამიანი შეიძლება, იმ პროვოკაციას წამოეგოს, რაზეც საუბედუროდ, საპარლამენტო უმცირესობა მიდის. ეს მოხდა 8 თებერვალს და ეს განმეორდა 13 თებერვალსაც. ძალიან ვწუხვარ, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ხშირად ემოციებს ვერ იკავებენ და ეს დაუშვებელია. ჩემს გუნდს მოვუწოდებ, უმცირესობის წევრების პროვოკაციებს არ წამოეგონ და ასეთი ფაქტები აღარ დავუშვათ".**

*„პირველი“*

## „თუ ნერვებს ვერ თოკავ, სახლში დარჩი და ცოტა დაისვენე“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში მომხდარი ინციდენტი სამარცხვინოა.

**„მაესტროში“ გამომძიებელი უკვე მივიდა, სწორედ ეს არის განსხვავება ჩვენს ხელისუფლებასა და „ნაცმოძრაობას“ შორის. წინა ხელისუფლება ადამიანების მკვლელობის საქმეებსაც კი არ იძიებდა, თავად ინციდენტი აღმაშფოთებელია, როცა პარლამენტში გირჩევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ გაცილებით მეტი უნდა მოითმინო, ვიდრე სხვა მოქალაქეებმა. სირცხვილია, როცა დეპუტატები ასე იქცევიან. არ დავიწყებ საუბარს იმის შესახებ, პირველად, ვინ, რა თქვა და რომელმა დაარტყა, არ აქვს მნიშვნელობა ამ ყველაფერს, მთავარი ისაა, რომ რაც 13 თებერვალს მოხდა, იყო სირცხვილი. კარგად გამოჩნდა, ხალხს ნერვები რა დღეში აქვს“,** — აცხადებს ხიდაშელი.

*„პირველი“*

## თურქი ბიზნესმენის მეუღლე ერდოღანსა და ივანიშვილს მიმართავს



პატიმრობაში მყოფი თურქი ბიზნესმენის, ორჰან აქსუს მეუღლე სოფო ჭუმბურიძე თხოვნით მიმართავს თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ერთობლივ შეხვედრაზე განიხილონ მისი მეუღლის საკითხი.

**„პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა უკვე გადაარჩინა საქართველოში მყოფი თურქები, რომლებიც უსამართლოდ არიან დაპატიმრებულნი, ამიტომ ვთხოვ მას, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას, დააყენოს ჩემი მეუღლის გათავისუფლების საკითხი“,** — აცხადებს სოფია ჭუმბურიძე თურქულ ვებგვერდ „ჰაბერპანთან“ საუბრისას. ამავე პორტალის ცნობით, თურქი ბიზნესმენის, ორჰან აქსუს კომპანია „აქსმშენმა“ საქართველოში 20-ზე მეტი სახელმწიფო პროექტი განახორციელა, თუმცა შემდეგ, მას ფინანსური პრობლემები შეუქმნეს იმის გამო, რომ უარი თქვა თანხის გაღებასა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე. გლდანის ციხის აშენების შემდეგ, მან კუთვნილი 4 750 000 ლარი მოითხოვა, თუმცა ბაჩო ახალაიამ უარი უთხრა და იარაღით დაემუქრა. მოგვიანებით, მისი კომპანიებით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა და 1 850 000 დოლარით დააჯარიმეს. ორჰან აქსუ ქრთამის აღებისა და გადასახადების დამალვის გამო, დააპატიმრეს და მის მიერვე აშენებულ ციხეში, გლდანის მე-8 საპყრობილეში გადაიყვანეს.

*„პირველი“*



# „ეს ადამიანები შურისმაძიებლები და რევანშისტები არიან!.. თუ ისინი იყვირებენ, ჩვენც ვიყვირებთ!“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**რატომ ელოდებოდნენ ოპოზიციის ლიდერები 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან გიგი უგულავას და აწყობდა თუ არა კოალიციას ინციდენტის პროვოცირება, რა წინადადებით მივიდა პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის რეზიდენციაში და რატომ ითხოვს უმრავლესობა 2013 წლის ოქტომბრის კონსტიტუციის ვადამდე ამოქმედებას, „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი პასუხობს.**

## რას ახსენებს დავით დარჩიაშვილი ბიძინა ივანიშვილს

— წმინდა პოლიტიკური და მიზეზ-შედეგობრივი კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი ხუთშაბათს, 7 თებერვალს დაიწყო, როცა უმრავლესობამ პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა. არადა, დავით უსუფაშვილისგან ვიცოდით, ყველაფერი შეთანხმებული და დანიშნული იყო და მხოლოდ წვრილმანი დეტალები ზუსტდებოდა. პრეზიდენტის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე კი ვიგებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოვა მანამ, სანამ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით, უმცირესობა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ფაქტობრივად, პარლამენტის თავმჯდომარე ულტიმატუმის ენით გველაპარაკებოდა, რამაც, საბოლოო ჯამში, ბიბლიოთეკასთან შეტაკების პროვოცირება მოახდინა.

**— პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის გადადებას ბიბლიოთეკასთან ინციდენტის პროვოცირებით უპასუხეთ? კადრებში კარგად ჩანს, როგორ აქეზებს გიგი უგულავა თანაგუნდელებს და მიზანმიმართულად, პოლიტპატიმრებისკენ მიდის...**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩვენი პასუხი იყო, რადგან პროცესი ჩვენგან მართული არ ყოფილა. პირიქით, ნანა კაკაბაძე, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ მჭიდრო კონტაქტშია, ბიბლიოთეკასთან პრეზიდენტისთვის გზის ჩაკეტვას კურირებდა. მარტივია, თუ უმრავლესობას 8 თებერვლის ინციდენტი არ აწყობდა, პარლამენტში პრეზიდენტისთვის უნდა მოესმინა. საერთოდ, ბიძინა ივანიშვილს მსგავსი აჟიოტაჟი აწყობს, რადგან ფიქრობს, სიტუაციიდან წაგებულები ჩვენ გამოვდივართ. მას სურს, მუდმივ სტრესში გვამყოფოს და ამ გზით წელში გადაგვტეხოს, მაგრამ მას ფიზიკის კანონს შევახსენებ: რაც უფრო დიდია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა. თუ ისინი იყვირებენ, ჩვენც ვიყვირებთ!

**— და ასე წარმოგიდგენიათ ყბადაღებული კოჰაბიტაცია? თქვენგან განსხვავებით, დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის დაწყებული მოლაპარაკება კონსტიტუციაზე შეთანხმების მიღწევით დასრულდება.**

— რა თქმა უნდა, ეს კოჰაბიტაცია არ არის, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვეულებრივი კრიმინალური ქცევაა.

**საერთოდ, კრიმინალურ სამყაროში მიღებულია წესი, ოპონენტს ჯერ „მიაწვე“, შემდეგ, ცოტა ხნით ამოასუნთქო და ამ რეჟიმში გყავდეს მანამ, სანამ მიწასთან არ გაასწორებ. დააკვირდით, როგორც კი კოალიციის მხრიდან ჩვენზე ზეწოლა პიკს მიაღწევს და დასავლეთიდან შემოგვითვლიან, რომ ეს ცივილური ქმედება არ არის, კოჰაბიტაციაზე საუბარს იწყებენ, თუმცა მალევე, ზეწოლის მსხვერპლნი ვხდებით. დავით უსუფაშვილის რეზიდენციაში ვიზიტსაც კრიმინალების ლოგიკას შევადარებ. იმედი არ მაქვს, მოლაპარაკებების დაწყება კონკრეტულ შედეგამდე მიგვიყვანს, რადგან მათ მენტალური პრობლემა აქვთ, როგორმე მოწინააღმდეგე დაჩაგრონ ან „დააჩმორონ“. ჩემი აზრით, ეს, უბრალოდ, დროებით გათვლილი ნაბიჯია, რომელშიც დავით უსუფაშვილს იყენებენ, მომავალში კი, შექმნილი ვითარების მიხედვით იმოქმედებენ. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, „ოცნებას“ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად თანაარსებობის სურვილი არ აქვს, ისინი ფიზიკურ ზიზღს განიცდიან ჩვენდამი, მაგრამ დროა, მიხვდნენ, რომ ჩვენთან თანაცხოვრება დიდხანს მოუწევთ. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ბიძინა ივანიშვილის საგარეო პოლიტიკა რუსეთისკენაა მიმართული.**

**— გაუგებარია, ნაციონალური მოძრაობა მზადაა, კონსტიტუციურ ცვლილებებს მხარი დაუჭიროს, „ოცნება“ კი პრეამბულაში დასავლურ საგარეო კურსს აფიქსირებს. რატომ ადარებთ მოლაპარაკებებს კრიმინალურ ქმედებას, კიდევ რა საკითხები განიხილება ფარდისმიღმა?**

— პრეამბულაში საგარეო კურსის დაფიქსირება, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი ბრძოლის შედეგია. უმცირესობის წარმომადგენლებს გვაქვს განცდა, რომ ხელისუფლებას ჩვენი ფიზიკურად განადგურების სურვილი აქვს. დღემდე არ დასრულდა საუბრები 26 მაისსა და 7 ნოემბერზე, თითქოს ცალკეული პოლიციის მაღალჩინოსნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, სრულიად პოლიტიკური სპექტრი უნდა გასამართლდეს. აი, სწორედ, ეს არის ველური ქმედება. დასავლეთი „ნაციონალებს“ იმიტომ კი არ გვიჭერს მხარს, რომ სიწმინდის განსახიერება ვართ. უბრალოდ, „ოცნების“ ქმედებებს ველურობად აღიქვამენ. დიახ, ეს ადამიანები შურისმაძიებლები და რევანშისტები არიან, რომლებიც დღემდე ვერ ინელებენ არა მხოლოდ 2007 წლის 7 ნოემბერს, 2003 წლის 23 ნოემბერსაც.

**— ფიქრობთ, საზოგადოებამ 7 ნოემბერი ან 26 მაისი უნდა დაივიწყოს. მით უმეტეს, 26 მაისის დარბევა მსხვერპლით დასრულდა?!**

— აღნიშნული საქმეები ერთხელ უკვე გამოიძიეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას უფლება აქვს, საქმე განაახლოს. იმედი მაქვს, კონკრეტულ ფაქტებს წარმოადგენენ, რაც საბოლოო ჯამში, სასამართლომ უნდა განიხილოს. არავინ ამბობს, რომ დამნაშავეს ხელი უნდა დავაფაროთ, თუმცა სრულიად პოლიტიკური გუნდის გასამართლება არაცივილური ქმედებაა. ჩვენ სწორედ იმ „სამართლებრივ ზეწოლას ვუპირისპირდებით“, რომელიც თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით „იკერება“. მაგალითად, სამართლიანია, ოფიცერი ჯარისკაცების მკაცრ გაწვრთნაში დაადანაშაულო? თუ ვინმემ 7 ნოემბერს ან 26 მაისს აქციის მონაწილეების დაშლისას, უფლებამოსილებას გადაამეტა, კი, ბატონო, უნდა გამოიძიონ და გაასამართლონ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე შემთხვევაში, პოლიციური ძალების ნაწილი მოქმედებდა და არა მთლიანად სისტემა.

**— გვიმტკიცებთ, რომ სპეცრაზმი მაშინ მინისტრის ბრძანების გარეშე მოქმედებდა და ვანო მერაბიშვილმა, რომელიც დღეს თქვენი პარტიის გენერალური მდივანია, პასუხისმგებლობა არ უნდა გაიზიაროს?**

— 26 მაისის დაშლის გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერი იყო. მომიტინგეები, როგორც შეეძლოთ, შეიარაღდნენ და პოლიციას დაუპირისპირდნენ.

**რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, შესაძლოა, 26 მაისისა და 7 ნოემბრის აქციების დაშლის საქმეში მან პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს, ხოლო თუ სამართლებრივად უფლებამოსილების გადამეტებაზე ვსაუბრობთ, პროკურატურამ ბრალდების დამამტკიცებელი შესაბამისი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს. ზოგადად, ქვეყანაში, სადაც პოლიცია უმოქმედოა და ოპონენტების წინააღმდეგ კურტანიძისნაირებს თავისუფლად მიუშვებს, იქ ცივილიზაციაზე საუბარი ზედმეტია. ჯერჯერობით, ხელისუფლება ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სასაცილო ბრალდებებს გვთავაზობს. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, გაიხსენოს, ვინ რას ანგრევდა და შემდეგ, დასდოს ბრალი დეპუტატს ფოთის მერობის პერიოდში „გარაჟის“ უკანონოდ დანგრევაში.**

ამასთან, გიგი უგულავას ბრალს ხალხის დასაქმებაში სდებენ. თუ ეს დანაშაულია, იმ ხელისუფლების თვალში მაინც ნუ იქნება, რომელიც მთელ საქართველოში, მასობრივად, საკუთარ აქტივისტებს ასაქმებს. უგულავაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიმაჩნია ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარებას „ბანკ ქართუსა“ და პირადი კაპიტალით ცდილობს. ასე რომ, თუ პროკურატურას უგულავასთან კითხვები აქვს, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაიბაროს. გიგი უგულავას უფლება უნდა მისცენ, ახსნა-განმარტებები მისი სამუშაო კაბინეტიდან გააკეთოს, თუ არადა ძალის გამოყენებით წაიყვანონ და აბა, ერთი ვნახოთ, რა რეაქცია მოყვება ამ ყველაფერს.

**— თქვენი განცხადება ულტიმატუმს ჰგავს, რატომ უნდა სარგებლობდეს ქალაქის მერი პრივილეგიით და რატომ უნდა აკითხავდნენ გამომძიებლები მას კაბინეტში?**

— ულტიმატუმებისა და ზეწოლების პირობებში ოქტომბრიდან მოყოლებული ვცხოვრობთ. გიგი უგულავამ განაცხადა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობა მხოლოდ ამ ფორმით შეუძლია და თუ კოჰაბიტაციაზე ვსაუბრობთ, მისი პრინციპებიც უნდა დავიცვათ. ასე რომ, თუ კითხვები აქვთ, მერიაში მივიდნენ და დაკითხონ. როცა გიგი უგულავაზე ამდენს საუბრობენ,

**მაინტერესებს, რატომ სიტყვა არ დაცდენია ხელისუფლებას ნანა კაკაბაძეზე, რომელიც, არ მომერიდება და, პირდაპირ ვიტყვი, დამნაშავეა! იგი აყალიბებს ფორმირებას, რომელიც, ჯერჯერობით, ცივი იარაღითაა შეიარაღებული, თუმცა არ გამოვრიცხავ, მალე „ცხელი“ იარაღიც აღმოაჩნდეთ. აი, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. მართალია, ვერ ვიგებ, დღეს ვინ აკონტროლებს ქუჩას მელორ ვაჩნაძე თუ ნანა კაკაბაძე, მაგრამ ის ფორმალურად მაინც, თანამდებობის პირი არ არის. ლუკა კურტანიძე კი პოლიციის აკადემიის რექტორია, ამიტომ როცა ის პირად განცდაზე საუბრობს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ოპოზიციასა და პრეზიდენტთან ფიზიკური ანგარიშსწორების სურვილი აქვს, ამასთან, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ნებისმიერ ვანდალურ ქმედებას ამართლებს, როგორც მინიმუმ, თანამდებობა არ უნდა დატოვოს?!**

იმედი მაქვს, ხელისუფლება მალე მიხვდება, რეალურად, რა არის მისი მოვალეობა და როგორ უნდა იქცეოდნენ ქვეყნის პირველი პირები.

**— პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრას დავუბრუნდეთ. ითქვა, რომ რეზიდენციაში დავით უსუფაშვილმა ახალი წინადადება წამოაყენა...**

— საუბარი იყო იმაზე, რომ კონსტიტუციის ამოქმედება, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში შევა ძალაში, უნდა დაჩქარდეს. რამდენად შესაძლებელი იქნება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ამაზე დამატებით უნდა შევთანხმდეთ. საერთოდ, ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენ ხალხის წინააღმდეგ არ წავალთ. ბიძინა ივანიშვილის მთავრობა სწორედ ხალხმა აირჩია, ამიტომ სანამ რეიტინგი არ გვიჩვენებს, რომ ამ მთავრობამ საზოგადოებას იმედები გაუცრუა, მორალზე რომ არაფერი ვთქვათ, პრაგმატულადაც ვერ დავუპირისპირდებით და ხელისუფლებიდან მის წასვლასაც ვერ მოვითხოვთ. ასე რომ, ამ მიმართულებით შეუძლიათ, ჯერჯერობით, მშვიდად იყვნენ.

ეკა სეხნიაშვილი

**„ქრისტიან-დემოკრატებს“ კრიზისული პერიოდი უდგათ. გრიგოლია, გაბუნია, სამუშია პარტიიდან უკვე ოფიციალურად წავიდნენ. პოლიტიკურ წრეებში კიდევ ერთ მოსალოდნელ პოლიტიკურ გადაადგილებას ნიკა ლალიაშვილს უწინასწარმეტყველებენ. ლალიაშვილი უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას ძველი მეგობარია ჯერ კიდევ უშიშროების სამინისტროდან. ხაბურძანია საქართველოში ჩამოდის და პარტიას აფუძნებს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს „ქრისტიან-დემოკრატების“ პოლიტიკური მდივანი, პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. „ვერსია“ მას სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრა.**



# ნიკა ლალიაშვილი: შეიძლება, წავიდე ამ პარტიიდან, მაგრამ მაშინ საერთოდ, წავალ პოლიტიკიდან

**— ბატონო ნიკა, პოლიტიკურ წრეებში კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეგობარ ვალერი ხაბურძანიასთან წახვალთ.**

— ვალერი ჩემი ძველი მეგობარია. მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი სამსახური მიუძღვის ვალერი ხაბურძანიას საქართველოს წინაშე, დაწყებული პანკისის ხეობიდან, სადაც პირადად მისი ხელმძღვანელობით, საიუვილერო სიზუსტით ჩატარდა ურთულესი ოპერაცია, როცა საქართველო გადარჩა სერიოზულ კრიზისს. ვალერის დამსახურებაა ისიც, რომ ტყვიის გასროლის გარეშე მოხდა ძალიან რთული პოლიტიკური პროცესების განხორციელება.

**— „ვარდების რევოლუციას“ გულისხმობთ?**

— კი, იმ მოვლენებსა და პროცესებთან დაკავშირებულ პერიპეტიებს. ვალერი ხაბურძანია იყო პირველი მინისტრი, რომელმაც დემოკრატიული ტიპის ღირებულებები მოიტანა ისეთ დახურულ სისტემაში, როგორიც იყო უშიშროების სისტემა.

**— თუმცა მაშინ, ეს ვალერი ხაბურძანიას უმოქმედობად ჩაუთვალეს. ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის სხდომათა დარბაზში უშიშროების მინისტრმა შეაცილა და კარი გაუღოო...**

— ეს აბსურდული ბრალდებები იყო. სხვათა შორის, ვალერი ხაბურძანიას სახელს უკავშირდება უშიშროებაში ძლიერი გუნდის მოყვანა, რომლის წევრებიც არიან დღეს ცნობილი ფიგურები ირაკლი ალასანია, ლაშა ნაცვლიშვილი და ა.შ. სწორედ ამ გუნდის ერთიანი მუშაობის შედეგად ხორციელდებოდა მაშინდელ უშიშროებაში რეფორმისტული პროცესი.

**— ირაკლი ალასანია და ხაბურძანია მეგობრობენ? ანუ ხაბურძანიამ მოიყვანა ალასანია სამუშაოდ უშიშროებაში?**

— რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანია იყო ვალერი ხაბურძანიას პირველი მოადგილე.

**— საინტერესო პასაჟია... თქვენც მაგ დროს მიხვედით ხომ უშიშროებაში?**

— კი.

**— ხაბურძანია ახლა პოლიტიკაში ბრუნდება და ახალ პოლიტიკურ ძალას აფუძნებს, რომელიც პრორუსული ვექტორის იქნება. თქვენ ფიქრობთ, საქართველოს სჭირდება პრორუსული ორიენტაციის პარტია?**

— ვფიქრობ, ვალერის უნდა ჰკითხოთ თვითონ მისი პოლიტიკური შეხედულებებისა და გეგმების შესახებ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი კარგია, რაც არის ლეგალური და არაა ფარული. უბედურება იწყება იქ, როცა ადამიანები მალავენ თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას და ფარულად ცდილობენ რაღაცის გაკეთებას. ვალერი ის ადამიანია, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში არსებობს პრორუსულად მოაზროვნე ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც ლოიალურადაა განწყობილი რუსეთის მიმართ და ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, სჭირდება პოლიტიკური გაფორმება. ყველაფერი უნდა იყოს ღია. ეს მისი ლეგიტიმური უფლებაა.

**— ვალერი ხაბურძანიასთან ხომ არ გიხილავთ პოლიტიკურ გუნდში. „ქრისტიან-დეოკრატებს“ ახლა კრიზისული პერიოდი აქვთ. ამ პარტიის მომავალი როგორ გესახებათ?**

— ვაღიარებ, „ქრისტიან-დემოკრატები“, როგორც პარტია, არ არის საუკეთესო ფორმაში, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ პარტიას აქვს თავისი ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული ნიშა. მას ჰყავს თავისი ამომრჩეველი, რომელიც პოლიტიკური რადიკალიზაციის გამო, პრაქტიკულად, გადანაწილდა სხვა მიმართულებაზე. დიდხანს არ შეიძლება ვიყოთ იმ მდგომარეობაში, რაშიც არის დღეს ჩვენი ქვეყანა. ერთ მხარეს უნდა ყბაში მოხვდეს მუშტი, მეორე მხარესაც უნდა, რომ ცხვირში მოახვედროს და ამას ადამიანები ტელევიზიით უყურებენ, როგორც პოლიტიკურ შოუს. ეს ყველაფერი დიდხანს ვერ გაგრძელდება. როგორც კი დაიწყება ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაცია და ადამიანები როცა დააკვირდებიან პროგრამებს და არა პერსონებს, „ქრისტიან-დემოკრატები“ დაიბრუნებენ თავის ნიშას.

**— „ქრისტიან-დემოკრატებს“ დღევანდელმა ხელისუფლებამ უკვე დაგიმკვიდრათ სააკაშვილ-მერაბიშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციური პარტიის იმიჯი. მოახერხებთ ამ იმიჯის მოშორებას?**

— ვფიქრობ, დიდი ხანია, საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ეს იარლიყი იყო თითიდან გამოწოვილი. სააკაშვილი და მერაბიშვილი მალე გავლენ პოლიტიკური სცენიდან, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატები“ დარჩებიან. ჩვენ მათთან სერიოზული ოპონირება გვქონდა. სააკაშვილის პერიოდში პოლიტიკოსი კარნახობდა ბიზნესმენს თამაშის წესებს. იმედია, ეს მავნე პრაქტიკა აღარ გაგრძელდება.

**— პარტიიდან წავიდნენ სამუშია, გრიგოლია, გაბუნია.. რა ხდება თქვენთან?**

— ადამიანი რაღაც მომენტში იღებს გადაწყვეტილებას. შეიძლება, ეს გადაწყვეტილება იყოს რთული, შეიძლება, იყოს პრაგმატული მოტივებით ნაკარნახევი... შესაძლოა, სულაც ირაციონალური... რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებებს. ვალერი ხაბურძანიას ჩემთვის ჯერ არაფერი შემოუთავაზებია. მე ვარ „ქრისტიან-დემოკრატი“. შეიძლება, წავიდე ამ პარტიიდან, მაგრამ მაშინ საერთოდ, წავალ პოლიტიკიდან. ჩემთვის პოლიტიკა ასოცირდება ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან.

**— „არასოდეს თქვა არასოდეს“ — მით უმეტეს, პოლიტიკაში.**

— არ მივეკუთვნები, ამ გაგებით, სუფთა ჯიშის პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთი პარტიიდან მეორეში დახტუნავენ. ეს ჩემი სტილი არ არის.

**— ხაბურძანია თბილისში რომ დაბრუნდება, ალბათ, დახვდებით მას.**

— რა თქმა უნდა. ვალერი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. მაშინაც კი, როცა იგი საქართველოში არ იმყოფებოდა, ჩვენ ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. მეგობრულად შეიძლება ვინმეს დავუდგე მხარში.

**— მესამე პოლიტიკური ძალის ნიშა თავისუფალია. ექსპერტები უკვე ვარაუდობენ, რომ ამ ნიშას, ადრე თუ გვიან, ალასანია დაიკავებს, რომელთან ერთადაც არ გამოირიცხება სხვა პოლიტიკური ძალების ხილვაც... „ქრისტიან-დემოკრატებზეც“ იყო საუბარი...**

— მე ძალიან არ მიყვარს პოლიტიკური პროგნოზების კეთება, თუმცა ამას მომავალი გვიჩვენებს.




# ერთი ნაბიჯი წინ, სამი მეოთხედი ნაბიჯი — უკან

ჯი. ი.

The Economist

შეთანხმება, რომ საქართველოს ლიდერები ხელისუფლებას გაიზიარებდნენ, სათანადოდ ვერ სრულდება. ბოლო დაპირისპირება იმით დაიწყო, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის პარლამენტის თანხმობის გარეშე, ახალი მთავრობის დანიშვნის უფლება შეეზღუდა. ამას კონსტიტუციური უმრავლესობა, კერძოდ კი 100 დეპუტატის ხმა სჭირდება. „ქართული ოცნების“ კანონმდებლებმა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში 85 მანდატი მოიპოვეს. ბ-ნი სააკაშვილის არაერთგზის განცხადებამ, რომ ის არ აპირებს ამ უფლებამოსილების გამოყენებას, ისინი ვერ დაამშვიდა.

4 თებერვალს, საპარლამენტო უმრავლესობამ მხარდაჭერის თხოვნით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს მიმართა. ეს ულტიმატუმს ჰგავდა: დაგვთანხმდით და ჩვენ ვიმუშავებთ თქვენთან სხვა საკითხებზეც; უარს იტყვით – მომავალში, რაიმე ტიპის თანამშრომლობის იმედი ნუ გექნებათ. როდესაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ თამაშზე უარი თქვა, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა 7 თებერვალს მხარი დაუჭირეს ბ-ნი სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მიმართვის გადადებას, რაც მეორე დღეს უნდა გამართულიყო. საპასუხოდ, სააკაშვილმა თავისი მიმართვის წაკითხვა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაიცემა, თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკიდან დაგეგმა.

პროტესტანტებმა შეკრება 8 თებერვალს შუადღიდან დაიწყეს. მათ შორის იყვნენ ყოფილი „პოლიტიკური პატიმრები“, რომლებიც მთავრობის ამნისტიის შედეგად ახლახანს გამოვიდნენ ციხეებიდან. პოლიციის პატრული სუსტი იყო. თბილისის მერი გიგი უგულავა და მისი მიმდევრები ხალხის მასის გარღვევასა და შენობის მთავარი შესასვლელისკენ გზის გაკვალვას შეეცადნენ. რისხვამ იფეთქა და მუშტების ქნევაც დაიწყო. ხუთი ადამიანი დაშავდა. სააკაშვილმა გადაწყვიტა, თავისი სიტყვა პრეზიდენტის სასახლიდან წარმოეთქვა.

მხარეებმა უმალ ხელი ერთმანეთისკენ გაიშვირეს. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა, „ნაციონალმა“ გიგა ბოკერიამ ამ ფაქტს „საშინელი და სამარცხვინო“ უწოდა. ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დემონსტრანტების პროვოცირებაში უგულავა დაადანაშაულა. „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ყველაფერი საკუთარ წარსულ ქმედებებს და საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

დაძაბული ატმოსფეროს მიუხედავად, სააკაშვილის გამოსვლა შედარებით თავშეკავებული იყო. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, დავით უსუფაშვილმა, ძალადობა დაგმო. მეორე დღეს ანალოგიურად მოიქცა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, გამოხატა რა მზადყოფნა „გონივრულ დათმობებზე“ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან. სააკაშვილმა მხარეებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით სასწრაფო მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა. დიალოგის გაგრძელებაზე ორივე მხარე დათანხმდა.

მიუხედავად ამისა, კონსტრუქციული ტონი დიდხანს ვერ შენარჩუნდა. სააკაშვილის განცხადებებს პოლიტიკურ დევნაზე 10 თებერვალს ივანიშვილის პასუხი მოჰყვა. პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტი „კიდევ ერთი ტყუილის გავრცელებაში“ დაადანაშაულა. (ახლახან გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში, ივანიშვილმა BBC-ს უთხრა, რომ სააკაშვილი „პროფესიონალი მატყუარაა“). ვერ შეძლო, მიებაძა უსუფაშვილის სიმშვიდისთვის მათ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, სააკაშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ დემონსტრაციას უწოდა „ქართული ოპოზიციის ლიდერების მიმართ მასობრივი ანგარიშსწორება კრიმინალთა ბანდის მხრიდან რომლებიც ციხეებიდან გამოუშვეს“. **„პოლიტიკურ საკითხებზე ქუჩის ბრძოლებიდან ფართომასშტაბიან კატასტროფამდე ერთი ნაბიჯია“,** — დასძინა მან.



პოლიტიკური ტემპერატურა, 8 თებერვლის მოვლენებამდეც იწევდა. თებერვლის დასაწყისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ვანო მერაბიშვილმა (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი) აქტივისტებს მუქარისშემცველი ტერმინებით უთხრა, რომ საჭიროა მთავრობის „დასუსტება“ და ამით „საქართველოს დასუსტების“ თავიდან აცილება. კიდევ ორმა დეპუტატმა დატოვა გასულ კვირაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქცია, რამაც ამ პარტიის მომავალზე შიში ხელახლა გააჩინა.

ჯერჯერობით, გაცილებით მეტი სივრცეა შეთანხმებისთვის ამ ორ მხარეს შორის, ვიდრე ეს მათი ლიდერების რიტორიკიდან ჩანს. ორივე მხარე თანხმდება ქვეყნის დასავლურ ორიენტაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი მანამდე საპირისპიროს ამტკიცებდა. სააკაშვილი მზადაა, დათმოს პრეზიდენტის ზოგიერთი უფლებამოსილება.

როგორც 4 თებერვალს, ამერიკის ელჩმა აღნიშნა, პოლიტიკური მტრობა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას აზიანებს. ხშირად, პოლიტიკა საქართველოში იმ გზით ვითარდება, რასაც ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატი „ქართულ ბორძიკს“ უწოდებს: ერთი ნაბიჯი წინ, სამი მეოთხედი ნაბიჯისა – უკან. ქვეყნის ლიდერებმა უნდა აჩვენონ მსოფლიოს, რომ მათ ცეკვა შეუძლიათ.

## ეკა ბესელია: „კობა დავითაშვილის ლოყაც და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიც კანონით ერთნაირად უნდა იყოს დაცული“



ამის შესახებ ბესელიამ უმცირესობის წევრის სერგო რატიანისა და უმრავლესობის წარმომადგენლის, კობა დავითაშვილის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტის შეფასების განაცხადა.

**„როდესაც დეპუტატი რატიანი ვნახეთ, როგორ სცემდა მოქალაქეს, როგორ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა კოლეგას დეპუტატ დავითაშვილს, ეს მიმაჩნია კანონდარღვევად და ამ ფაქტს სჭირდება სამართლებრივი რეაგირება. არ მგონია, რატიანი იყოს იმ ადამიანთა რიცხვში, ვინც თავს კანონზე მაღლა აყენებს“,** — აცხადებს ბესელია.

მისივე თქმით, ბოდიშის მოხდა არაა ინდულგენცია, ეს არის ჟესტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამართლებას.

*„ინტერპრესნიუსი“*



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# ფოთის ნავსადგურიდან სახელმწიფო ათეულობით მილიონ ლარს კარგავს!



## ტრანზიტული ტვირთების საზღვაო გადაზიდვების კორუფციული სქემა

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ყოველწლიურად, ათეულობით მილიონ ლარს კარგავს იმის გამო, რომ საზღვაო ნავსადგურებშიც ისეთივე კორუფციული სქემა მოქმედებს, როგორიც „საქართველოს რკინიგზაში", ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვის დროს. „ვერსიასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გია ხუხაშვილმა აღნიშნა, რომ ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვებიდან, სახელმწიფომ სოლიდური შემოსავალი უნდა მიიღოს. შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზა" გენერალური კონტრაქტორი, ხოლო ბიზნეს-კომპანიები ქვეკონტრაქტორები უნდა იყვნენ. ანალოგიური სიტუაციაა საზღვაო ნავსადგურებშიც, სადაც ტრანზიტული ტვირთების შემოსავლებს საექსპედიტორო ბიზნეს-კომპანიები ინაწილებენ, სახელმწიფო ბიუჯეტი კი სოლიდურ შემოსავალს კარგავს. „ვერსიას" საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი პეტრე ბერაია ესაუბრება.**

ფოთის საზღვაო ნავსადგური საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი არ ყოფილა. რეალურად, პრივატიზებულიც არ არის, 35-წლიანი მართვის უფლებით, იჯარით არის გაცემული. პეტრე ბერაიამ აღნიშნა, რომ ნავსადგურში განთავსებულია ტვირთების მიმღები და გამგზავნი საექსპედიტორო ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც ნავმისადგომებზე დომინირებენ და ყველა ოპერაციას ასრულებენ:

**„არადა, ნავსადგურის ფუნქციაა, მიიღოს ტვირთი, გადმოტვირთოს, ან დატვირთოს და შესაბამისად, ტვირთმიმღებისკენ მიმართოს. ამისათვის ნავსადგურს გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, ამწე-მექანიზმები, დოკერ-მექანიზატორთა ბრიგადები, ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები, მაგრამ ამ ყველაფერს საექსპედიტორო ბიზნეს-კომპანიები იყენებენ. ნავსადგური კი მთელ ამ ინდუსტრიაში, მხოლოდ სტუმრის ფუნქციას ასრულებს. სამწუხაროდ, ეს ბიზნეს-კომპანიები, ხელშეკრულების თანახმად, 1 ტონა ტვირთის გადამუშავების შემთხვევაში, გარკვეულ თანხას უხდიან, მაგრამ საბაზრო ღირებულებაზე, ბევრად იაფად. პირობითად, თუ 1 ტონა ტვირთის გადამუშავება 8 აშშ დოლარია, ნავსადგურის ადმინისტრაციას 3-4 აშშ დოლარს უხდიან. აი, ამიტომ ვამბობ, რომ თუკი ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში, „საქართველოს რკინიგზა" უნდა იყოს მთავარი კონტრაქტორი, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ნავსადგური იყოს ძირითადი მოთამაშე, ხოლო ეს ბიზნეს-კომპანიები — ქვეკონტრაქტორები".**

მართალია, ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვაში ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციას მთავარი ფუნქცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ საინტერესოა, რას კარგავს სახელმწიფო ახლა, როდესაც ამ ტვირთების შემოსავალი მთლიანად საექსპედიტორო ბიზნეს-კომპანიებს რჩება:

**„სახელმწიფო ათეულობით მილიონ ლარს კარგავს! ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, დღე-ღამეში, 10 000 ტონა ტვირთის დამუშავება შეუძლია. ტვირთი დამუშავებულად ითვლება მაშინ, როდესაც დატვირთავ, დამღას დაადებ და ნავსადგურის ტერიტორიიდან გაიყვან. ერთ დღეს რომ 10 000 ტონას დატვირთავ, ამის შემდეგ, ნავსადგური სამი დღეა გაჩერებული, რადგან ვაგონების დამუშავებასა და დამღის დადებას, დიდი დრო სჭირდება. თუ პოლიტიკური ნება იქნება და ფოთის ნავსადგურს პატრონს, ანუ სახელმწიფოს დაუბრუნებენ, ნებისმიერ ფუნქციას, ყოველგვარი თავის ატკივების გარეშე განახორციელებს. როგორც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ტრანზიტული ტვირთებიდან მოზიდული თანხების 40%-45% სახელმწიფოს, ხალხის საკუთრებაა. ეს სახელმწიფოს შემოსავალია, რომელსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფოთის ნავსადგურში მოქმედი 5-6 ბიზნეს-კომპანია ინაწილებს".**

პეტრე ბერაიამ „ვერსიას" განუცხადა, რომ მართალია, ფოთის ნავსადგურს დღე-ღამეში, 10 000 ტონა ტვირთის დამუშავება შეუძლია, მაგრამ ამ ტვირთების გატანას რკინიგზა ველარ ასწრებს. მისი თქმით, ფოთი-სენაკი სარკინიგზო ხაზზე მხოლოდ ერთი ლიანდაგია, რომლითაც შემომავალი და გამავალი მატარებელი სარგებლობს, ამიტომ ხშირად დაცდა უწევთ. პეტრე ბერაია მიიჩნევს, რომ ფოთი-სენაკის სარკინიგზო ხაზს მეორე ლიანდაგიც უნდა დაემატოს, რათა შემომავალმა და გამავალმა მატარებლებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ:

**„ნავსადგურებს შორის, პრიორიტეტულად ითვლება ის, რომელიც მეტ გენერალურ ტვირთს (შაქარი, ფქვილი, ბამბა), გადაამუშავებს. ბათუმის ნავსადგური სამჯერ ნაკლებ გენერალურ ტვირთს ამუშავებს, ვიდრე ფოთის ნავსადგური, რადგან სატვირთო ოპერაციებისთვის, ფოთში უფრო კარგი პირობებია, ვიდრე ბათუმში. რა თქმა უნდა, ბათუმის ნავსადგურს 8 000 000 ტონამდე ნავთობის გადამუშავება შეუძლია, ფოთი კი მხოლოდ — 1 500 000 ტონა ნავთობს ამუშავებს. გარდა ამისა, ბათუმის ნავსადგურს ღრმა ნავმისადგომები აქვს, რომელთა სიღრმე 25-30 მეტრია, ფოთში კი დაახლოებით, 8-12 მეტრის სიღრმის ნავმისადგომია, რაც დიდტონაჟიანი გემების შემოსვლას ხელს უშლის. ამ მხრივ, საუკეთესო პირობები იქნება ლაზიკას ნავსადგურში, რომლის აშენება საკმაოდ პერსპექტიულია, ოღონდ ნავსადგურის და არა — ქალაქის. ლაზიკას ისეთი მდებარეობა აქვს, იქ ისეთი სიღრმეებია, რომ დაღრმავება აღარ სჭირდება, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ყულევის ტერმინალში დიდტონაჟიანი გემი კი შედის, მაგრამ ნავსადგურში შესასვლელ ყელს დაღრმავება სჭირდება. ლაზიკაში კი ამ სამუშაოების ჩატარება აღარ დაგვჭირდება და საკმაოდ დიდი თანხები დაგვეზოგება".**

2004 წლამდე, პეტრე ბერაია ორი მოწვევის პარლამენტში, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. 1997 წელს, მისი ინიაციტივით, საქართველოს საგადასახადო კოდექსს, 109-ე მუხლი დაემატა, რომლითაც საქართველოს ნავსადგურებსა და მასთან გათანაბრებულ ნავმისადგომებზე, 1 ტონა გადამუშავებული ტვირთის ღირებულების 3% ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გადარიცხულიყო. ეს დადგენილება პარლამენტმა მიიღო და შედეგად, ფოთის ნავსადგური, წლის განმავლობაში, ქალაქ ფოთის ბიუჯეტში 1 500 000 ლარს რიცხავდა, რაც იმ პერიოდში, საკმაოდ სერიოზული შემოსავალი იყო. პეტრე ბერაია ამბობს, რომ საგადასახადო კოდექსის ეს მუხლი 2004 წელს გააუქმეს, მაგრამ კარგი იქნება, თუკი ხელისუფლება გაითვალისწინებს და ამ მუხლს ისევ აამოქმედებს.

# ახალი ბრალდება უგულავას წინააღმდეგ — მერმა თბილისის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გაფლანგა



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება



**„თბილსერვის ჯგუფის" საქმიანობასთან დაკავშირებით აგორებული სკანდალი ჯერ ისევ აქტიურ ფაზაშია. პროკურატურა განაგრძობს საქმის მოკვლევასა და დედაქალაქის მერიის მაღალი თანამდებობის პირთა დაკითხვას. როგორც ირკვევა, იგივე სიტუაციაა მერიის სხვა შპს-ებშიც. კერძოდ, 23 იანვარს თბილისის მთავრობამ სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, 800 000 ლარი დედაქალაქის ბიუჯეტიდან შპს „სინათლის ქალაქს" გამოეყო. დადგენილებას ხელს მერის მოადგილე დავით ალავიძე აწერს.**

თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მერის ამ ქმედებას პარტიული ინტერესებისთვის ბიუჯეტიდან ფულის ფლანგვის პრაქტიკას უწოდებს. **„2013 წლის 23 იანვარს თბილისის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას ინიციატივითა და გადაწყვეტილებით, შპს „სინათლის ქალაქს" 800 000 ლარი გადაერიცხა. ჩემი ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს იმისთვის, რომ შპს „სინათლის ქალაქის" სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებული ადამიანებისა და წინა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისათვის 2 500-ლარიანი სახელფასო ანაზღაურება 5 000 ლარი გახდეს. მსგავსი გადაწყვეტილება უკვე სისრულეშია მოყვანილი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში, იქ დასაქმებული ადამიანების ხელფასი 5000 ლარია. ქალაქის მერი ამ გადაწყვეტილებას იღებს იმ ფონზე, როცა დედაქალაქში ასტრონომიულ რაოდენობას აღწევს უსახლკაროთა და შეჭირვებულთა რიცხვი. თბილისის მერი გიგი უგულავა განაგრძობს საბიუჯეტო რესურსების ფლანგვის პრაქტიკას. რაც ზღვარგადასული თავხედობაა. ამის აღსაკვეთად, მოვითხოვ ცენტრალური ხელისუფლებისა და საგამოძიებო სტრუქტურების რეაგირებას",** — განაცხადა მან.

როგორც ირკვევა ზემოაღნიშნული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო 11 ადამიანისგან შედგება და მისი წევრები არიან: სპორტის ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, ყოფილი დეპუტატი კობა ხაბაზი, იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი კოტე გაბაშვილი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი, პარლამენტის აპარატის ყოფილი უფროსი დავით ჯანიაშვილი... 11-კაციანი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასი ნაცვლად 2500-ისა, 5000 ლარი გახდება. ზაზა გაბუნიას მტკიცებით: **„იგივე პრაქტიკა უკვე მუშაობს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში". იქ დასაქმებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს 5 000-ლარიანი ხელფასები უკვე აქვთ".**

ზაზა გაბუნია ირწმუნება, რომ 2010 წლამდე დედაქალაქის გარეგანათების ქსელების ექსპლოატაცია-მოვლას „თბილ ქალაქ განათება" ახდენდა. ამ კომპანიის ჩასანაცვლებლად მალევე შეიქმნა შპს „სინათლის ქალაქი", რომელსაც არც კვალიფიციური თანამშრომლები ჰყავდა, არც ტექნიკა და გამოცდილება ჰქონდა. წინასწარი გარიგებით, ზედიზედ, 3-ჯერ 2010-11-12 წლებში, ტენდერში გაიმარჯვა აღნიშნულმა კომპანიამ. 2012 წელს, 1,5-წლიანი ოპერირებისთვის მან 19-მილიონიანი ტენდერი მოიგო. **„სახეზეა გარიგების ნიშნები, ვინაიდან ამ ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა, რომელიც ქალაქში გარეგანათების ქსელების ექსპლოატაციას ახორციელებდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, რაც ხელისუფლება ოპოზიციაში გადავიდა, დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა ნაციონალური მოძრაობის წევრი ყოფილი ჩინოსნების დასაქმებისა. არჩევნების შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში მერიის სხვადასხვა შპს-ებში სამეთვალყურეო საბჭოები იქმნება. ასეთია „სინათლის ქალაქი", „სატრანსპორტო კომპანია"; დამკრძალავი ბიურო „ჰერმესი".**

ისიც ირკვევა, რომ შპს „სინათლის ქალაქს" არჩევნების შემდეგ დამატებით 100 შტატი დამატებია. იქ არის ისეთი სამსახურები და თანამდებობები, რომელიც არანაირად არ შედის აღნიშნული სამსახურის კომპეტენციაში.

**„მაგალითად, ხის გადამჭრელთა და გადამბელავთა შტატი, სადაც დასაქმებულია ყველაზე მეტი ადამიანი, ასეთი შტატი კი ამ სამსახურში არჩევნებამდე არ ყოფილა. ამ კომპანიაში ყველაზე დიდ შრომას ელმონტიორის თანამდებობა მოითხოვს, რომლის ხელფასი 650 ლარია. იმ შტატებზე, კი სადაც ფიქტიურად არიან დასაქმებულნი ადამიანები, ხელფასი 900 ლარზე მეტი აქვთ, არადა, ისინი არც კი დადიან სამსახურში. ძალიან სასაცილო იყო ლადო ვარძელაშვილის კომენტარი, როცა განაცხადა, განათების სფეროში დიდი გამოცდილება დამიგროვდა და ამ გამოცდილებას ახალ სამსახურს მოვახმარო. ეს აბსურდია და აქ მთელი რიგი სისხლის სამართლებრივი საქმეები იკვეთება. იმ ფონზე, როცა მერია ვერ ახერხებს სოციალური პრობლემების მოგვარებას, ეს დანაშაული და ზღვარგადასული თავხედობაა",** — გაბუნიას ამ განცხადებას დედაქალაქის მერია გამოეხმაურა. მერიის პრესსპიკერის, ბაჩო დოლიძის განმარტებით, აღნიშნული თანხა არა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხელფასების გასაზრდელად, არამედ შპს „სინათლის ქალაქის" რიგითი თანამშრომლებისთვის ხელფასების ჩასარიცხადაა გამოყოფილი.

# კომპანია „ნატახტარი“ ახალი შრომის კოდექსის პრინციპებით 2008 წლიდან მუშაობს

**საქართველოს შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებებით, სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 41 საათით განისაზღვრება, ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო. დამსაქმებელი, დასაქმებულს დაუსაბუთებლად ველარ გაათავისუფლებს, რადგან ცვლილებით, ვალდებულია, დასაქმებული 30 დღით ადრე, წერილობით გააფრთხილოს. საქართველოს შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე, კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი, ხათუნა ჩხაიძე გვესაუბრება:**



ხათუნა ჩხაიძე

**— რამდენად მნიშვნელოვანია არსებული ცვლილებები შრომის კოდექსში და ამ ცვლილებების ფონზე, რამდენად დაცულია დამსაქმებლის ინტერესები?**

— ჩემი პოზიციაა, შრომის სამართლიანი კანონმდებლობა ანუ კანონმდებლობა, რომელიც არ ამძიმებს არც დამსაქმებელთა და არც დაქირავებულთა პირობებს, ორივე მხარისთვის მომგებიანია. ჩვენი კომპანიის, როგორც დამსაქმებლის მიდგომა ასეთია, თანამშრომლებს საუკეთესო პირობები შევუქმნათ, რადგან კმაყოფილი თანამშრომელი უფრო ერთგული, ნაყოფიერი და მოტივირებულია. ერთგვარი სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ კომპანია „ნატახტარი“, 2008 წლიდან, მუშაობის იმ პრინციპებზეა გადასული, რაც შრომის კოდექსში ახლა უნდა გაითვალისწინონ. ამის მიზეზი ის არის, რომ სწორედ 2008 წლიდან, ჩვენ „ეფესის“ ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის წევრები გავხდით, რის გამოც, დაქირავებულზე უფრო მეტად ორიენტირებული სამუშაო პირობები შევქმენით. ინტენსიური ტრენინგი თანამშრომელთა განვითარებისთვის, სამედიცინო დაზღვევა, სესხი, ავანსი, მეცამეტე ხელფასი, უფასო კვება, ყოველთვიური სასაჩუქრე პროდუქცია (ლუდი და ლიმონათი), თანამშრომელთა ტრანსპორტირება, ექიმი — ეს ყველაფერი კომპანიაში ახალი არ არის.

**— ახალი კანონპროექტით, დამსაქმებელი ვალდებულია, რომ გათავისუფლების შესახებ, დასაქმებული არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობით გააფრთხილოს. ასეთ ცვლილებას ბიზნესი იღებს?**

— მაგალითად, კომპანია „ნატახტარს“ აქვს საკუთარი დისციპლინარული პოლიტიკა — ქცევის კოდექსი, რომელიც დონეებად არის გაწერილი და თითოეული თანამშრომლისთვის ცნობილია. ამიტომ, ჩვენმა თანამშრომლებმა კონკრეტულად იციან, რა სახის დარღვევა, რა შედეგს გამოიწვევს, თუმცა იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არ მუშაობს, ამიტომ მთელ რიგ შეცდომებს გაგებით ვეკიდებით. მაგალითად, ჩვენს კომპანიაში ცნობილია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა, კატეგორიულად დაუშვებელია. ალკოტესტის ჩატარების შემთხვევაში კი, მოსალოდნელი შედეგისთვის, ყველა მზადაა. ზოგადად, „ნატახტარში“, თანამშრომლების გათავისუფლების მაჩვენებელი ძალიან დაბალია, მაგრამ თუ გარკვეული მიზეზების გამო, შტატის შემცირება აუცილებელია, ის თანამშრომელი ამ შეტყობინებას ერთი თვით ადრე იღებს და მას შესაბამისი კომპესაციაც ეძლევა. ერთ მაგალითსაც მოვიყვან, დეკრეტული შვებულების პერიოდში, თანამშრომელს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი და სრული ანაზღაურება.

**— კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო ზეგანაკვეთურად ჩაითვლება და ყველა დამატებით საათზე, გარკვეული ზეგანაკვეთური გადასახადი განისაზღვრება. რა პრობლემებს შექმნის ეს ცვლილება დამსაქმებლის გადმოსახედიდან, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით? სიახლეების შეტანამდე, კომპანია „ნატახტარში“ რა სიტუაცია იყო ამ მხრივ?**

— ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურ გადასახადს, როგორც კი მის მიერ შესრულებული სამუშაო დრო 41 საათს გადაცდება. ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ, რადგან ლუდის ჩამოსხმა უწყვეტი პროცესია. ქარხანაში არის ღამის ცვლა, ღამის ცვლაში ჩვენი კოეფიციენტია 1.2, სადღესასწაულო დღეებზე კი თანამშრომელს ორმაგს ვუხდით. ეს ყველაფერი ჩვენს კომპანიაში 2008 წლიდან დამტკიცდა.

**— დაიცავს თუ არა ეს ცვლილებები დასაქმებულს?**

— შრომის კოდექსში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიზნად მის გაუმჯობესებას ისახავს, ნამდვილად მისასალმებელია. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების შედეგად, დასაქმებულები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს სამუშაო ადგილებზე.

# აფბა 112-ის გადასახადის გაუქმებას ითხოვს

**„საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ (აფბა) აგრძელებს კომუნიკაციების ბაზარზე არსებული ხარვეზების გამოვლენას. ამჯერად, საზოგადოების ყურადღება „საგანგებო სიტუაციებში გადაუდებელი დახმარების გამოძახების ერთიანი ცენტრის 112“-ის გადასახადზე გვსურს შევაჩეროთ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ 2012 წლის იანვრიდან, საქართველოში 112-ის მოსახურებისთვის გადასახადის სახით, ყველა მობილური ოპერატორის მომხმარებელი ფიზიკური პირი, რომელიც თვეში 5 ლარზე მეტს ხარჯავს, ანგარიშიდან 20 თეთრს, ხოლო იურიდიული პირი — 50 თეთრს იხდის. აფბა მიიჩნევს, რომ 112-ის გადასახადი ერთ-ერთია იმ დაუსაბუთებელი და არასამართლიანი გადაწყვეტილებათაგან, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში იქნა მიღებული. ასოციაცია ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, შეცვალოს წინა მთავრობის მიერ შემოღებული საგანგებო სიტუაციის სამსახურის დაფინანსების მახინჯი სისტემა, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი 112-ის სამსახურის მსგავსი სისტემა ყველა ევროპულ სახელმწიფოში, ასევე ამერიკაში, რუსეთსა და სხვა ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. ასეთი სამსახურის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება, ევროკავშირის საბჭომ 1991 წელს მიიღო და ყველა წევრ ქვეყანას, მისი შექმნა დაევალა. 2002 წლის მარტში, უნივერსალური სპეციალური დირექტივაც ამოქმედდა და შესაბამისი მოთხოვნებიც დაწესდა, რომელთგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ მისი მომსახურება უფასოა ნებისმიერი აბონენტისათვის.

საინტერესო ფაქტია, რომ მთავრობის დადგენილებით, 112-ის გადასახადის აბონენტების ანგარიშებიდან ჩამოჭრა, მიუხედავად იმისა, რომ სამსახური მხოლოდ იმავე წლის ივნისიდან ამოქმედდა, 2012 წლის 1 იანვრიდანვე დაიწყო. გამოდის, რომ მოსახლეობა 5 თვის მანძილზე იხდიდა გადასახადს იმ მომსახურებისთვის, რომელიც ჯერ არ არსებობდა(?!) აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, 112-ის შემოსავალმა 8 554 859 ლარი შეადგინა. სამსახურმა ბიუჯეტიდან 2 500 000 ლარი მიიღო, როგორც საწყისი კაპიტალი, რათა საქმიანობა დაეწყო. გაუგებარია, რატომ არ ჰქონდა საგანგებო სამსახურს საწყისი კაპიტალი, თუ მისი ბიუჯეტის შევსება, საქმიანობის დაწყებამდე 5 თვით ადრე დაიწყო?

გადასახადის შემოღებისას, ხელისუფლებას არ განუმარტავს, თუ რა პრინციპით განისაზღვრა თითოეული აბონენტისთვის სავალდებულო ტარიფი, ან რა ეკონომიკურ გათვლებს ეფუძნება ეს გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, რომელიც პასუხისმგებელია მობილური ოპერატორების ბაზრის რეგულირებასა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე, არც კი გაუპროტესტებია ამ გადაწყვეტილების მიღება და უხმოდ დაემორჩილა აღმასრულებელი ხელისუფლების ნებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აფბა მიმართავს ახალ მთავრობას და მოითხოვს, რომ გადაიხედოს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დამტკიცდა. მიგვაჩნია, რომ დაფინანსების ამ სისტემის ლოგიკით, ხელისუფლებას შეუძლია ანალოგიური გადასახადი (მოსაკრებელი) დააწესოს სხვა პროდუქტების მოხმარებაზეც. მაგალითად, პურზე, რომლითაც სურსათის უვნებლობის სასახური დაფინანსდება, მანდარინსა, ან ვაშლზე, რომლითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაფინანსდება და ასე შემდეგ.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ მოითხოვს, გაუქმდეს 112-ის გადასახადი, რომლითაც მოსახლეობის ჯიბეებიდან, უსამართლოდ იღებენ თანხებს. მიგვაჩნია, რომ ამ მოსაკრებლის არსებობა ადამიანის უფლებების დარღვევაა, რადგან ყველა მოქალაქე, განურჩევლად იმისა, სარგებლობს თუ არა იგი საგანგებო სამსახურის მომსახურებით, ვალდებულია, სულ სხვა პროდუქტის მოხმარების (მობილურზე საუბარი) მოსაკრებელი გადაიხადოს. თავის მხრივ, გაუგებარია, რა გათვლებს ემყარება, თუ რატომ უნდა გადაიხადოს ფიზიკურმა პირმა 20 თეთრი, ხოლო იურიდიულმა — 50 თეთრი.

# დავით სერგეენკო: „H1N1-ის პანდემიის საფრთხე არ არის!“



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი სისტემატურად ავრცელებდა ინფორმაციას ვირუსის პრევენციასთან დაკავშირებით. აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში შესაძლებელია მწვავე რესპირატორული ვირუსების გავრცელება და გაციების შემთხვევაში, ჯანმრთელობის კიდევ უფრო გაუარესება, — ასე პასუხობს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დროულად არ გაკეთდა ოფიციალური განცხადება H1N1-ის ვირუსის შემთხვევების შესახებ, რომელთაგან სამი ლეტალური შედეგით დასრულდა.

სერგეენკომ ისიც აღნიშნა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას მოსახლეობის გაფრთხილების ხუთი დონე გააჩნია და შესაბამისად, არსებობს რეგულაციები — როგორ უნდა მოხდეს კონკრეტულ შემთხვევებში პანდემიების ლიკვიდაცია თუ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მისივე თქმით, საქართველოში H1N1 ტიპის ვირუსის პანდემიის საშიშროება არ არის. ჯანდა ცვის მინისტრის განცხადებით, გასულ წლებთან შედარებით, H1N1 და მწვავე რესპირატორული დაავადებების გავრცელების მაჩვენებლები არ გაზრდილა. სერგეენკოს ცნობით, შარშან, 53 პაციენტი გარდაიცვალა მწვავე რესპირატორული ვირუსის შედეგად, ხოლო წელს — 3.

**„ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს. ეს დიდი ტრაგედიაა, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ჯანდაცვის სამინისტრო მზადაა, თუ გაიზრდება ვირუსის შემთხვევათა რაოდენობა, შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს“,** — აცხადებს სერგეენკო.

მინისტრის განმარტებით, მოქალაქეებმა სისტემატურად უნდა დაიბანონ ხელი და სველი თმით ქუჩაში არ გავიდნენ.

მინისტრმა კომენტარი მისი წინამორბედის, ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვასთან დაკავშირებითაც გააკეთა: **„დაკითხვაში დრამატიზმს ვერ ვხედავ და როცა ჩნდება კითხვები, უნდა გაეცეს პასუხი. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი არის დამნაშავე და აუცილებლად არსებობს კორუფცია. მეც 2012 წელს არაერთხელ მოვხვდი დაკითხვაზე და საათობით მიწევდა შესაბამის უწყებებში ყოფნა, თუმცა ეს ტრაგიკულად არ აღმიქვია“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**ნეოტროცკისტები პარლამენტში და მიკი მაუსები პარლამენტსგარეთ, „გადამრბენი“ ფენები პოლიტიკაში, საქართველო, როგორც სამართლებრივი უდაბნო და ნაციონალური მოძრაობის გზა განითლებიდან გათეთრებამდე... ამ ეპითეტებით სოსო მანჯავიძე ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს და სამივე არჩევნების ერთდროულად ჩატარების იდეით გამოდის. რა არის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების ერთმანეთზე მიყოლების პოლიტიკური პლუსები და მინუსები და რატომ გაუცრუა „ოცნების“ პარლამენტმა ხალხს იმედი — „ვერსიას“ თავისი იდეის შესახებ საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე ესაუბრება.**

# პატრიოტთა ალიანსი შემოდგომაზე საპრეზიდენტოსთან ერთად, ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს



— ხელახალი არჩევნების სასარგებლოდ, უამრავი არგუმენტი არსებობს: ხალხმა პარლამენტის ამ შემადგენლობას ნდობა იმიტომ გამოუცხადა, რომ ერთი მხრივ, სააკაშვილის სიძულვილი, მეორე მხრივ, ივანიშვილის ხათრი ჰქონდა. მოკლედ, ჩვენი პარლამენტარების უმეტესობა, ძირითადად, ივანიშვილის ხათრით არიან არჩეულნი, რადგან სხვაგვარად, იქ ვერ მოხვდებოდნენ. ეს ერთი მიზეზია. ვადამდელი არჩევნების ჩატარების მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ამ პროცესში ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს. ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობას“ არავითარი 40% არ აუღია და „ოცნების“ მხრიდან, ამ თემაზე თვალის დახუჭვა პოლიტიკური უპასუხისმგებლობა იყო. თან, სააკაშვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების არავითარი გარანტი არ ყოფილა. ეს დათმობა ე.წ. კადრებადწოდებულმა ფილმმა გამოიწვია მისი რეჟიმის შესახებ, რომელმაც ამ რეჟიმის დეზორგანიზება და დემორალიზება მოახდინა, ამიტომ თქვა უარი სააკაშვილმა დაგეგმილ გაყალბებაზე, რამაც მას დასავლეთში საკუთარი პოლიტიკური იმიჯის რეაბილიტაციის საშუალება მისცა. ის ფენიქსივით აღდგა, დემოკრატიის შუქურის ბრწყინვალება შეიძინა, დივერსიული მოქმედებები დაიწყო და მისი გუნდის წევრების მიმართ ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედება პოლიტიკურ დევნად გამოაცხადა.

**— ე.ი. უშუალოდ, პარლამენტის მუშაობასთან არავითარი პრეტენზია არ გაქვთ?**

— სწორედ ამ მიზეზების გამო, პარლამენტი აბსოლუტურად უფუნქციოა! უფრო დეტალურად რომ ავხსნა, რესპუბლიკური პარტია ყოველთვის ძველი რეჟიმის განუყოფელი ნაწილი იყო. „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ პროდასავლური კურსის მქონე პარტიებად გვევლინებიან, შესაბამისად, „ნაციონალებთან“ იდეოლოგიური სხვაობა არ აქვთ. ისედაც, სწორედ „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ არიან ყველაზე გამოცდილი და კვალიფიციური ძალები ამ პარლამენტში. იქ მყოფი სხვა ძალები კი ან სიტუაციაში ვერ ერკვევიან ან პოლიტიკური ხაზის გატარება, საერთოდ, არ შეუძლიათ — პირველ რიგში, პარტია „ოცნებას“ ვგულისხმობ. ამგვარად, ვიღებთ სურათს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია!

**— სად ჩანს მერე ეს მიუღებლობა?**

— საქმეც ისაა, რომ საქართველოში გამოხატვის ნებისმიერი საშუალება დახშულია!

**— ვინ დაახშო ბიბლიოთეკის წინ 8 თებერვალს ხალხის ნება?**

— ნება პოლიტიკური საშუალებებით არ გამოხატულა, თან ეს ხალხის ის რაოდენობა იყო, რომლის მართვა კიდევ შეიძლება, ხოლო შს მინისტრის თხოვნა, დაიშალეთო, ერთ მშვენიერ დღესაც, აღარ გაჭრის. აი, პირველივე ხელკეტიანი მიკი მაუსის გამოჩენა ქუჩაში ახალი რეჟიმის დასასრული იქნება! ამ დროს, ახალ პარლამენტს მთელი არასაპარლამენტო ოპოზიციისა და პარლამენტსშიგნით მყოფი რამდენიმე კაცის პოზიცია სულ არ აინტერესებს. ერთი, დათო საგანელიძე გამოვიდა, სააკაშვილს ვადაგასული უწოდა და ისიც ლამის ჩაქოლეს — ფაქტობრივად, ამ მოწვევის პარლამენტმა სააკაშვილის პარლამენტს უზურპაციური კანონები „გაუპრავა“ და მიშას ვადის ბოლომდე მიათრევს! 30 ხელმოწერა ვერ შეგროვდა პარლამენტში მიშას წინააღმდეგ, არადა, ეს ხალხი სწორედ ამისთვის აირჩიეს. სინამდვილეში, პარლამენტი მიშას წინააღმდეგი სულაც არ არის, პარადოქსია! ბიძინა ივანიშვილი სიტუაციას ვერ მართავს და მისი ხმა პარლამენტის ხმა არ არის. სხვათა შორის, ისიც გაუგებარია, პრინციპულ საკითხებზე ვის აქვს უმრავლესობა პარლამენტში!

**— თქვენივე ლოგიკიდან ჩანს, რომ პარლამენტში უმრავლესობა პროდასავლურ ძალებს აქვთ.**

— ესენი პროდასავლურები კი არა, ნეოტროცკისტები არიან.

**— ამასობაში, ვადამდელი საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების ერთად ჩატარების იდეით გამოდიხართ. ერთი პლუსი ისაა, რომ დიდ დროსა და ფულს დავზოგავთ, მაგრამ რა პოლიტიკური პლუსი აქვს ამ იდეას?**

**— პოლიტიკური პლუსი ისაა, რომ ამჯერად, მაინც გამოხატავს ქართველი ხალხი თავის ნებას. პარლამენტი სასწრაფოდ დასაშლელია. ეს პირველი რიგის ამოცანაა ქვეყანაში. ქართველ ხალხს ისეთი პარლამენტი სჭირდება, რომელიც მის ინტერესებს, რეალურად, დაიცავს. პირდაპირ გეუბნებით, ამ პარლამენტმა ხალხის იმედები ვერ გაამართლა! საკანონმდებლო სისტემა ნულია, საარჩევნო კოდექსი ნულია, რეფერენდუმი კი კონსტიტუციაში დაბლოკილია!**

**— ხელისუფლებას თავად ჩაუვარდა სახალხო განხილვები და ახლა თქვენ აპირებთ რეფერენდუმის ჩატარებას?**

— რეფერენდუმი საკანონმდებლო დონეზეა დაბლოკილი. იქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც იდეას სარეფერენდუმო კომისიას წარუდგენს. ამ კომისიას შეუძლია, ეს შეთავაზება ან მიიღოს ან — არა. ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, მას არ მიიღებენ და მეორე, თუ მოხდა სასწაული და მიიღეს, მაშინ სპეციალური ბლანკები გამოიყოფა და 200 000 ხელმოწერა უნდა შეგროვდეს. ეს ყველაფერი უზარმაზარ ხარჯსა და ადმინისტრაციულ სამუშაოებთანაა დაკავშირებული. თან, კარგად ვიცით საქართველოში ხელმოწერების პრაქტიკა. ამის მერე, ის 200 000 ხელმოწერა პრეზიდენტთან უნდა მივიდეს, რომელმაც იდეის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა განიხილოს. მოკლედ, ეს საკითხი რეფერენდუმზე მიხეილ სააკაშვილმა უნდა გამოიტანოს. უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იდეა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, თუ არ ეწინააღმდეგება და ხელს მაინც არ მოაწერს, მაშინ საჩივლელად საკონსტიტუციო სასამართლოში მივდივართ.

**— საიდანაც ერთხელ უკვე გამოგიშვეს სარჩელის განუხილველად. მოჯადოებულ წრეზე დადიხართ, ფაქტობრივად.**

— ამიტომაა საქართველო სამართლებრივი უდაბნო, ჩვენ კი ციყვები ვართ გალიაში, ბორბალს ვატრიალებთ, მაგრამ წინ ვერასოდეს მივდივართ. სიტუაციის კომიკურობა ხომ გესმით?! ჩანს, „ოცნებას“ ჰგონია, რომ სამართლიანობის აღდგენა სასამართლო სისტემის გასწორებიდან არ იწყება.

**— ამ სიტუაციაში ვადამდელი არჩევნები გამოსავალია? აუცილებლად იტყვიან, რომ ქვეყანაში ვერა და ვერ შევინარჩუნეთ სტაბილურობა და მუდმივი არჩევნების პროცესში ვართ!**

— ეს არგუმენტი ნაციონალურ მოძრაობას მოაქვს ხოლმე, ხანდახან.

**სწორედაც, იდეალური იქნება, სამივე არჩევნები ერთმანეთის მიყოლებით, დღეგამოშვებით რომ ჩატარდეს. ამ შემთხვევაში, ყველა ორგანოში ერთად, ისეთ წარმომადგენლობას ავირჩევდით, სადაც ხალხის აზრს შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ და ანტიხალხურ პოლიტიკას არ გაატარებდნენ. შეასრულონ აღებული ვალდებულება და დააპატიმრონ სააკაშვილი, მერაბიშვილი, როლანდ და დათა ახალაიები, ზურაბ ადეიშვილი, კეზერაშვილი! თურმე, არც სოდ-სა და კუდ-ში ყოფილა ვინმე დასასჯელი და გამოსაგდები და ჩვენ ეს ყველაფერი გვეჩვენებოდა. გაყიდეს ქვეყანა „ნაციონალებმა“, „ოცნებამ“ კი ეკონომიკურ დანაშაულზე ამნისტია უნდა გამოაცხადოს. მოკლედ, ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის გათეთრების პროცესი ყველა შესაძლო საშუალებით — ეს არის გზა განითლებიდან გათეთრებამდე!**

ჯამში, გამოსავალი სისტემური რეფორმებია: თუ არჩევითობა ყველა დონეზე არ დაინერგა და ეს მახინჯი ვერტიკალი არ დაიშალა, კონსტიტუციური რეფორმები არ გატარდა, პროკურატურა, შს სამინისტრო და ყველა სხვა უწყება ამავე სახით დარჩა, მაშინ სისტემა რეპრესიულ რეჟიმად გარდაიქმნება, ამიტომ ახლა, ამ სისტემას ორი გზა აქვს: ან მართლა რეპრესიულ მანქანად უნდა გარდაიქმნას ან დაიშალოს! ხალხის განწყობა კი აბსოლუტურად შეცვლილია!

**— ამას მეორედ ამბობთ და გაუგებარია, სად ჩანს განწყობის ცვლილება?**

— ეს ჩანს ყოველდღიურად: როცა ქალაქში, სამზარეულოებში უკვე ანეკდოტებს ყვებიან, განწყობის უკან მობრუნება კი ძალიან რთულია. ჩვენი ხალხი გამოკვეთილ ლიდერს ეძებს, მერე წარმოსახვით ლიდერს ირჩევს და ეს წარმოსახვა რომ რეალური გახდება, აგინებს. როცა 150 კაცი ხალხს აძლევს დაპირებას და ამის მერე ხალხს ეუბნება, კოჰაბიტაცია, კოჰაბიტაციაო, ცოტა ეჭვქვეშ დგება ის საკითხი, მიიღებდნენ თუ არა იგივე რაოდენობის ხმებს, დაპირებების ნაცვლად, თავიდანვე კოჰაბიტაცია რომ ეძახათ. ილუზიები არ მაქვს, უბრალოდ, გარკვეულ ტენდენციებს ვხედავ, ვცდილობ, დადებითი იდეების პროვოცირება მოვახდინოთ.

**— მთავარი, ხალხის ტენდენციაა — ვადამდელი არჩევნები მოსახლეობას რეალურად უნდა?**

— დიახ, არის ეს ტენდენცია — ხალხი ჯანსაღ, ნორმალურ პოლიტიკურ პროცესს ითხოვს. კარგი ის მოხდა, რომ „გადამრბენი ფენა“ გაუფასურდა, რომელიც თავს ერთი ძალიდან მეორეში გაქცევით შველოდა, ამიტომ ახლა, ნორმალურ, ჯანსაღ ძალებს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა შეუძლიათ, როცა უფრო პრიორიტეტული, კვალიფიციურობა ხდება.

**— თქვენ მიიღებთ მონაწილეობას ამ ვადამდელ არჩევნებში და გინდათ პარლამენტში აღმოჩენა?**

**— ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში, ეს ამბიცია გვაქვს და არც მხარდამჭერების რაოდენობის პრობლემა გვიდგას. ეს „შუაგაკრეფილობა“ შუიდან უნდა დამთავრდეს. სწორედ „შუა“ უნდა ამოვიდეს „გაკრეფილობიდან“ და თუ გინდათ, ჩათვალეთ, რომ ჩვენ ვართ ეს შუა!**

## ვერსიანიუსი

### რუსეთმა გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა



სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძე ბრალდებულად სცნო და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის, ვლადიმერ მარკინის ინფორმაციით, თარგამაძეს ბრალად ედება რუსეთის ტერიტორიაზე მასობრივი არეულობის ორგანიზება „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერ სერგეი უდალცოვსა და მის თანაშემწე ლეონიდ რაზვოზჟაევთან კოორდინაციით.

**„რუსეთის საგარეო უწყებიდან მივიღეთ ოფიციალური პასუხი, რომ თარგამაძე არ სარგებლობს რაიმე სახის იმუნიტეტით სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით“,** — განაცხადა მარკინმა.

უახლოეს მომავალში, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი თარგამაძის წინასწარ პატიმრობაზე იშუამდგომლებს.

გამოძიების ვერსიით, რუსი ოპოზიციონერები სერგეი უდალცოვი, ლეონიდ რაზვოზჟაევი და კონსტანტინე ლებედევი გივი თარგამაძეს არეულობების დაფინანსებაზე შეუთანხმდნენ. მათივე განმარტებით, შეხვედრა 2012 წლის ივნისში შედგა. მათი საუბარი, რომელიც ფარული კამერითაა გადაღებული, ტელეეთერით გადასცეს. გამოძიებამ ჩანაწერი სარწმუნოდ მიიჩნია, თარგამაძე კი ირწმუნებოდა, რომ რუს ოპოზიციონერებს არ იცნობს. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, გივი თარგამაძე 6 მაისს „ბალოტნაიას მოედანზე“ პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებების ორგანიზებაში „კონკრეტულ როლს“ ასრულებდა. რუსეთში მასობრივი არეულობის ორგანიზება და „ბალოტნაიას საქმე“, ამ ეტაპზე, გაერთიანებულია. საქმეში 20-ზე მეტი ადამიანი ფიგურირებს.

***„ინტერპრესნიუსი“***

### დავით კირკიტაძე დაკითხეს



საოლქო პროკურატურაში ქვემო ქართლის გუბერნატორის, დავით კირკიტაძის დაკითხვა დასრულდა, რომელიც დაახლოებით ოთხ საათს გრძელდებოდა.

პროკურატურიდან გამოსულმა კირკიტაძემ განაცხადა, რომ სამწუხარო რამ შეიტყო. კერძოდ კი, ის, რომ ხელისუფლებას არ აინტერესებს დასაქმების პროგრამა, რადგან მიიჩნევენ ეს პრობლემა უკვე მოაგვარეს საქართველოში. ხელისუფლების წევრებმა წარმატებით დაასაქმეს თავიანთი ოჯახის წევრები, მეუღლეები, შვილები, ნათესავები.

კირკიტაძის განცხადებით, გამოძიებას მასთან შეკითხვები ჰქონდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი, აინტერესებდათ, რა საქმიანობას ეწეოდნენ სოციალური აგენტები, რა ფორმით ადგენდნენ სიას და რა მიზნით დგებოდა ეს სიები.

**„მე, ისევე, როგორც საქართველოს ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ვიყავი მოტივირებული და ვაკეთებდი საქმეს, მოსახლეობა რომ დასაქმებულიყო. პირველ ეტაპზე შექმნილიყო ბაზა, მომხდარიყო ამ ბაზაში გაერთიანებული ადამიანების გადამზადება და, მომავალში, მათთვის შეგვექმნა სამუშაო ადგილები“,** — კირკიტაძემ დასძინა, რომ გამოძიებას შეუძლია, ბრალდებაში ათასი სისულელე ჩაწეროს, მაგრამ ფაქტია — ათასობით ადამიანი დადიოდა, ადგენდა სიებს და ცდილობდა, სამუშაოს მაძიებლებს სამსახური ჰქონოდათ.

თუ კითხვები კიდევ ექნება გამოძიებას, კიტკიტაძე მზადაა, ამომწურავი პასუხი გასცეს.

***„ინტერპრესნიუსი“***

პრეზენტაცია

# „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ექსპლოატაციაში შედის




თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე ისე ვერ გაივლით, ორმა ახალმა, ლამაზმა საცხოვრებელმა კორპუსმა რომ არ მოგჭრათ თვალი. „საქართველოს ბანკისა“ და შპს-ების — „გდგ“-სა და „გიგსი“-ს დამსახურებით, ორივე მათგანის მშენებლობა უკვე დასრულებულია და ექსპლოატაციაში ეტაპობრივად შედის.

14 თებერვალს, ჟურნალისტებს საშუალება გვქონდა, ახალაშენებული საცხოვრებელი კომპლექსები დაგვეთვალიერებინა. ინგოროყვას №19-ში, საკმაოდ მოზრდილი ეზო, ახალი ნარგავებით, ლამაზი გამწვანებით, მოსასვენებელი სკამების დასამონტაჟებლად გამზადებული ბეტონებით, უკვე ახდენს შთაბეჭდილებას. ისევე, როგორც დაახლოებით 35 ათასი კვმ ფართობის „სახლი პარლამენტთან“, 91 საცხოვრებელი ბინით, 84 ავტოფარეხით, 11 სავაჭრო და 32 საოფისე ფართით. ამას ისიც ემატება, რომ მალე აქ გაიხსნება სანაყინე, კაფე, ბავშვების გასართობი ოთახი...

„საქართველოს ბანკის“ მიერ ინგოროყვას №5-ში (კანცელარიის გვერდით) კი, საცხოვრებელ კომპლექსში 27 ბინა და ერთი კომერციული ფართია. ორივე კომპლექსის სასარგებლო ფართის მოცულობა, ჯამში, 24 272 კვმ-ს შეადგენს.

ამ ლამაზი და კომფორტული კომპლექსის მშენებლობისთვის „საქართველოს ბანკმა“ სამშენებლო კომპანიებს 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოუყო. ამიტომაა, რომ კომპანია „გდგ“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არა საქართველოს წამყვანი ბანკის თანადგომა, ამ პროექტს ასე ლამაზად ვერ დავაგვირგვინებდითო.

**ბეჟან წაქაძე: „ამ პროექტის განხორციელება 2010 წლის დეკემბერში დავიწყეთ და „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით, 2 წლის განმავლობაში დავამთავრეთ. როგორც ხედავთ, მოსახლეობა უკვე შედის და ცხოვრობს კიდეც. ძალიან ლამაზი და კარგი პროექტი გამოგვივიდა. აქ, ამ ეზოში, გაზაფხულისთვის, ამ გამწვანებაში ჩაფლულ სკამებს დავამონტაჟებთ. აქ ფიტნეს-კლუბიც იქნება, კაფეც, ბავშვთა გასართობი ოთახით. ეს პრემიუმ-კლასის ბინები გახლავთ. თბილისში ასეთი კომპლექსი, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ აშენებულა. სადარბაზოები და კიბის უჯრედები მთლიანად მარმარილოთია მოპირკეთებული. არქიტექტორ ლაშა მაცაბერიძეს გადაწყვეტით, გარედან შენობა 50-იანი წლების არქიტექტურის გავლენითაა მოპირკეთებული. სადარბაზოები დიმიტრი ერმაკოვის ფოტოებითაა დამშვენებული... ყველა სადარბაზოს დაცვის სამსახური ემსახურება. ბინების 60-70% უკვე გაყიდულია. დანარჩენიც მალე გაიყიდება. მით უმეტეს, კლიენტს, სასურველ პირობებს ვთავაზობთ — აქ არის ფართები 100 კვ მეტრიდან ზევით. კომპლექსი ისეა დაპროექტებული, სურვილის შემთხვევაში, რამდენიმე ბინის გაერთიანებაც შეიძლება. კლიენტს თეთრ კარკასს ვაბარებთ, მაგრამ შეკვეთის შემთხვევაში, შეგვიძლია, რემონტიც გავაკეთოთ. „საქართველოს ბანკთან“ თანამშრომლობით ძალიან კმაყოფილები ვართ და მათთან ერთად, კიდევ რამდენიმე პროექტს განვახორციელებთ. ბანკის გარეშე, ამ პროექტის განხორციელებას, ნამდვილად ვერ შევძლებდით“.**

## არჩილ გაჩეჩილაძე: „დეველოპერული ბიზნესის დაფინანსებას მომავალშიც გავაგრძელებთ“

აღნიშნულ სამშენებლო კომპანიებთან ურთიერთობით „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებიც კმაყოფილები არიან. ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ კორპორატიული საბანკო საქმიანობის დარგში, **არჩილ გაჩეჩილაძემ**, ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ ზოგადად, დეველოპერული ბიზნესის განვითარებას ქვეყნის წამყვანი ბანკი მომავალშიც განაგრძობს:

— დეველოპერული ბიზნესი ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, რომელსაც ჩვენ ვაფინანსებთ. ამ კუთხით ყველაზე აქტიური ბანკი ვართ. ამის მაგალითია ეს პროექტიც და ისიც, რომელიც ინგოროყვას ქუჩა №5-ში განხორციელდა და რაც უმნიშვნელოვანესია — წარმატებით და დროულად დასრულდა მშენებლობა.

**— ამ პროექტის ფარგლებში თქვენი თანამშრომლობა მხოლოდ კრედიტის გაცემაში გამოიხატებოდა?**

— ჩვენ, ძირითადად, ორი ტიპის მომსახურებას ვუწევთ სამშენებლო კომპანიებს. ერთია, დაფინანსება და მეორე — თუ ვხედავთ, რომ დაფინანსების წყარო ბოლომდე არსებობს, ვრთავთ იპოთეკურ პროგრამასაც ანუ ბინების გაყიდვის პროცესში გავცემთ იპოთეკურ სესხებს.

**— გარანტია აქვთ მომხმარებლებს, რომ დაპირებულ ბინას, ნამდვილად ჩაიბარებენ?**

— ეს კომპანიაზეა დამოკიდებული. ეს სამშენებლო კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხია. ჩვენ გარანტად არ ვუდგებით კომპანიას, მაგრამ ცხადია, დაინტერესებული ვართ, რომ საბოლოოდ, მომხმარებელმა მიიღოს პროდუქტი. მით უმეტეს, როცა იპოთეკურ სესხებსაც გავცემთ. აღნიშნულ კომპანიასთან მსგავსი პრობლემა არ იქმნება.

**— ამ ფონზე, აკვირდებით, როგორ მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი?**

— რა თქმა უნდა. კრიზისის მერე, ჩვენ უკვე მონიტორინგის ჯგუფი გვყავს, რომელიც თითოეული ტრანშის ათვისებას ადევნებს თვალყურს და აკონტროლებს, რომ ნამდვილად მიზნობრივად დაიხარჯოს თანხა.

**— გაყიდვების დინამიკასაც აკვირდებით. მით უმეტეს, ასეთი მაღალი კლასის ბინებზე მოთხოვნა დიდია?**

— 2009 წელთან შედარებით, 2010-2011 წლების განმავლობაში, დინამიკა იყო, სტაბილური და ოდნავ მზარდი. მოლოდინი გვაქვს, როგორც კი ეკონომიკური ზრდა დაიწყება, აუცილებლად გაიზრდება მოთხოვნაც. სასიამოვნოა, რომ ამ პრემიუმ-ხარისხის ბინებს, ხშირად ყიდულობენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები. რატომაც არა, ეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე კარგი პროექტია თბილისში.

**— თქვენი ბანკის მხრიდან, სამშენებლო კომპანიების დაფინანსების ტენდენციაც იზრდება?**

— კომპანია რომ დავაფინანსოთ, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, აუცილებლად უნდა გააჩნდეს კაპიტალი. სამწუხაროდ, ასეთი კომპანიების რიცხვი საქართველოში არც ისე დიდია. მიუხედავად ამისა, მაგალითად, 2012 წლის განმავლობაში, 14-მდე პროექტი დავაფინანსეთ, რაც პატარა რიცხვი არაა. მათ შორისაა, ეს ულამაზესი კომპლექსიც.

**— კომპანიებთან „გდგ“ და „გიგსი“, მომავალშიც აპირებთ თანამშრომლობას?**

— დიახ. 2013 წლის განმავლობაში, ასევე ვაპირებთ, გავაგრძელოთ კარგი პროექტების დაფინანსება. ამ კომპანიებთან ერთადაც, რადგან ისინი ხსენებულ მოთხოვნებს ნამდვილად აკმაყოფილებენ.

***ნინო ლურსმანაშვილი***

ჯანდაცვა



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

# „გრიპის გავრცელებასთან დაკავშირებით, პანიკის საფუძველი არ გვაქვს!“

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ადასტურებს, რომ საქართველოში სეზონური გრიპის შემთხვევების მატების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა გრიპის წლევანდელი სეზონი გავრცელების ინტენსივობით არ გამოირჩევა. დღეისთვის, ქვეყანაში, ლაბორატორიულად დადასტურებული 92 შემთხვევაა. აქედან 5 „ბ“ ტიპის ვირუსის შტამია, დანარჩენი 87 — „ა“ ტიპის, H1N1 (ღორის გრიპი), რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაშია გავრცელებული. სამწუხაროდ, მიმდინარე წელს, საქართველოში, გრიპს 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, 14 თებერვალს, საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა: **„საქართველოში გრიპის გავრცელებასთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არის. წლევანდელი ფონი სეზონური გრიპის გავრცელებისა, არ სჭარბობს შარშანდელს. მართალია, ბოლო სამი კვირის განმავლობაში ზრდის დინამიკა შეინიშნება, მაგრამ ეს ჯდება იმ ფარგლებში, რაც ყოველწლიურად არსებობს.**

**გრიპის გავრცელება იწყება ყოველი წლის 40-ე კვირიდან და მთავრდება მომდევნო წლის მე-20 კვირას. საქართველოში გრიპის შემთხვევების ზრდის დინამიკა ბოლო სამი კვირის განმავლობაში დაფიქსირდა. საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მზად არის, დაავადებასთან პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების გასატარებლად. სამედიცინო პერსონალი მობილიზიებულია. ყველა ამბულატორიულ თუ სტაციონარულ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ანტიგრიპოზული საშუალებები“.**




ჯანდაცვის სამინისტრო გრიპის უფასო ვაქცინაციის პროგრამას აღარ განახორციელებს!

ამირან გამყრელიძე მოსახლეობას სიფრთხილისა და ყურადღებისკენ მოუწოდებს და ურჩევს, გრიპის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე ექიმს მიმართონ. ყველაზე მეტად საყურადღებოა: მაღალი ცხელება, რომელიც გრძელდება ერთ დღეზე მეტხანს ბავშვებში და 2 დღეზე მეტ ხანს მოზრდილებში, საერთო ინტოსიკაცია (თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი), ხველა, ზოგ შემთხვევაში ყელის ტკივილი და ცხვირის „გაჭედვა“, სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, ციანოზი, ტკივილი გულმკერდის არეში, სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა, ბავშვებში — კრუნჩხვები, ყლაპვის გაძნელება... ამ შემთხვევაში სასურველია, აუცილებლად მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას, დაავადებულებმა კი, უნდა დაიცვან წოლითი რეჟიმი.

ამირან გამყრელიძე მოსახლეობას ურჩევს, პროფილაქტიკის მიზნით, ოთახი ხშირად გაანიავონ, დაიცვან სისუფთავე, მოერიდონ მასობრივი თავშეყრის ადგილებს. ეს გაფრთხილება, განსაკუთრებით, ეხება ბავშვებს, მოხუცებს, ორსულებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც რისკჯგუფს განეკუთვნებიან გრიპოზული ინფექციებისთვის.

ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ღონისძიება გრიპის პროფილაქტიკისთვის ანტიგრიპოზული ვაქცინაციაა: **„აცრა, განსაკუთრებით, დიდ ეფექტს მაშინ იძლევა, თუ ვაქცინაცია გრიპის სეზონის დაწყებამდეა ჩატარებული. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, არ იძლევა ისეთ 100%-იან დაცვასა და იმუნიტეტს გრიპისგან, როგორსაც ანტიდიფტერიული და ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ამ აცრის ეფექტი 60-75%-ია“.**

რაც შეეხება უფასო ვაქცინაციის პროგრამას, რომელიც გასულ წლებში რისკჯგუფებს უტარდებოდათ, წელს აღარ განხორციელდება.

**„უმრავლეს ქვეყნებში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ შედის იმუნიზაციის აუცილებელ კალენდარში. ამ ქვეყნების რიცხვში შედის საქართველოც. 2009-2010 წლებში, ერთი წლის განმავლობაში, მაშინ, როცა გრიპის პანდემია იყო მთელ მსოფლიოში, საქართველომ ერთჯერადი დახმარება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დონორებისგან მიიღო.“**

ამირან გამყრელიძე ადასტურებს, რომ ბავშვებს ყველაზე მეტად უტევს გრიპი. მისივე თქმით, თბილისში სრული დატვირთვით მუშაობენ ბავშვთა სტაციონარები. მისივე პროგნოზით, გრიპის სეზონის პიკი თებერვლის ბოლოსთვის გადაივლის.

# სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომლებს დააპატიმრებენ?!



## „ისინი ქალ მსჯავრდებულებს ჯგუფურად აუპატიურებდნენ“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**პენიტენციალურ სისტემაში სასჯელაღსრულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ზეწოლის, წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტების გამოვლინების სერია გრძელდება. ამჯერად, ყურადღების ცენტრში არასრულწლოვანთა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 დაწესებულებები მოექცა — გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული სამსახურეობრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული საპყრობილეს თანამშრომლები მსჯავრდებულებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.**

**კერძოდ, 21 მსჯავრდებულის მიერ მიცემული ჩვენებით ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამმართველოს ანალიტიკური განყოფილების უფროსმა რამაზ კაკუშაძემ, დეპარტამენტის უსაფრთხოების სამმართველოს ოპერატიული განყოფილების ინსპექტორმა დიმიტრი ხარაბაძემ, №15 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა თამაზ ჯაჭვაძემ და ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა გიორგი ხუხიამ „დისციპლინარული გადაცდომა ჩაიდინეს“.**

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ითქვა, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები დაფიქსირდა №5 დაწესებულებაშიც, სადაც დეპარტამენტის თანამშრომლები ქალ მსჯავრდებულებს ჯგუფურად აუპატიურებდნენ და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ.

საქმის გამოძიება, ამჯერადაც ქალ პატიმართა ჩვენებების საფუძველზე დაიწყო და გენერალურმა ინსპექციამ მოძალადე თანამშრომლების ვინაობაც მალევე დაადგინა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 5 დაწესებულების ნახევრადღია და დახურული ტიპის განყოფილების უფროსი გიორგი ფიფია და ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი გიორგი როდონაია.

**როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს მედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ირაკლი კორძაია აცხადებს, ქალთა ჩვენებებში ნათქვამია, რომ გიორგი ფიფია და გიორგი როდონაია 2011-2012 წლების პერიოდში, სამსახურებრივ მოვალეობას არაფხიზელ მდგომარეობაში ასრულებდნენ და მსჯავრდებულებს ინტენსიურად შეურაცხყოფას აყენებდნენ. მისივე განცხადებით, სამინისტრომ როგორც ქალთა, ასევე არასრულწლოვანთა დაწესებულებებში გამოვლენილი უკანონო ფაქტების განხილვის შემდეგ, უმკაცრეს ზომებს მიმართა და ძალადობაში ბრალდებული თანამშრომლები სისტემის ორგანოდან დაითხოვა,**

საქმეები კი გამოსაძიებლად მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. **„სამინისტროში მსჯავრდებულ ქალთა რამდენიმე საჩივრის წერილი შემოვიდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ №5 დაწესებულებაში პატიმრებს ადმინისტრაციის თანამშრომლები სასტიკად ეპყრობოდნენ. კერძოდ, აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ამასთან, მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ. ბუნებრივია, შემოსულ ინფორმაციას რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებდით, ამიტომ სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ საქმის მოკვლევა დაიწყო. დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები გიორგი როდონაია და გიორგი ფიფია, ორი წლის განმავლობაში, რბილად რომ ვთქვათ, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ახორციელებდნენ. მინდა გითხრათ, რომ პენიტენციალურ სისტემაში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ამაზე ჩვენი სამართლებრივი ქმედებებიც მეტყველებს. პატიმრებს, რომლებიც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ, უნდა სჯეროდეთ, რომ საპატიმროებში ადამიანის უფლებების დამრღვევი თანამშრომლები პასუხისგებაში მიეცემიან. შესაბამისად, თუ სამინისტროს გენინსპექციის სახელზე საჩივრის წერილი შემოვა, ის რეაგირების გარეშე არასოდეს დარჩება. ყველა ასეთ ადამიანს სამსახურებიდან დავითხოვთ და საქმეებს განსახილველად პროკურატურას გადავუგზავნით. თუ სასამართლო ამჟამად გამოვლენილი ეჭვმიტანილი თანამშრომლების ბრალეულობას დაამტკიცებს და გადაწყდება, რომ ისინი დამნაშავეები არიან, მათ საპყრობილეში აუცილებლად დავაბრუნებთ, თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებული სტატუსით“,** — აღნიშნა „ვერსიასთან“ საუბრისას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ირაკლი კორძაიამ. მისივე განცხადებით, სამინისტროში კიდევ რამდენიმე მსგავსი ფაქტის დამუშავება ხორციელდება, რაც საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

## ვერსიანიუსი

### საქართველოს ციხეებში 12 175 პატიმარია



ამნისტიის ამოქმედებიდან ერთი თვის შემდეგ, საქართველოში 19 ათას 330 პატიმარი (ბრალდებული/მსჯავრდებული) იყო, ამ დროისათვის კი — 12 ათას 175 დარჩა.

ამნისტიის ფარგლებში პატიმართა გათავისუფლების პროცესი გრძელდება.

12 თებერვალს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გათავისუფლდა კიდევ 107 პირი.

ბოლო მონაცემებით, ციხეები დატოვა სულ 7 025 პატიმარმა, მათ შორის, 175-მა პოლიტპატიმარმა, 277-მა ქალმა და 17-მა არასრულწლოვანმა.

***„ინტერპრესნიუსი“***

თეონა მანაგაძე
For.ge

**სამართალდამცავ უწყებებში ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვის სერიები კვლავ გრძელდება. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, ნაციონალური მოძრაობის „ამაყ“ გენერალურ მდივანს, ვანო მერაბიშვილს ორი საათის განმავლობაში კითხავდნენ, ხოლო კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილს — ოთხსაათნახევრის განმავლობაში. პროკურატურის ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვაზე დაბარება „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამას“ უკავშირდება.**

**წევრები იმ თბილ და რბილ კაბინეტებში მოაწყო, რომლებიც, თავის დროზე, ძველმა ხელისუფლებამ ააშენა. სხვა მხრივ კი, ქართველ ხალხზე არავინ ფიქრობს. საქართველოში ახალი სამუშაო ადგილები არათუ შეიქმნა, არამედ 92 ათასზე მეტი უმუშევარია. თუ ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ ის დაპირება, რომელიც დადო და თქვა, რომ დაკითხვაზე ვანო მერაბიშვილს მესამედ მოიყვანდა და ამით ვალდებულების შეუსრულებლობას დააბალანსებდა, რომლითაც იგი უკვე ცნობილია, კი ბატონო, მე დიდი სიამოვნებით მოვედი, არ დამეზარება და დიდი სიამოვნებითაც ჩვენს მიერ აშენებულ ამ მშვენიერ შენობებს დავათვალიერებ, სადაც, სამწუხაროდ, დღევანდელი რეჟიმის ნათესავები და ოჯახის წევრები არიან დასაქმებულნი“,** — განაცხადა მერაბიშვილმა.

ყოფილი პრემიერის შეფასებით, ადრე თუ

# „ხელები შორს ვანოსგან!“



ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, მანამდე კი, ყოფილი დიპლომატი და დედაქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ქუთაისში, დაკითხვაზე 12:00 საათზე, „ნაცმოძრაობის“ 30-მდე მხარდამჭერთან ერთად გამოცხადდა და ხელისუფლებას ოპონენტების პოლიტიკურ დევნაში დასდო ბრალი.

დაკითხვიდან გამოსულმა ჭიაბერაშვილმა განგვიცხადა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში, გამოძიების ჩატარება ბევრ პოლიტიკურ კითხვას აჩენს.

მისი ინფორმაციით, დაკითხვაზე, სამართალდამცავები დასაქმების მაძიებელთა პროგრამის მიზნებით დაინტერესდნენ, კერძოდ, წინა მთავრობამ რის გამო მოამზადა ეს პროგრამა.

**„ეს პროგრამა, ჩვენი მოქალაქეების დასაქმების მიზნით მომზადდა. დასაქმების პრობლემის მოგვარებას, ნებისმიერმა მთავრობამ ყურადღება უნდა დაუთმოს. გამოძიებაც ადასტურებს, რომ მასშტაბური სამუშაოები იქნა ჩატარებული, რის შესახებაც ჩემი მხრივ, მათ ინფორმაცია მივაწოდე, თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში გამოძიების ჩატარება ბევრ პოლიტიკურ კითხვას აჩენს — რაში სჭირდება ხელისუფლებას კითხვის ნიშნის დასმა იქ, სადაც ეს საჭირო არ არის. ხელისუფლებამ ჩვენს მიერ მომზადებული ბაზა უნდა აიღოს, რომელიც 25 ქალაქში გაკეთდა და ის ქვეყნის მასშტაბით უნდა სრულყოს. სჯობს, მათ პოლიტიკურ შანტაჟს თავი დაანებონ და საქმეს მიხედონ“,** — განაცხადა ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვის პარალელურად, სამართალდამცავთა კითხვებს, „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი პასუხობდა, რომელიც დაკითხვაზე 16:00 საათზე გამოცხადდა.

ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, სადაც საოლქო პროკურატურაა განთავსებული, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გამოჩენას „ნაცმოძრაობის“ 100-მდე მხარდამჭერის ტაში მოჰყვა, რომლებიც მანამ დაიშალნენ, სანამ ვანო მერაბიშვილმა სამართალდამცავი უწყება დატოვა. არადა, 16:00 საათისთვის „ნაციონალთა“ აქტივისტებმა შეკრება დაიწყეს და თავიანთი ლიდერის პროკურატურაში დაბარება ტრანსფარანტებით „ხელები შორს ვანოსგან!“ გააპროტესტეს. მართალია, ქუთაისის მერიამ მოქალაქეთა მობილიზება შეძლო, მაგრამ დისლოკაციის ადგილზე მიყვანილ მოქალაქეებს ის შემართება აკლდათ, რასაც წლების განმავლობაში საზოგადოება ხედავდა.

დაკითხვაზე შესვლამდე, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ წინა მთავრობის მიერ აშენებულ ახალ იუსტიციის სახლში ამაყად შევიდოდა, დაკითხვიდან გამოსულმა კი, აქცენტი ნეპოტიზმზე გააკეთა:

**„ერთადერთი, რაც ქვეყანაში გაკეთდა, არის ის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ საკუთარი ნათესავები, მეზობლები და ოჯახის**

გვიან, საქართველოში ხელისუფლება მოვა, რომელიც რიგითი მოქალაქეების დასაქმებაზე იზრუნებს და მთელ ქვეყანას საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებს არ გადააყოლებს. **„ივანიშვილის დავალებით 2 000 სოციალური აგენტი დაუკითხავთ და მინდა, თითოეულს, ვინც დაკითხეს და დაკითხავენ, ბოდიში მოვუხადო. ამავე დროს, მინდა, ყველა სოცაგენტს მადლობა ვუთხრა, რომ მრავალრიცხოვანი მონაცემთა ბაზა შეადგინეს და 600 ათას ოჯახში იმყოფებოდნენ, რისი მოწმეც მთელი საქართველოა. ფაქტია, დღევანდელი მთავრობა დასაქმებაზე არ ფიქრობს“,** — განაცხადა მერაბიშვილმა.

„ნაციონალების“ 20-მდე მხარდამჭერმა, რომელთა შორის მერიის თანამშრომლები და იმერეთის გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძეც იყვნენ, დაკითხვის შემდეგ, მერაბიშვილის ავტომობილამდე მიცილება განიზრახეს, რის გამოც, მათ ფეხით 50 მეტრის გავლა მოუწიათ, ქუთაისური მასპინძლობით დარცხვენილმა ყოფილმა პრემიერმა კი, მათ გასაგონად იხუმრა, „წითელ ხალიჩაზე კი არ მივდივარ და მადონა კი არ ვარ, რომ მომყვებით“. პროკურატურის მიმდებარე ტერიტორია მერაბიშვილმა სწორედ ამ სიტყვებით დატოვა. შესაძლოა, მას ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მისვლა ისევ მოუწიოს, რადგან გამოძიება გრძელდება.

პროკურატურის ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამასთან“ დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს.

მათი ცნობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის ივლისიდან, საქართველოს 25 ქალაქში დასაქმების აგენტების მიერ შესაბამისი კითხვარების შევსება და მონაცემების ელექტრონულ ბაზებში შეყვანა ინტენსიურად მიმდინარეობდა.

**„შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივისა და მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილების საფუძველზე, 2012 წლის 3 სექტემბერს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ ბრძანება გამოსცა, რომლის შესაბამისად, ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, შტატგარეშედ, საქართველოს ყველა რეგიონში დამატებითი კონტრაქტები 21 837 პირს გაუფორმდა, რომლებსაც პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეთა დასაქმებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. გამოძიებით გაირკვა, რომ ზემოაღნიშნულ 21 837 პირს სოცსააგენტოს მხრიდან შესასრულებელი სამუშაოების ირგვლივ არავითარი ინფორმაცია და დავალება არ მიუღია, მათ არც რაიმე ტრენინგი ჩატარებიათ და არ გადასცემიათ კითხვარები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში უნდა შევსებულიყო. მიუხედავად ამისა, 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, ყველას „ლიბერთი ბანკის“ შესაბამის ფილიალებში ხელფასის სახით, 240 ლარი დაერიცხათ. სულ, ამ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 240 880 ლარია გადარიცხული“,** — წერია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამას გარდა, პროკურატურის ცნობით, გამოძიების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, მოწმის სახით 2000-მდე პირი დაიკითხა, რომელთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ზემოხსენებულ 21 837 მოქალაქეს „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის“ ფარგლებში არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ და თანხა პოლიტიკური გაერთიანება ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერად წარმოებული წინასაარჩევნო აქტიურობისთვის მიიღეს, რაც საქართველოს პრეზიდენტთან დაგეგმილ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობაში, „ნაცმოძრაობის“ პარტიული ბროშურების, ფლაერებისა და სიმბოლიკების დარიგებაში, პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის განხორციელებაში გამოიხატებოდა.

# აფბა საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს ქმნის



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ (აფბა), 90-იან წლებში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლას გეგმავს. ამ პროცესის შედეგად, საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად გაღატაკდა, რადგან მათი ფულადი დანაზოგები გაუფასურდა. ამ მიზნით, აფბა საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს ქმნის. ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ საზოგადოება იმსახურებს, იცოდეს, კონკრეტულად რომელი უწყების ბრალია 90-იანი წლების ჰიპერინფლაცია.**




90-იანი წლების ჰიპერინფლაცია და კუპონის გაუფასურება მაშინდელი ეროვნული ბანკის ბრალია?!

აფბა-მ უკვე დაიწყო კვლევისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების შეგროვება. გასულ კვირას, ასოციაციამ ეროვნულ ბანკს უკვე მიმართა და ცალკეულ საკითხებზე, მათ შორის, 1991-93 წლებში ეროვნული ბანკის მიერ, 500-ზე მეტი ორგანიზაციისთვის, 854 მილიარდი მანეთისა და კუპონის საკრედიტო რესურსის გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება მოითხოვა. აფბა-ს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტის გამო გაუფასურდა მოსახლეობის დანაზოგები და ეს იყო მიზეზი, რის გამოც სოციალურ-ეკონომიკური დონე დამძიმდა.

აფბა-მ იმ კომპანიების სიასაც მიაკვლია, რომლებმაც 1991-1993 წლებში, ეროვნული ბანკისგან ასეულობით მილიარდი მანეთისა და კუპონის მოცულობის კრედიტი მიიღეს:

**„კავკასიონი“, „ოპიზარი“, „საქართველო“, „თამარიონი“, „მეტეხი“, „ნარიყალა“, „თბილისი“, „არაგვიბიზნესბანკი“, „იბერიაბანკი“, „ცეკავშირი“, „დრო“, „გორა“, „ჭიათურა“, „ენერგობანკი“, „რესპუბლიკა“, „ავტობანკი“, „პროგრესბანკი“, „მაგისტრალბანკი“, „იმედი“, „კერძო ბანკი“, „აღმაშენებელი“, „არგობანკი“, „გურიტი“, „დიდუბე“, „ბაგრატიონი“, „დელტა 2“, „ნუგეში“, „მედეა“, „კრიდიკა“, „თბს-ბანკი“, „თმს 21-ე საუკუნე“, „მუზა“, „ელიტა“, „ცხინვალი“, „ორბი“, „ფენიქსი“, „არმაზი“, „საქსოცბანკი“, „ტრანსბანკი“, „ბანკი ლარი“, „თბილუნივერსალბანკი“, „კავკასიის ბანკი“, „აღორძინება“, „კაპიტალბანკი“, „კონტინენტალბანკი“, „რუბიკონი“, „შალენი“, „კრედიტი“, „ამირანი“, „სამეფო ბანკი“, „ბანიბანკი“, „ქუთაისბანკი“, „ენგური“, „ეგრისი“, „სიონი“, „თბილკომბანკი“, „დივიდენდი“, „კობა“, „გეიკო“, „მერკური“, „ჯვარი“, „მშენებელი“, „ვესტა“, „იბერთბანკი“, „კენტავრი“, „პირამიდა“, „გრემი“, „ევრაზია“, „ვადაგი“, „ოქროს საწმისი“, „ბახტრიონი“, „ქველი“, „დელისი“, „ლუპარა“, „ქინძმარაული“, „კოლხა“, „ბათუმი“, „კოლხიდა“, „მარჩილი“, „კიდობანი“, „გეა“, „ელვა“, „თეთრი“, „პონტო პოლისი“.**

აფბა-ს პრეზიდენტმა, **ნოდარ ჭიჭინაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის წარმომადგენლები მზად არიან, აფბა-ს უპასუხონ. მართალია, ასოციაციაში ჯერ არ იციან, კონკრეტულად, რა პოზიცია აქვს ეროვნულ ბანკს ამ საკითხზე, მაგრამ ფაქტია, 90-იან წლებში, ეროვნული ბანკის მიერ, 500 კომპანიაზე გაცემული კრედიტების გამო, ქვეყანაში არნახული მასშტაბის ჰიპერინფლაციური პროცესები განვითარდა:

**„ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში, ქვეყანაში ჰიპერინფლაცია არ მოხდებოდა, მაგრამ ის მასშტაბი, რაც საქართველოში დაფიქსირდა, ვფიქრობთ, ეროვნული ბანკის ბრალია. არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ამ მასშტაბის ინფლაცია არ დაფიქსირებულა, მაგრამ საქართველო, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ერთ-ერთ მდიდარ რესპუბლიკად მიიჩნეოდა, უკიდურესად გაღარიბდა. ვფიქრობთ, ეს ეროვნული ბანკის გაუაზრებელი და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი იყო. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, გარკვეული ფორმით, ეროვნულმა ბანკმა 90-იან წლებში განვითარებული პროცესების გამო, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს“.**

მართალია, აფბა საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს ქმნის, მაგრამ, საინტერესოა, ახალგაზრდა ფინანსისტები მხოლოდ საბჭოთა ანაბრების გაუფასურების მიზეზებს გამოიკვლევენ თუ სამომავლო პერსპექტივაში, საბჭოთა მეანაბრეებს გარკვეულ კომპენსაციებსაც დაურიგებენ. ნოდარ ჭიჭინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომპენსაციების გაცემა მათი კვლევის საგანი არ არის:

**„ამ თანხის დაბრუნება გართულდება, რადგან 20 წელი გავიდა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ნაბიჯიც არ გადადგმულა. საბჭოთა ანაბრები, ძირითადად, პოლიტიკური მანიპულაციების თემაა, რასაც როგორც წესი, სხვადასხვა პარტიები წინასაარჩევნოდ იყენებენ ხოლმე, არადა, პოლიტიკოსების უმრავლესობას წარმოდგენაც არ აქვს, ვისი დასაბრუნებელია ეს ანაბრები, კონკრეტულად, რომელი უწყების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ან რამ გამოიწვია ჰიპერინფლაცია. მოსახლეობამ ზუსტად უნდა იცოდეს, ვის გამო გაუფასურდა მათი ანაბრები ერთ დღეს. აი, ამ მიზეზების გამოვლენა გვინდა და როდესაც კონკრეტული უწყების ან თუნდაც პირების ბრალეულობა გამოიკვეთება, ამის შემდეგ დადგება დღის წესრიგში, გადაიხდის თუ არა კომპენსაციებს“.**

„ვერსია“ დაუკავშირდა ეკონომიკის ექსპერტს, **ირაკლი ლექვინაძეს**, რომელიც აფბა-ს ექსპერტების ამ მცდელობას მიესალმება და მიაჩნია, რომ საბჭოთა ანაბრების გაუფასურების პროცესის სწორი ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ამ თემას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ინტერპრეტაცია ეძლეოდა:

**„ჩვენს ქვეყანაში ჰიპერინფლაციური პროცესი ყველაზე მწვავედ განვითარდა, რადგან 90-იან წლებში, საქართველომ მხოლოდ დამოუკიდებლობა კი არ მოიპოვა, არამედ — სამანეთო ზონიდანაც გამოვიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფულის მიწოდება ანუ ქაღალდზე დაფიქსირებული ანაბრები ბანკებში იყო, მაგრამ რეალური ფული, რომელიც მოსახლეობის მიმართ, ვალდებულებების სახითაა გაწერილი, დეფიციტში იყო, ბანკებს იმის საშუალება არ გააჩნდათ, ეს ანაბრები მოსახლეობისთვის მიეცათ. აქ მარტო ანაბრებზე კი არ არის საუბარი, ზოგადად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ, ბრუნვაში რომ ყოფილიყო ფული, ამის საშუალებაც კი არ არსებობდა, ამიტომ დაიწყო მაშინდელი ეროვნული ვალუტის, ანუ ფულის სუროგატის — კუპონის ბეჭდვა. ზოგადად, ფულის ბეჭდვა უკიდურესი გზაა ეკონომიკურ პროცესებში, როდესაც ხარჯების დაფინანსების მხრივ, სხვა გამოსავალი არ გაქვს, ფულის ბეჭდვას იწყებ, მაგრამ ეს პროცესი ჰიპერინფლაციასთან პირდაპირ კავშირშია. რა თქმა უნდა, 90-იანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში ომი იყო, პოლიტიკური პრობლემები გვქონდა რუსეთთან, რასაც სამანეთო ზონიდან გასვლაც დაემთხვა და ჯამში, ყველაფერ ამის შედეგი იყო ის, რაც მივიღეთ. ეს იყო ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ბანკის მართვის გამოცდილებაც კი არ არსებობდა. საქართველო ახალგაზრდა ქვეყანა იყო, მაშინ გადავდიოდით საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ამიტომ, პროცესების მართვის ან პრევენციული ზომების მიღების გამოცდილება არავის, არც ერთ უწყებას არ ჰქონდა“.**

ირაკლი ლექვინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ საბჭოთა ანაბრების დაბრუნების თეორიული შანსი არსებობს, რადგან სახელმწიფომ ეს ანაბრები შიდა ვალში აიღო. რეალურად, ის, რაც მოხდა, კონკრეტული ბიზნეს-ჯგუფის, ან რომელიმე ბანკის პრობლემა კი არა, სახელმწიფოს პრობლემა იყო, რადგან ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი განვითარდა. 1997-1998 წლებში, საბჭოთა მეანაბრეების დიდ ნაწილს კომპენსაციები დაურიგეს კიდეც, მაგრამ ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ პოლიტიკური პროცესების გამო, კომპენსაციების გაცემა მალევე შეჩერდა:

**„არ გამოვრიცხავ, რადგანაც საბჭოთა ანაბრები სახელმწიფომ შიდა ვალში აიღო, მომავალში, გარკვეული ფორმით, მათი დაბრუნების პროცესიც დაიწყოს, მაგრამ დღეს, ამის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. სხვათა შორის, ყველამ უნდა გაიგოს, რომ ერთი-ერთში, საბჭოთა ანაბრების დაბრუნება შეუძლებელია. უკრაინაში, იულია ტიმოშენკოს მმართველობის დროს იყო ამის მცდელობა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული, არასასურველი პროცესები მოჰყვა. პრაქტიკულად, უკრაინული ბანკები გაკოტრების საფრთხის წინაშე დადგა და ამიტომ, ეს მარტივი პროცესი ნამდვილად არ არის. ამას სჭირდება ინდექსაცია, გარკვეული ტოლობის შედგენა, რაც შესაძლოა, სამომავლოდ, დღის წესრიგში დადგეს კიდეც. დღეს, ქვეყანა სულ სხვა აქტუალური გამოწვევების წინაშე დგას, საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხი კი სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ“.**

## ვერსიანიუსი

### ბიძინა გიორგობიანი მის წინააღმდეგ მოქმედ მთავარ პირებად ახალაიას, მერაბიშვილს, მესხელსა და თარგამაძეს ასახელებს



8-წლიანი ემიგრაციიდან დაბრუნებული ბიძინა გიორგობიანი მის წინააღმდეგ მოქმედ მთავარ პირებად დათა ახალაიას, ვანო მერაბიშვილს, ამირან მესხელსა და გივი თარგამაძეს ასახელებს. მისი თქმით, ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილის თანხმობით ხდებოდა, მას დევნიდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები.

**„საუბარია კონტროლის პალატაში კუდ-ის მიერ მიმაგრებულ ე.წ მრჩევლებზე, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროსაც ჰყავდა. ხშირია, როდესაც ერთი დაჯგუფება, რომელიც ხელისუფლების უზურპაციისკენ მიდის, სხვა პარტიის წევრებს ან დამოუკიდებელ ადამიანებს დევნის. სატყეო დეპარტამენტში ყალბი დოკუმენტაციით ხდებოდა ფინანსური მაქინაციები, რაც ავკრძალე. ვეწინააღმდეგებოდი ჩაქუჩის ქვეშ ტყეების გასხვისებასაც, რის გამოც, კახა ბენდუქიძესთან არაერთხელ მქონდა მძიმე საუბარი. მისი არაეთიკური ლექსიკა კი კარგად მოგეხსენებათ“,** — განაცხადა გიორგობიანმა.

მისივე ინფორმაციით, მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა გივი თარგამაძის უშუალო მითითებით გამოცხადდა, რამაც „გერმანიაში ცხოვრება ძალიან გაურთულა“.

როგორც გიორგობიანმა აღნიშნა, ემიგრაციაში წასვლიდან სამ დღეში, მისი სატელევიზიო მიმართვის გავრცელების შემდეგ, ვანო მერაბიშვილმა დაურეკა.

**„რატომ არ მითხარი ის ყველაფერი, რაზეც მიმართვაში საუბრობ. ვუთხარი, რომ მალე მათი უკანონო ქმედებების დამადასტურებელ დოკუმენტებს გამოვაქვეყნებდი, რის შემდეგაც ჩვენი საუბარი საბოლოოდ დასრულდა და სასამართლომ დაუსწრებლად 6-წლიანი პატიმრობა შემიფარდა“,** — აღნიშნა გიორგობიანმა.

რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებულ გამოძიებას, მისი თქმით, ამ საკითხზე გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციასა და დოკუმენტებს არ ფლობს, თუმცა აქვს ჟვანიას „ძალადობით მოკვდინების“ ვარაუდი: **„გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, ჟვანია ჩემთან, პირად საუბარში აღნიშნავდა ხოლმე, რომ ყოფილ პარტნიორებთან გაუცხოება დაეწყო“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

### შსს-მ პოლიციელის დაჭრა გვიან გაახმაურა



პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ თენგიზ გუნავასთან ერთად, ზუგდიდის საავადმყოფოს „რესპუბლიკაში“ დაჭრილი პოლიციელი დავით ქვარაია მოინახულა.

სააკაშვილის თქმით, შსს-მ პოლიციელის დაჭრის ფაქტი მხოლოდ თენგიზ გუნავას მიერ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გაახმაურა.

**„გაიგეს, რომ აქ ჩამოვდიოდი, დილით 05.00 საათზე გადმოვიდნენ თბილისიდან, რომ ჩემზე წინ მოსულიყვნენ“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა.

სააკაშვილი მედპერსონალისთვის ორი თვის გაუცემელი ხელფასების საკითხსაც გამოეხმაურა და მოუწოდა ხელისუფლებას, აღნიშნულ საკითხს **„მიხედონ და შეეშვან კაბინეტებში ჯდომას“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

### თეა წულუკიანი მთავრობას მოუწოდებს



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მთავრობის წევრებს მოუწოდებს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებზე იმას ნუ იტყვიან, რასაც მარტო დარჩენის დროს ფიქრობენ.

**„როცა მარტო ვრჩები, ყოფილ მთავრობაზე მეც ვფიქრობ. ყველა მთავრობის წევრს მოვუწოდებ, ნუ იტყვიან ყოფილ მთავრობაზე იმას, რასაც ფიქრობენ, როცა მარტო დარჩებიან“**, — ასე გამოეხმაურა მინისტრი პოლიციის აკადემიის პრორექტორის, ლუკა კურტანიძის საგაზეთო ინტერვიუში გამოყენებულ გამონათქვამს, სადაც კურტანიძე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვირთხებად მოიხსენიებს.

*„ინტერპრესნიუსი“*




# „საქართველოს ხელისუფლება რუსეთისკენ მიექანება“




ამერიკული ვებგვერდი WorldNetDaily (WND) აქვეყნებს პენტაგონის ყოფილი ანალიტიკოსის, მაიკლ მელოფის სტატიას სათაურით: „აშშ სტრატეგიულ დემოკრატიულ მოკავშირეს კარგავს?“ სტატიის ქვესათაურია – „საქართველოს ხელისუფლება რუსეთისკენ მიექანება“.

როგორც მაიკლ მელოფი წერს, საქართველო, ქვეყანა კავკასიაში, სტრატეგიული დემოკრატიული მოკავშირე იყო აშშ-სთვის, რომელმაც ბოლო წლებში ამ ქვეყანაში ასობით მილიონი დოლარის ინვესტირება მოახდინა, თუმცა ახლა, მთელი ის ინვესტიცია, დრო და ძალისხმევა, შესაძლოა, ვაშინგტონის ნაცვლად, მოსკოვისკენ გაემართოს.

**„ეს იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ახალარჩეული პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აპირებს, დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკა გაატაროს. სააკაშვილის პარტია ცოტა ხნის წინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და ახლა ივანიშვილი — მილიარდერი, რომელმაც ქონება რუსეთში იშოვა, იმ კურსის გატარებას აპირებს, რომელიც უფრო მეტად ხსნილია რუსეთისთვის“,** — აღნიშნავს ავტორი.

სააკაშვილის ურთიერთობა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, — წერს WND-ის ავტორი, — ისეთ დაძაბულობაში გადაიზარდა, რომ მოსკოვმა საქართველოდან იმპორტი შეწყვიტა და სააკაშვილს „ტერორისტის“ იარლიყი მიაკერა იმ ქმედებისთვის, რამაც 2008 წელს საქართველოში რუსეთის შეჭრა გამოიწვია. შედეგი სავალალო იყო საქართველოსთვის, რომელმაც ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი დაკარგა – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. ახლა რუსეთს ორივე რეგიონი ოკუპირებული აქვს და ორივეგან საკუთარი სამხედროები ჰყავს გამაგრებული.

როგორც სტატიის ავტორი წერს, არჩევნებიდან მალე, ახალ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს აშშ-ს მაღალჩინოსნებთან შეხვედრის სურვილი ჰქონდა, თუმცა ვერც ერთი შეხვედრა ვერ შედგა.

აშშ-ს ჯერაც სურს, საქართველომ გააგრძელოს დასავლეთისკენ მიმართული კურსი, რადგან კავკასიის ამ პატარა ქვეყანას კვლავაც განიხილავს სტრატეგიულად და იმ ქვეყნად, რომელშიც აშშ-მ ასობით მილიონი დოლარის ინვესტირება მოახდინა, რათა დაერწმუნებინა იქაური ლიდერები, პოლიტიკური ხედვა დასავლეთისკენ ჰქონოდათ მიმართული. რაც ასევე გულისხმობს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ჯერაც წარუმატებელ ძალისხმევას.

საქართველო, — წერს მაიკლ მელოფი, — ასევე სტრატეგიულად განლაგებული ქვეყანაა კავკასში – ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყნებს ესაზღვრება. სომხეთ-აზერბაიჯანის დაუსრულებელი კონფლიქტის გამო, საქართველო აკავშირებს აზერბაიჯანს მის მოკავშირე თურქეთთანაც.

4-მილიონიანი ქვეყანა ასევე ქმნის დერეფანს რუსეთსა და მის უახლოეს მოკავშირე სომხეთს შორის, სადაც სამხედრო ბაზები დგას, რომელსაც რუსეთი აფართოებს. ეს მოსკოვს მეტ სტრატეგიულ უპირატესობას აძლევს კასპიის ზღვაში და რუსეთის ჯარებს აყენებს პოზიციაში, ისრაელის თავდასხმის შემთხვევაში, გადავიდნენ ირანის მხარეს.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, საქართველომ ჯარები მიავლინა ერაყსა და ავღანეთში და მათ იქ დატოვებას გეგმავდა მას შემდეგაც, რაც 2014 წლის ბოლოსკენ აშშ და ნატო იქიდან თავის ჯარებს გამოიყვანდა.

თუმცა, ივანიშვილის მმართველობისას, არსებობს მინიშნებები, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს არაფორმალური მოლაპარაკებები, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, იგივე დსთ-ში ხელახლა გაწევრიანების შესახებ.

*„ინტერპრესნიუსი“*

ძალადობა

# SOS! 182-ე საჯარო სკოლაში მეშვიდეკლასელი ბიჭი გააუპატიურეს!

ნელი თორდია





რას ითხოვენ სკოლის მოსწავლეების მშობლები, რას ადასტურებს განათლების სამინისტრო და რატომ გახშირდა მოზარდებში ძალადობის ფაქტები

ვარკეთილში, 182-ე საჯარო სკოლამ საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ მიიქცია, როცა სკოლის დირექტორად ყოფილი მანდატური, 23 წლის სოფო საბულუა დაინიშნა. პირველი, რაც „ნორჩმა დირექტორმა“ გააკეთა, დამსახურებული და გამოცდილი 14 პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლება იყო, თუმცა შემთხვევა, რომელიც 182-ე სკოლაში თვენახევრის წინ მოხდა, პედაგოგთა მასობრივ გათავისუფლებაზე შემზარავია.

**ცნობილი გახდა, რომ 182-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ბიჭი უფროსკლასელთა მხრიდან სექსუალური ძალადობას განიცდიდა. ბიჭუნაზე ძალადობდნენ ახლომდებარე სასაფლაოზე, მანდატურებით „გამაგრებული“ სკოლის ეზოში, საპირფარეშოში და ა.შ. ბოლო შემთხვევა, რის შემდეგაც, სექსუალური ძალადობის შესახებ სკოლის დირექციამ და მოსწავლეთა მშობლებმა შეიტყვეს, დეკემბრის ბოლოს მოხდა. მეშვიდე და მეცხრეკლასელმა მოსწავლეებმა ბიჭი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აიყვანეს სკოლის სხვენში და გაუპატიურება კიდევ ერთხელ დაუპირეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბავშვზე ძალადობის პირველი შემთხვევა არ იყო, მან მოძალადეებს წინააღმდეგობა გაუწია. საწადელს რომ ვერ მიაღწია, ერთ-ერთმა გაბრაზებულმა მოძალადემ ბავშვს პირში ჩააშარდა. შიშისა და სირცხვილის გამო, დაზარალებულმა მოსწავლემ მომხდარის გამხელა ვერ გაბედა და ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, რაც ერთ-ერთმა მოძალადემ მომხდართან დაკავშირებით, ტრაბახი და დაზარალებულის დაცინვა დაიწყო.**

ამბის გახმაურების შემდეგ, სკოლას აღშფოთებული მშობლები მიაწყდნენ და საქმეში სამართალდამცავები ჩართეს. „ვერსიასთან“ საუბარში, ერთ-ერთი მოსწავლის დედამ განაცხადა, რომ როგორც კი ამ საზარელი შემთხვევის შესახებ გაიგეს, მოძალადე ბავშვების კლასელებმა მათთან ერთად სწავლაზე უარი განაცხადეს და რამდენიმე ბავშვს სკოლიდან წასვლა მოუწია. **„მოძალადეებს შორის მეშვიდე და მეცხრეკლასელი ბიჭები იყვნენ. რა თქმა უნდა, ამ ამბების შემდეგ სკოლიდან წასვლა მოუწიათ, თუმცა მთავარი მოძალადე არც ერთმა საჯარო სკოლამ არ მიიღო და ბოლოს, ერთ-ერთმა კერძო სკოლამ შეიფარა. ეს ბავშვები კი გადავიდნენ, მაგრამ მშობლები იმდენად შეშინებული ვართ მომხდარის გამო, რომ კარგა ხანს შვილების სკოლაში გაშვებას ვერ ვბედავდით. ფაქტია, ეს ყველაფერი სკოლის კედლებში, დირექციისა და მანდატურის გვერდით მოხდა და ჩვენი შვილები დაცულები არ არიან. ეს ამბავი რომ „გასკდა“, კლასის ხელმძღვანელმა თქვა, ეს მოძალადე ბავშვები გაკვეთილებზე რაღაც საეჭვოდ იქცეოდნენ. ერთმანეთს რაღაცებს ანიშნებდნენ, „პირი, პირიო“ გასძახებდნენ, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ეს უბედურება ხდებოდაო. როცა ყველაფერი გავიგეთ, დიდი ამბავი ატყდა. ამ მეშვიდეკლასელ ბიჭს დედა და ბებია ზრდიან და მოძალადე ბავშვს გამწარებულები მიუცვივდნენ სახლში. იყო ერთი გაწევ-გამოწევა. მერე პატრულს გამოუძახეს და საქმეში პოლიცია ჩაერთო. ფაქტია, რომ ამ ნამანდატურალი დირექტორის მოსვლის შემდეგ სკოლა სკოლას აღარ ჰგავს, მაგრამ ასეთ რამეს მაინც ვერ წარმოვიდგენდით“.**

182-ე სკოლის დირექტორმა სოფო საბულუამ „ვერსიის“ კითხვები ისე გაიკვირვა, თითქოს მომხდარის შესახებ პირველად ჩვენგან გაიგო. **„დავიწყოთ იმით, რომ ეს ჩვენს სკოლაში არ მომხდარა, მეორეც, გაუპატიურების მცდელობა არ ყოფილა, უბრალოდ, სხვა ბავშვებს შორის მოხდა ჩხუბი და.. გაუპატიურების მცდელობა ძალიან უხეშად ნათქვამია და მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს მოხდა ზაფხულში და არა დეკემბერში, თან ჩვენს სკოლაში არ მომხდარა. ჩვენი ბავშვები იყვნენ, მაგრამ ჩვენს სკოლაში არ ყოფილა. მე განათლების სამინისტროშიც ვიყავი. არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ და ყველაფერი ავუხსენი. პროკურატურასა და სამართალდამცავებსაც ავუხსენი და ეს საქმე დაიხურა იქიდან გამომდინარე, რომ იყვნენ არასრულწლოვნები და გაუპატიურება არ ყოფილა. მორჩა ეს ამბავი და დამთავრდა“.**

**სკოლის დირექტორის თავდაჯერებასა და ოპტიმიზმს არ იზიარებენ 182-ე სკოლის მოსწავლეთა მშობლები. ჩვენი ინფორმაციით, სკოლის მშობელთა საინიციატივო ჯგუფმა, დირექტორისა და მანდატურების პასუხისმგებლობის მოთხოვნით, განათლების სამინისტროს განცხადებით მიმართა. სამინისტროში „ვერსიას“ დაუდასტურეს, რომ 4 თებერვალს, 182-ე საჯარო სკოლის მშობელთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება შევიდა და განმარტეს, რომ მიმდინარეობს საქმის შესწავლა და სკოლა პასუხს კანონით დადგენილ ვადებში მიიღებს.**

სამწუხაროდ, 182-ე საჯარო სკოლაში მომხდარი შემთხვევა ერთადერთი არაა და ბოლო წლების განმავლობაში იმატა ინფორმაციამ ბავშვთა შორის სხვადასხვა ტიპის ძალადობაზე. „ვერსიის“ ინფორმაციით, შარშან და წელს, მოსწავლეთა შორის სექსუალური ძალადობის ფაქტები დაფიქსირდა გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორისა და ვაკის სკოლებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ შემთხვევაში მოძალადეცა და მსხვერპლიც ერთი სქესის წარმომადგენელი გახლდათ. ფსიქოლოგი თამუნა ობოლაძე მოზარდთა შორის სექსუალური ძალადობის ფაქტებს საზოგადოებაში ძალადობის მომრავლებით, აღზრდისა და ფსიქიკის პრობლემებით ხსნის. „ვერსიის“ კითხვას, იმოქმედა თუ არა მოზარდების ფსიქიკაზე ციხის კადრების ჩვენებამ, ფსიქოლოგი პასუხობს, რომ ციხის კადრებმა რაღაც დოზით ძალადობის პროვოცირება მოახდინა. **„სამწუხაროდ, მოზარდთა შორის სექსუალური ძალადობის ფაქტები ხშირია, თუმცა ამის აფიშირება ნაკლებად ხდება. მსხვერპლი თითქმის ყოველთვის მალავს მომხდარს, რადგან მოძალადისგან, სექსუალურის გარდა, ფსიქოლოგიურ ძალადობასაც განიცდის, რაც აიძულებს, რომ ამის შესახებ ხმამაღლა არ ილაპარაკოს. თუ დავამატებთ მსხვერპლში სირცხვილის გრძნობას და იმას, რომ ჩვენში ეს ტაბუდადებული თემაა, გასაკვირი არაა, რომ ამაზე არავინ ლაპარაკობს, რაც ფაქტების დამტკიცებას ართულებს. გეთანხმებით, რომ სექსუალური ძალადობის ფაქტების რაოდენობაზე რაღაც დოზით, გავლენა ციხის კადრებმაც მოახდინა, მაგრამ ამას უფრო ღრმა მიზეზებიც აქვს. ეს არის, ზოგადად, ძალადობის ფაქტების მომრავლება საზოგადოებაში, აღზრდასთან დაკავშირებული და ფსიქიკური პრობლემები, რომლებიც მსგავსი სახის ძალადობას იწვევს და ა.შ.“**

ფსიქოლოგთან საუბარში გავარკვიეთ, რომ ბუნებაში არსებული ოთხი ტიპის ძალადობიდან (ფიზიკური, ემოციური, სექსუალური და უგულებელყოფა — როცა იგნორირებულია ბავშვის აუცილებელი მოთხოვნილებები) ქართველმა მოზარდებმა ოთხივე წარმატებით აითვისეს. დაახლოებით სამი წლის წინ, „იუნისეფის“ დაფინანსებითა და განათლების სამინისტროს მონაწილეობით, ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებით, ეროვნული კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგად, ქართულ სკოლებში ყველა ტიპის ძალადობა გამოვლინდა. მათ შორის პირველ ადგილზე ემოციური ძალადობაა, რასაც მოჰყვება ფიზიკური ძალადობა, შემდეგ სექსუალური და ბოლოს, უგულებელყოფა. ფსიქოლოგის განმარტებით, ქართულ სკოლებში სექსუალური ძალადობის ფაქტები სიტყვიერად დადასტურდა. **„მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერად ასეთი ფაქტები დადასტურდა, ამის საფუძვლიანად დადასტურება შეუძლებელი გახდა, რადგან მსხვერპლისთვის ექსპერტიზის ჩატარების ვადა მხოლოდ 24 საათია“,** — აცხადებს თამუნა ობოლაძე.

ფსიქოლოგი განმარტავს, რომ ტაბუს გამო, საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული და ვერ აცნობიერებს, რა მიიჩნევა სექსუალურ ძალადობად.

**„საქართველოში, ალბათ, სულ ორ-სამ ფსიქოლოგს აქვს სექსუალურ ძალადობაზე მუშაობის გამოცდილება. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან პრობლემის მოგვარებას მარტო სკოლის ფსიქოლოგი ვერ შეძლებს. მას შეუძლია, გარკვეული სამუშაოები ჩაატაროს და ამის შემდეგ ბავშვთა ფსიქოლოგთან ან ფსიქოთერაპევტთან გაგზავნოს სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად. მით უმეტეს, რომ არსებობს სპეციალური თერაპია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. რაც შეეხება მოძალადე ბავშვებს, მათი სისხლის სამართლებრივი დევნა და ციხეში გამომწყვდევა პრობლემას არ მოხსნის, რადგან დასჯას ერთი მიზანი აქვს — მოძალადე დროებით ჩამოაცილოს საზოგადოებას, მაგრამ თუ მისგან მოძალადის ტიპი ყალიბდება, ის მომავალშიც იგივეს გაიმეორებს. მოძალადე ბავშვს ისევე სჭირდება დახმარება, როგორც მსხვერპლს და დასჯაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, რომ მან რეაბილიტაციის შესაბამისი კურსი გაიაროს“.**

# უნივერსიტეტიდან გაშვებული პროფესორები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ!

ნელი თორდია

**ლომაიას რეფორმის წყალობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებსმიღმა დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგეტული სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, პროფესორი დენიზა სუმბაძე გვიამბობს, როგორ აპირებენ უნივერსიტეტის აღორძინებას, რომელი მიმართულებების აღდგენას ითხოვენ და რატომ უწევთ არსებობისთვის ბრძოლა.**

— წინა ხელისუფლების მიერ გატარებულმა განათლების რეფორმამ ფუნდამენტურად შეცვალა არა მარტო საგანმანათლებლო სისტემა, არამედ თითოეული ჩვენგანის ცხოვრება. ეს იყო პოლიტიკური და არა საგანმანათლებლო რეფორმა, რომლის დაწყების დროს, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რელიგიათმცოდნეობის კათედრიდან ფილოსოფიის ფაკულტეტზე მიმყავდა სალექციო კურსი ბიბლიასა და ღვთისმეტყველებაზე. გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ეს ფრიად საჭირო კურსია, მისი არსებობა უმნიშვნელოვანესია დღევანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ რელიგიას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან და ეკლესია პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს. მოგეხსენებათ, მოსკოვში ვიზიტის დროს, მისმა უწმინდესობამ, როგორც ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, რუსეთის ხელისუფლებას ჩვენი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნა წაუყენა. ამან დეპუტატთა ერთი ნაწილი შეაწუხა და უწმინდესს პოლიტიკაში ჩარევა უსაყვედურა. საქმე ისაა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰაერივით სჭირდება, ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთს შეწიროს, ამით დააშოშმინოს და მოხსნას მისი წინააღმდეგობა ნატო-ს შემოსვლასთან დაკავშირებით. ესაა მავანთა გაღიზიანების რეალური მიზეზი, მაგრამ ყველას, ვინც პატრიარქის ეს ნაბიჯი პოლიტიკაში ჩარევად შეაფასა, ვეტყვი, რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა რელიგიურ საფუძვლებზე დგას. ბიბლიის, რელიგიისა და ღვთისმეტყველების საუნივერსიტეტო განათლების გარეშე, წარმოუდგენელია გავერკვეთ, რას ნიშნავს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა. ეს განათლება დღეს აუცილებელია ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის.




**— ჩვენთან რელიგიური ტიპის სწავლება მხოლოდ საუნივერსიტეტო კი არა, სასკოლო დონეზეც თითქმის აღარ არსებობს.**

— იმიტომ, რომ განათლების რეფორმამ პირველ რიგში, ის საგნები და სწავლება მოსპო, რომელიც ყველაზე მეტად აკლდა ქართველ ხალხს საბჭოთა პერიოდში და ყველაზე მეტად სჭირდება ახლა.

**გამოდის, უაზროდ გამოვსულვართ საბჭოთა კავშირის, როგორც ათეისტური ქვეყნის შემადგენლობიდან და უაზროდ აგვიღია სტარტი თავისუფალი აზროვნებისკენ. ამ ტერორისტულმა რეფორმამ არავითარი თავისუფალი აზროვნებისთვის აღარ დატოვა ადგილი. რეფორმა პირდაპირ და უშუალოდ, იყო დაკავშირებული იმ პოლიტიკასთან, რომელიც შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ დამყარდა. ამდენწლიანი უბედურების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ იმხელა სიხარული გამოიწვია, მაშინვე მივმართეთ წერილით და შეხვედრა ვთხოვეთ. არ ვიცი, ის აპარატი, რომელიც ბატონმა ბიძინამ თავის გარშემო შექმნა, რამდენად იდენტურია თავად ბიძინა ივანიშვილის პოზიციებთან, მაგრამ ჯერჯერობით, შეხვედრა ვერ მოხერხდა.**

**— რა თემაზე აპირებდით პრემიერ-მინისტრთან საუბარს?**

— რაზეც გესაუბრეთ და სხვა საკითხებზეც. განათლების სამინისტროშიც შევიტანე განაცხადი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში არეოპაგეტული ცენტრის აღდგენასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, გამოხმაურება არც ამ საკითხზეა, მაგრამ ველოდებით. მოგეხსენებათ, „ნაციონალების“ განათლების რეფორმამ არა მარტო ახალგაზრდებს წაართვა ცოდნა, რომელიც უნივერსიტეტიდან გაშვებულ პროფესორებს გაჰყვა და პროფესიული რეალიზების საშუალება მოუსპო ადამიანებს, არამედ, ყველა უბედურებასთან ერთად, სიკვდილისთვის გაიმეტა. 2000-ზე მეტი ადამიანი, უბრალოდ, გაწირეს, რადგან 60-ლარიანი აკადემიური სტიპენდიით ცხოვრება წარმოუდგენელია. მახსენდება, რომ სწორედ იმ ხანებში, ჰოლანდიაში მოწყობილ თეოლოგიურ კონკურსში გავიმარჯვე. გადავწყვიტე, ჩემი აკადემიური სტიპენდიით რაღაც სიმბოლური მეყიდა იმის ნიშნად, თუ რას ნიშნავს „ნაციონალური“ ხელისუფლების პირობებში, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. შევიძინე ორი ცალი კბილის ჯაგრისი და ისიც ყველაზე იაფიანი. ასეთი შეურაცხყოფის გადატანა იოლი არ იყო. ამას მოჰყვა იმხელა დეპრესია, რომ ზოგმა თავი მოიკლა, ზოგი ნერვიულობით გარდაიცვალა, ზოგი იმდენად შოკირებული აღმოჩნდა, რომ ციხეში ამოჰყო თავი. კადრების განყოფილებიდან ერთი ქალბატონი იმდენად გამოვიდა წყობიდან, თავს კონტროლს ველარ უწევდა, სახლიდან ნავთი წამოიღო, უნივერსიტეტის კედლებს შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. როგორც მახსოვს, მაშინვე დააკავეს. უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს სალაროსთან გაუსკდა გული, როცა უთხრეს, სამსახურიდან გათავისუფლებული ხარო... გივი ზვიადაძე იყო დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე. ინგლისური ენის ყველა დიალექტი ბრწყინვალედ იცოდა. უნივერსიტეტიდან გაშვებამ იმდენად იმოქმედა ამ ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე, რომ ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ბევრია ასეთი... ბრძოლა რომ გავაგრძელოთ და შედეგი მივიღოთ, აუცილებელია, უნივერსიტეტიდან გაძევებული ხალხი ყოველდღიური არსებობის საშუალებით იყოს უზრუნველყოფილი. მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ბატონი ვანო კიღურაძე უძღვებოდა, შევადგინეთ ჩვენი მოთხოვნების სია და ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორმა, ჯემალ მებონიამ ვანო კიღურაძეს გადასცა. როგორც ვიცი, ეს მოთხოვნები გადაგზავნილია სამინისტროშიც.

**— როგორც ვიცი, „ქომაგის“ მუშაობის შეჩერებამ და დახმარებების შეწყვეტამ განსაკუთრებით დააზარალა სოციალურად დაუცველი პროფესორები.**

— მდგომარეობის გამოსწორებამდე „ქომაგის“ დახურვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მისი გაჩერებით, იგივე გაგვიკეთეს, რაც წინა ხელისუფლებამ. ალბათ, რაღაც პერიოდით, სახელმწიფოს უნდა აეღო ეს ფუნქცია თავის თავზე და ღიად დაეფინანსებინა „ქომაგი“, რადგან მართლა განწირულები ვართ და ჩვენი ყოველი დღე არსებობისთვის ბრძოლით იწყება. თუ გახსოვთ, შარშან ზაფხულს სასწაული მოხდა. ხელისუფლების მხრიდან ფონდზე ზეწოლისა და ანგარიშების დაყადაღების პირობებში, „ქომაგმა“ მომთხოვა სარეზერვო ანგარიში, სადაც თანხის ჩარიცხვას შეძლებდნენ. მე ჩემი შვილის საბანკო ანგარიში გადავეცი, რის გამოც, ფინანსურ პოლიციაში დაგვიბარეს და დაგვკითხეს. გარკვეული ფსიქოლოგიური ტერორი, ამჯერად, ბანკების მხრიდან, დღემდე გრძელდება. ჩემს შვილს დაუსრულებლად მოსდის მესიჯები, რომ სადღაც, რომელიღაც ბანკში ვალი აქვს. არა მგონია, ეს შემთხვევით ხდებოდეს. რეალურად, არავითარი ვალი არ გვაქვს და იმედია, ყველაფერი გაირკვევა.

**— საუბრის ბოლოს, იმაზეც გვიამბეთ, რა თემაზე აპირებთ უახლოეს მომავალში პრესკონფერენციის გამართვას?**

— უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოებრივი გაერთიანება, თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა, რომელშიც 40-მდე პროფესორი შევდივართ, ორიოდე დღეში ვაპირებთ, მოვაწყოთ პრესკონფერენცია, რომლის თემა იქნება უნივერსიტეტის აღდგენისა და განახლების პროცესები. ვისაუბრებთ, დანაშაულებრივი რეფორმის გამოსწორების როგორი მექანიზმი უნდა შევქმნათ და როგორ დავიბრუნოთ უნივერსიტეტი, რომელიც ქართველი ხალხისთვის განათლების, მეცნიერებისა და სულიერების წყარო იყო.

**— კვიტაშვილის რექტორობის პირობებში, ამის განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— თუ მას მიაჩნია, რომ წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ რეფორმას ხელახალი რეფორმა სჭირდება, პირადად, მე, მისი საწინააღმდეგო არაფერი მექნება.



# დომენტი გაგნიძის პრეპარატებს უცხოელები წარმოებაში ჩასაშვებად ყიდულობენ

დავით დევიძე

**„ვერსია“ წერდა, რომ ცნობილ სახალხო მკურნალს დომენტი გაგნიძეს, სამკურნალო საშუალებების შესწავლის სანაცვლოდ, ხელოვნური ბარიერები შეუქმნეს და სამედიცინო საქმიანობას, პრაქტიკულად, ჩამოაცილეს. არადა, როგორც ირკვევა, რამდენიმე უცხოური სამედიცინო დაწესებულება აპირებს ქართველი მკურნალის მედიკამენტების საზღვარგარეთ გატანასა და მის ფარმაციულ წარმოებაში ჩაშვებას. ეს ნიშნავს, რომ სამშობლოში უარყოფილი ფენომენი უცხოეთში მოიპოვებს აღიარებას. როცა ამ თემაზე სასაუბროდ სახალხო მკურნალს ვეწვიეთ, გვითხრა, ჯერ მოლაპარაკების სტადიაზე ვიმყოფებით, ამიტომ ამ ეტაპზე, ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა მინდა, რამდენიმე სიტყვით ჩემს თანამემამულეებს მივმართოო:**

„ძალიან მიკვირს და გულს მტკენს, რატომ არ აღიარებენ იმას, რაც რეალურად არსებობს და ათასობით ადამიანიც გადაურჩენია? ყველას მოგიწოდებთ, თქვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა იხსნათ ამ ქიმიური პრეპარატებით და ათასგვარი საეჭვო პროდუქტებით დაბინძურებულ საუკუნეში. აგერ, დაავადებული კარტოფილიც კი შემოიტანეს საზღვარგარეთიდან, რომელიც თურმე კიბოს დაავადებას იწვევს. ეს ძალიან დიდი საფრთხეა და დიდ კონტროლს მოითხოვს. მინდა იცოდეთ, რომ ადამიანის ორგანიზმი მსგავსი საფრთხის შემთხვევაში დაზღვეული იქნება „დომენტოლის“, „გაგენოლის“ და „ლევანტოლის“ მიღებისას. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ თქვენს ჯანმრთელობას. მე ისეთი სამკურნალო საშუალება მოგაწოდეთ, რაც ნამდვილად იხსნის თქვენს ორგანიზმს ყოველგვარი დაავადებებისგან და თუკი ნამდვილად ჯანმრთელი სიცოცხლე გსურთ, ნუ დაუჯერებთ წინა ხელისუფლების დროს სამედიცინო კლანების მიერ გავრცელებულ ბინძურ ჭორებს, მიიღეთ ზემოაღნიშნული პრეპარატები, რაც თქვენი სიცოცხლის ასწლიან გარანტიას იძლევა. ასეთი შემთხვევა მქონდა: როდესაც ოფისს ვაშენებდი, მითხრეს, აქ ერთი სვანი ბიჭი მუშაობს, რომლის ორი წლის მანძილზე ლოგინად ჩავარდნილი დეიდა სვამდა ჩემს პრეპარატებს და გამოჯანმრთელდა. შემდეგ უნახავს სიუჟეტი ტელევიზიაში, სადაც უსაფუძვლოდ მლანძღავდნენ და უთქვამს, მე ამ წამლებს აღარ დავლევო. სამწუხაროდ, ერთი თვის მერე გარდაიცვალა. მისი დისშვილი კი თურმე ამბობდა, აბა, ამის მერე, მე მაგ კაცს როგორ დავემდურო, დეიდა მომირჩინა, მისმა მლანძღველებმა კი მომიკლესო. ასე რომ, ყველა ადამიანი კმაყოფილი იქნება, თუკი საბოლოოდ, არ აქვს დაშლილი რომელიმე ორგანო, მედიკამენტების მიღების შემდეგ გამოჯანმრთელება გარანტირებულია. კარგად გამიგეთ: უკვე დაშლილ ორგანოს ვეღარ აღადგენს. ეს წამლები ყველანაირად უსაფრთხოა, თუნდაც, სხვა წამლებთან ერთად მიიღოს ადამიანმა. არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება. თუ არ ჩავთვლით ცალკეულებს: შეიძლება, ასიდან ერთ შემთხვევაში, ნემსის გაკეთების შემდეგ ადამიანს შეამცივნოს. ეს არანაირ საშიშროებას არ ქმნის. ამ ყველაფერში თავადაც რომ დარწმუნდეთ, შეგიძლიათ, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში მეორე დღესვე შემოწმება გაიაროთ და მიხვდებით, რომ ამ წამლით დაზიანების შესახებ მხოლოდ ჭორები არსებობს, რაც თავის დროზე ჩემს დისკრედი-



ტაციას ისახავდა მიზნად. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი სამკურნალო საშუალებებით შეაშინეს ხალხი. არადა, თამამად ვაცხადებ, რომ ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხს ამ ყველაფერზე. რისი დასტურიც ათასობით მორჩენილი ავადმყოფია. ისეთი ხალხი, რომელთა განკურნებაზე თავის დროზე ყველა სამედიცინო კლინიკამ ჩაიქნია ხელი. რამდენიმე დღის წინ, ერთმა ადამიანმა ლექსიც კი მომიძღვნა. ვფიქრობ, ეს ლექსი კარგად ასახავს ჩემს ირგვლივ არსებულ ვითარებას:

მე ვარ დომენტი გაგნიძე,
უებარ წამლის ავტორი.
ჯანსაღი ყოფა-ცხოვრების
ამაგდარ-აგიტატორი.
დღედაღამ ვზრუნავ ხალხზე და
განვკურნო ერის შვილები
მადლობის ნაცვლად მდევნიან
ეს მართლაც ვირიშვილები.
განზე გაიწით, ოხრებო!
ჩამომეცალეთ გზიდანა,
ვერ გისწავლიათ წესივრად
კაი კაცობის გატანა.
ნუ მედავებით მართალ კაცს,
ნუ მელობებით გზაზედა.
თორემ იცოდეთ, გადავალ
მე თქვენი დედის „კვალზედა“.

## რუსეთის ძალადობის ფაქტები საჯარო უნდა გახდეს



ცარისტული და საბჭოთა რუსეთის პერიოდში, ისტორიული ძალადობის ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებული დოკუმენტი საჯარო უნდა გახდეს და მისი გავრცელების შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ბრძანებულება უკვე გამოსცა. შესაბამისი დამატებები ისტორიული სიმართლის სახელმწიფო კომისიის დებულებაში აისახა.

საუბარია კომისიაზე, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2010 წელს შეიქმნა და რომლის მიზანსა და ამოცანას საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიული მეხსიერების, საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიანი პოლიტიკისა და მისი შედეგების შესწავლა წარმოადგენდა.

კომისიას საფუძვლიანი, სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული დასკვნა-რაპორტის მომზადება დაევალა, სადაც სრულად უნდა იყოს აღწერილი საქართველოს მიერ ცარისტული და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტები. ამ თემაზე დასკვნა-რაპორტის წარსადგენად კომისიას რამდენიმეთვიანი ვადა მიეცა — კერძოდ, კომისიის შექმნის თაობაზე მიხეილ სააკაშვილმა განკარგულება 2010 წელს გამოსცა, მის სამოქმედო დებულებას 2010 წლის 5 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო დასკვნის წარდგენის ბოლო ვადად 2010 წლის 15 დეკემბერი განისაზღვრა. მაშინ კომისიის თავმჯდომარის პოსტი ისტორიკოსმა, ამერიკის შეერთებული შტატების კენტის უნივერსიტეტის დოქტორანტმა ვასილ რუხაძემ დაიკავა. კომისიის აღმასრულებელ მდივნად მიხეილ სააკაშვილმა პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე დანიშნა. მათთან ერთად, ისტორიული სამართლის დადგენას ისტორიკოსებიც შეუდგნენ.

მიხეილ სააკაშვილის მიერ 8 თებერვალს ხელმოწერილ ბრძანებულებაში ვკითხულობთ: **„სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული, საქართველოს მიერ ცარისტული და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებული დოკუმენტი, ხელმისაწვდომი და საჯაროა და მისი გავრცელება თავისუფალია ყველა დაინტერესებული პირისთვის".**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის აღმსრულებელ მდივანს, თორნიკე შარაშენიძეს დავუკავშირდით. მისი თქმით, კომისიამ დასკვნა დაწერა, კულტურის სამინისტროს გადასცა, ხოლო შემდგომ რა მსვლელობა მიეცა მას, უცნობია. აღნიშნული დოკუმენტის განსაჯაროება აქამდე არ მომხდარა.

**„მისი გამოცემა-არგამოცემის საკითხი კულტურის სამინისტროს საქმე იყო. გაურკვევლად წავიდა ყველაფერი, როგორც ხდება ხოლმე",** — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

ორ დასკვნაზე საუბრობს ისტორიკოსი სიმონ მასხარაშვილი, რომელიც ასევე ადასტურებს, რომ მათ მიერ მომზადებული დოკუმენტი აქამდე არ გამოქვეყნებულა. **„დასკვნა გაკეთდა, მაგრამ არ გამოქვეყნებულა. დოკუმენტი ძალიან კარგია. ის იმაზე მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო. თავიდან საუბარი იყო რეპორტის მომზადებაზე, ეს უფრო დიდი და საინტერესო გამოვიდა. არ მესმის აქამდე რატომ არ გამოქვეყნდა და არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი... როცა დოკუმენტის პირველი ვერსია გაკეთდა, ჩვენ ჟურნალისტებმა მოგვაკითხეს, მაგრამ კომენტარი არ მივეცით. პირადად, მე, არ მომწონდა ტექსტი — პატარა იყო შედარებით. შემდეგ მეორეც გაკეთდა, რომელიც კულტურის სამინისტროს გადაეცა",** — განაცხადა მასხარაშვილმა და ისიც აღნიშნა, რომ **„ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, ყველაფრის გაკეთება მას და თორნიკე შარაშენიძეს მოუწიათ".**

ისტორიული სიმართლის სახელმწიფო კომისიის დებულებით, კომისიის საქმიანობის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალა.

კომისიამ საქმიანობა 2010 წლის 24 დეკემბერს შეწყვიტა.

***„ინტერპრესნიუსი"***

# შვილმკვდარი დედის თხოვნა ივანიშვილს — ნაგავსაყრელზე, საკუთარი ხელით აშენებულ ქოხს ნუ დამინგრევენ!



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**„ბატონო ბიძინა!
მინგრევენ წამებით აშენებულ ორ ოთახს, რასაც ჩემი 5 შვილიშვილი ოცნებით შეჰყურებდა. გეხვეწებით, გვიშველეთ რამე!" — ასე იწყებს, 57 წლის სოციალურად დაუცველი, შვილმკვდარი დედა ლიანა ელიაძე საკმაოდ მოკლე წერილს, რომლის ადრესატი პრემიერ-მინისტრი გახლავთ. ქალბატონმა ლიანამ ვერ მოახერხა, წერილი ბიძინა ივანიშვილისთვის გადაეცა. შეჭირვებული ელიაძე, მილიარდერს დახმარებას სთხოვს, მაგრამ ბევრისგან განსხვავებით, მას არც ფული უნდა და არც თავშესაფარი. აფრიკის დასახლებაში, ნაგავასყრელის ტერიტორიაზე, აგურ-აგურ ნაშენებ სახლს ნუ დამინგრევს მერიაო, — ეს გაუსაძლის პირობებში მაცხოვრებელი ქალბატონის ერთადერთი მოთხოვნა ესაა.**

— აფრიკის დასახლებაში სათბურების მიმდებარე ტერიტორიაზე ვცხოვრობ. მთელი ჩემი ცხოვრება ბინის პრობლემა მქონდა. 13 სული, ფაქტობრივად, სამი ოჯახი, ერთ პატარა ბინაში ვცხოვრობდით. ყოველთვის აურზაური იყო. ხშირად გვქონდა კონფლიქტიც. ნერვები ყველას დაგვაწყდა. 2 ქალიშვილი ფსიქიკურად დამიავადდა, სიძე აფხაზეთიდან ნაომარი დაბრუნდა, ტყვედ იყო ჩავარდნილი. 7 ტყვე მის თვალწინ დახოცეს, თითო დღე თითო ადამიანს კლავდნენ და ჩემს სიძეს ამარხვინებდნენ. მერვე დღეს, ჩემი სიძეც უნდა დაეხვრიტათ. თავისი სამარის ამოსათხრელად ბარი მისცეს. გამწარებულმა ჯერ ერთს მიარტყა ბარი და გათიშა, მერე — მეორეს. ასე დააღწია თავი ტყვეობას. დახვრეტილი მეომრები, ჩემი სიძის დახმარებით, აფხაზ ტყვეებში გაცვალეს და ასე დაუბრუნეს მიცვალებულები ოჯახებს. ტამიშთან მოხვედრილი ტყვია დღესაც აქვს ორგანიზმში. დედაჩემიც მეომარი იყო, წარმოშობით ბულგარელი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანია. 4 შვილი გავზარდე. ჩემ გოგოს შიზოფრენიული შეტევები ხშირად ემართება და ასეთ დროს ყველას ერჩის. კორპუსში როცა ვცხოვრობდით, მეზობლები წუხდებოდნენ, ამიტომ ტრიალ მინდორზე წამოვედი.

**ეს ადგილი ნაგავსაყრელი იყო. ნაგვის 11 გროვა ჩემი ხელით გადავასწორე. „ფანერკებით" ჯერ ფიცრული გავაკეთე. მშენებლობებზე მივდიოდი. მუშებს თითო-თითო ფიცარს ვთხოვდი და ასე შევჭედე ჩემი ხელით. იმ ახალი სახლის საძირკველიც ჩემით ამოვჭერი და ჩავასხი ბეტონი. გაჭირვება ისეთი რამეა, შვილო, ყველაფერს გაგაკეთებინებს. ნაგავსაყრელზე ვიპოვე კარი, ფიცრები, აგური, ქვა და ასე შევჭედე ეს ქოხი. ქარი და სიცივე რომ არ შემოვიდეს, ფარღალალა კედლებში ტანსაცმელსა და ნაჭრებს ვტენი. სახურავიდან წვიმის დროს წყალი ჩამომდის. აქ რომ მოვედი, ამ ტერიტორიაზე სახლები არ იყო. ახლა ბევრმა ააშენა და დაიკანონა კიდეც. მე ფული არ მქონდა, რომ დამეკანონებინა და სულ ასე ვწვალობ. შარშან, მძიმე ოჯახური პირობების გამო, ჩემმა 32 წლის ბიჭმა სახლში თავი ჩამოიხრჩო. ხელოვნებათმცოდნე, მუსიკოსი იყო. სამსახური ვერ იშოვა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისგან ორი ობოლი შვილიშვილი დამრჩა გასაზრდელი. ბავშვების დედა ცალკე ცხოვრობს. გაცილებულები იყვნენ. ერთი შვილი პატიმარი მყავს. მის შვილსაც მე ვზრდი.**



**„სიდუხჭირის გამო, ერთმა შვილმა თავი მოიკლა, ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი სიცივითა და შიმშილით დამეღუპა. 2 შვილი კი, ფსიქიკურად დამიავადდა. ახლა მერიიდან მოდიან და მეუბნებიან, სახლი დაანგრიეო"**


ბატონო ბიძინა!
...
1/2-2013წ.

**— რატომ დააპატიმრეს?**

— მასაც ფსიქიკური პრობლემები აქვს. საამქროში იჩხუბა, სასჯელს მკვლელობის მცდელობისთვის იხდის. 13 წელი ეკუთვნოდა, 7,5 წელი ციხეში იჯდა, მაგრამ ახლა ამნისტია შეეხო და მალე უნდა გამოვიდეს. მძიმე ეკონომიური პირობების გამო, ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი, 9 თვის და 3,5 წლის გარდამეცვალა. ერთი შიმშილით, მეორეს სიცივის გამო, მენინგიტი დაემართა და დაიღუპა. ასეთ გაჭირვებაში ვცხოვრობ. ლტოლვილები, ხან სად იჭრებიან, ხან სად. ფართებს თხოულობენ, მე არავის ვაწუხებ, მხოლოდ იმას ვითხოვ, ეს სახლი არ დამინგრიონ და დამიკანონონ. ქალაქის ცენტრში არ არის, არავის უშლის ხელს ჩემი ქოხი.




**— დაკანონების მოთხოვნით მერიას არ მიმართეთ?**

— 2012 წლის აგვისტოში შევიტანე განაცხადი, მაგრამ უარი მივიღე. ამ სახლის შენება ნელ-ნელა დავიწყე. სახურავი რომ დავახურე, მითხრეს, უნდა დაანგრიოო. სად წავიდე?! თუ საქართველოში ჩინელმა, ზანგმა, თურქმა და ინდოელმა უნდა იცხოვროს, მე რატომ არ მედგომება?! ორი კვირაა, მერიის წარმომადგენლები ინტენსიურად მოდიან და მეუბნებიან, სახლი უნდა დაანგრიოო. წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 000-ლარიან ჯარიმას დაგიწერთ და ჩვენ დაგინგრევთო.

ერთხელ მაშინ მოვკვდი, შვილი რომ მომიკვდა. მეორედ მაშინ, როცა მითხრეს, შენი ხელით ნაშენები სახლი დაანგრიეო. ამხელა ფული რომ მქონოდა, სადმე სოფელში მაინც ვიყიდდი სახლს.

**— თავს რით ირჩენთ?**

— როგორც უნდა გაგიკვირდეთ, სოციალურ დახმარებასაც არ ვიღებთ, რადგან 68 000 ქულა მოგვანიჭეს. მეზობლები მაწვდიან საკვებს. ათასში ერთხელ, შვილიშვილი გადაღებებზე დადის კინოსტუდიაში. ადამიანების ცხოვრებაზე გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი ფილმს იღებს. ჰონორარს აძლევენ ცოტას და პურის ფულად ისიც შეგვეშველება ხოლმე. იმ ფილმში მეც ვმონაწილეობ. ჩემს სამ შვილს რესპუბლიკის სამუსიკო სკოლა აქვს დამთავრებული, მაგრამ... ნერვიულობაზე თავში სისხლის გაჟონვა მაქვს. მერიიდან რომ მოდიან დანგრევის მოთხოვნით, ჩემი შიზოფრენიით დაავადებული 27 წლის გოგონა, ამას ძალიან განიცდის, ღამე მერე ქუჩაში დადის და ყვირის.

**ვთხოვ მერიასა და მთავრობას, გამოიჩინონ კეთილი ნება და არ დამინგრიონ აგურ-აგურ, საკუთარი ხელით აშენებული სახლი. ქუჩაში ნუ დაგვტოვებენ. აქ თითქმის ყველა სახლი უკანონოდაა აშენებული, მაგრამ მარტო მე მერჩიან. აბა, თათრებისა და ქურთების სახლებში მივიდნენ, რას უზამენ... მათ კომპიუტერებიც აქვთ და კარგადაც ცხოვრობენ. ქართველებს გვერჩიან! მთავრობას ვთხოვ, გამოიჩინოს კეთილი ნება, შეგვიბრალოს და აშენებულ სახლს ნუ დაგვინგრევს. რუსეთს ემდურებიან, სახლები დაგვინგრია, ბარბაროსები არიანო. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მერია დამტოვებს ღია ცისქვეშ თუ რუსი?**

# პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოში ღრმავდება

ანა ნემცოვა

დღეს საქართველო ისე გრძნობს თავს, თითქოს ბნელ ზღაპარში ცხოვრობს. ორი მეტოქე პროტაგონისტის სასახლე ავისმომასწავებლად გადმოჰყურებს საქართველოს დედაქალაქს, თბილისს.

ერთი მთის წვერზე პრეზიდენტის სასახლეა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ბინადრობს. ის ჯერ კიდევ აქ არის, მიუხედავად იმ დარტყმისა, რომელიც მისმა პარტიამ გასულ შემოდგომას, საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციისგან მიიღო. ღამით ეს სასახლე სიბნელეშია მიმალული და თითქმის არ ჩანს, რადგან პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ახლადარჩეულმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ არ ღირს გადასახადის გადამხდელთა ფულის გადახდა განათებაში. მეორე მთაზე ივანიშვილის სასახლე უხვადაა განათებული ისე, თითქოს, ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებას ზეიმობს დაძაბულობა ამ ორი მხარის მხარდამჭერებს შორის ღრუბელივით დასდგომია დედაქალაქს, ივანიშვილის პირველი ნაბიჯი თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ ის იყო, რომ პოლიცია მიუქსია სააკაშვილის ადმინისტრაციის რამდენიმე საკვანძო ფიგურას და მას შემდეგ ეს ორი მხარე ერთმანეთთან უზრად არიან. პრეზიდენტის სასახლესთან, დემონსტრანტების პიკეტი პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრულა. ისინი სააკაშვილის გადადგომას ითხოვენ (საქართველოში სააკაშვილს, უბრალოდ, მიშას ეძახიან). პრეზიდენტის ოპონენტებმა ათასობით ხელმოწერა შეაგროვეს პეტიციაზე, რომელიც მის წასვლას ახლავე ითხოვს და არა შემოდგომით, როდესაც მისი ვადა იწურება. ძლევამოსილი პარლამენტის წევრებმა, რომელთა უმრავლესობას ივანიშვილის მომხრეები შეადგენენ, გადადეს მიშას ყოველწლიური მიმართვა და იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავენ, რომელმაც პრეზიდენტის ძალაუფლება უნდა შეზღუდოს. ამას წინათ, ივანიშვილმა მიშას ძველ მტერთან, კრემლთან, იმასაც კი მიაღწია, რომ რუსეთმა მოხსნა საქართველოს ღვინისა და მინერალურ წყლების იმპორტზე დაწესებული ემბარგო, მაგრამ ამ კარგმა ამბავმაც კი ვერ განმუხტა ატმოსფერო. გამარჯვებულ პარტიას რევანში სწყურია.

სამინისტროდან სამინისტროში გადავდიოდით და ცუდ ამბებს დასასრული არ უჩანდა. წინა ხელისუფლების ჩინოვნიკების უმეტესობა ან საკუთარი სურვილით გადადგა ან დაითხოვეს სამსახურიდან. ახალი მინისტრები სააკაშვილს ექსცენტრულ რეფორმებში სდებენ ბრალს – გააუმჯობესა პოლიცია, მაგრამ არა საპატიმროები, ამიტომ იყო, რომ ძველი საპატიმროები უკიდურესად იყო გადავსებული. **„თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა პატიმარი“,** — მითხრა თავდაცვის ახალმა მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ. **„მე აღმოვაჩინე, რომ მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმრების, მათ შორის ჟურნალისტების, მობილური ტელეფონები ისმინებოდა მიშას საიდუმლო პოლიციის მიერ“. „ჩემი ტელეფონიც ისმინებოდა?“** — ვკითხე ნახევრად ხუმრობით ერთ ჩინოვნიკს. მან დამარწმუნა, რომ ისმინებოდა.

შინაგან საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი 30 წლისაა. მან განათლება სორბონას უნივერსიტეტში, პარიზში მიიღო და მანამდე ივანიშვილის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქართუს“ ხელმძღვანელი იყო. ქართველი ხალხი ითხოვს მიშას ჩინოვნიკების დაპატიმრებას, ამბობს ის. **„ყოველდღე ვიღებთ ასეულობით ადამიანს, რომლებიც სააკაშვილის მოკავშირეების დაპატიმრებას და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ“,** — განმიმარტა ვითარება ღარიბაშვილმა. **„ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ უმაღლესმა ელიტამ მილიონობით დოლარი მოიპარა“,** — მარწმუნებდა ღარიბაშვილი, — **„სულ მალე გვექნება მტკიცებულებები, რომელიც გაგაოცებთ“.**



პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი, როდესაც მას ამას წინათ, 47 მილიონ დოლარად შეფასებულ, კაშკაშა კერძო რეზიდენციაში ვეწვიე, მშვიდი და თვითდარწმუნებული ჩანდა. მანამ, სანამ 2011 წელს სააკაშვილის პარტიის საწინააღმდეგო კამპანიას შეუერთდებოდა, არცთუ ისე ბევრმა ქართველმა იცოდა, როგორ გამოიყურებოდა ეს მდიდარი ქველმოქმედი, მათ მხოლოდ მისი მოციმციმე მინისა და მეტალის სასახლე ჰქონდათ ნანახი, სასახლე, რომელიც თითქოს უცხოპლანეტელთა ხომალდივით დაენარცხა თბილისის ბოტანიკური ბაღის შუაგულში. დღეს პრემიერ-მინისტრი არა მხოლოდ ყველაზე მდიდარი კაცია საქართველოში, არამედ ყველაზე გავლენიანიც. მისი რეიტინგი დაახლოებით 80 პროცენტია.

როდესაც მის დიდ, კერძო ოფისში, ლუსიენ ფროიდის ნამუშევრის ქვეშ ჩამოვსხედით, ვკითხე, მართლა სჯერა თუ არა იმის, რომ ჩვენ, ჟურნალისტებმა, რომლებიც მთელი ეს წლები ვაშუქებდით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ვერ ამოვიცნეთ მიშას განზრახვები. სხვა თუ არაფერი, მსოფლიო ბანკმა აღიარა სააკაშვილის ანტიკორუფციული რეფორმა, არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ.

„ნუ დაადანაშაულებთ საკუთარ თავს, რადგან პირველი ორი-სამი წლის მანძილზე მეც ვერ ვხვდებოდი, ვინ არიან ისინი სინამდვილეში“, — მიპასუხა ივანიშვილმა. მან მითხრა, როგორ დებდა დიდ თანხებს სააკაშვილის სხვადასხვა პროექტებში და მხოლოდ მერე აღმოაჩინა, რომ ეს ინვესტიციები მიშას კორუმპირებული ელიტისთვის ფულის საკეთებელ მექანიზმად იქცა. ჩვენ სააკაშვილის მთავრობის სხვა პრობლემებზე ავლაპარაკდით. როგორ უნდა მისდიოს საქართველომ ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების ძალისხმევას? როგორ უნდა შეინარჩუნოს მეგობრული ურთიერთობა მოსკოვთან და ამავე დროს უკან, საქართველოს კალთაში შემოიტყუოს პრორუსული სეპარატისტული რეგიონები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? და, რაც მთავარია, როგორ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები ათასობით ქართველი უმუშევრისთვის, რომლებიც ძველ ქართულ სოფლებში ცხოვრობენ, იქ, სადაც ერთ დროს საბჭოთა კოლმეურნეობები იყო?

თავისი მოელვარე ვილიდან ივანიშვილი პირადი ქონებიდან, ყოველწლიურად, 100 მილიონ დოლარს ხარჯავს ისტორიული ძეგლების აღდგენაზე, ქართული უნივერსიტეტების პროფესორების, თეატრების დირექტორების და მსახიობების ხელფასებზე. **„ერთადერთი, რაც ჩვენს გასაჩერებლად სააკაშვილის ხალხმა არ გააკეთა, ისაა, რომ არ გვესროლეს“,** — მეუბნება ივანიშვილი, როდესაც საარჩევნო კამპანიას იხსენებს. ყოველ დილით, მიყვება ის, 5 საათზე დგება, მერე იოგას სისტემით ვარჯიშობს, რათა ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური ბალანსი შეინარჩუნოს. ვკითხე, როგორ ფიქრობს, იპარავდა თუ არა ფულს სააკაშვილი. **„ბიუროკრატიის საშუალო და დაბალ ფენებში კორუფცია არ იყო, მაგრამ კორუფცია ელიტაში ასობით მილიონობით დოლარს უტოლდებოდა“,** — მითხრა მან.

მე დღესაც მახსოვს ბნელი ზამთრის ღამეები საქართველოს მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, ათი წლის წინ. ცუდად ჩაცმულ დემონსტრანტებს გადაკეტილი ჰქონდათ გზა, რომელზეც, ძირითადად, ჭუჭყიანი საბჭოთა „ლადები“ დადიოდნენ. ისინი წვიმაში საათობით იდგნენ, სამუშაო ადგილებს, გათბობით და ელექტროენერგიით მომარაგებას ითხოვდნენ. ტურიზმი? დაივიწყეთ! ადგილობრივი კრიმინალური ბანდები ისე ეფექტურად აკონტროლებდნენ დედაქალაქს, რომ ადგილობრივებიც კი ვერ ბედავდნენ საღამოობით თავიანთი უბნის გარეთ გასვლას. პოლიციელები კალაშნიკოვის ავტომატებს ატარებდნენ. ერთადერთი ადგილი, სადაც კარგ ცხელ აბაზანას მიიღებდი, თბილისის გოგირდის აბანოები იყო, ძველებური თბილისური აბანოები თაღოვანი სახურავის ქვეშ. მახსოვს ჩემი სტუმართმოყვარე მასპინძლების დარცხვენილი ღიმილი იმის გამო, რომ ამ სევდიან წლებში, ცხელ წყალს ვერ მახვედრებდნენ. ტრადიციული შინაური ღვინის გარდა, მათ მხოლოდ გამხმარი პურითა და რამდენიმე დამჭკნარი ვაშლით შეეძლოთ გამასპინძლება.

დღეს რუსთაველი განათებასა და კომფორტშია ჩაფლული. ელეგანტური ლამპიონები და ფლეიტიანი ანგელოზების ლამაზი სკულპტურები ამშვენებენ სუფთა გამზირს. უცხოელი ტურისტები მყუდრო რესტორნებში ცოცხალ მუსიკას უსმენენ. შარშან საქართველოს საზღვარი 4.4 მილიონმა ტურისტმა გადმოლახა, რადგან ძალიან უნდოდათ, თვალი შეევლოთ ამ სწრაფად განვითარებადი ქვეყნისთვის (საქართველოს მოსახლეობა 4.5 მილიონია).

მაგრამ ტურიზმით საქართველოს ყველა მხარემ როდი იხეირა. იმისთვის, რომ გამეგო, როგორ აისახა ხელისუფლების შეცვლა საქართველოს უბრალო მოქალაქეების ცხოვრებაზე, ივანიშვილის მშობლიური სოფლისკენ, ჭორვილასკენ მიმავალმა, იმერეთის ერთ-ერთ სოფელში შევიარე. შუადღე იდგა, სამუშაო საათები, კაცების დიდი ჯგუფი უსაქმოდ იყო. მათ, დასახელებული ციფრების სიდიდის გამო, პერვერსიული სიამაყით მაცნობეს, რომ უმუშევრობა სოფელში 100%-ს უდრის. **„ივანიშვილმა საქართველოს ბიუჯეტზე მეტი ფული იშოვა და მიშა დაამარცხა. ასე რომ, მოიფიქრებს, როგორ შექმნას სამუშაო ადგილები“,** — მეუბნება გურამი, საშუალო ასაკის კაცი დიდი ღიპით. სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ფონდი, რომელიც ივანიშვილმა შექმნა, 606 მილიონ დოლარს უდრის. ეს ფონდი პირობას დებს, რომ დაბალპროცენტიან სესხებს მისცემს გლეხებს, რათა მათ გამოაცოცხლონ ორგანული ბოსტნეულისა და ხილის მოყვანის ქართული ტრადიცია.

როდესაც სააკაშვილს ინტერვიუსთვის მის რეზიდენციაში შევხვდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნამდვილად არ ესალმება საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოცოცხლების ივანიშვილისეულ ძალისხმევას. რაღაც მომენტში, პრეზიდენტმა საუბარი შეაჩერა და ტელევიზორში ახალ ამბებს შეხედა – ამ დროს გადმოსცემდნენ სიუჟეტს იმაზე, როგორ გახსნა ახალი სათხილამურო კურორტი. ტურიზმი ყოველთვის იყო სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვნება. ძალიან უყვარს საკუთარ იმ რეფორმებზე ლაპარაკი, რომელთა გამოც, მისი თქმით, გაიზარდა ვიზიტორების რიცხვი. როდესაც ის თანამდებობაზე მოვიდა, ტურისტების რაოდენობა წელიწადში 120 000 იყო. ივანიშვილმა პრიორიტეტები შეცვალა. **„მათ ხუთი ახალი ოტელის მშენებლობა შეაჩერეს აჭარაში, და ამ რეგიონის ბიუჯეტი სამჯერ შეკვეცეს“,** — მითხრა სააკაშვილმა. ის ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ზრდა 6%-დან ნულამდე დაეცა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა. **„ივანიშვილმა თქვა, რომ პირველი წელი მძიმე იქნება, მაგრამ არ მესმის რატომ გაჩერდა საერთოდ ეკონომიკური ზრდა“.**

უნდა ითქვას, რომ დაძაბულობის შექმნაში სააკაშვილმაც შეიტანა წვლილი. გასულ თვეშია, როდესაც ათასობით ქართველი შეიკრიბა თბილისის მთავარ მოედანზე მისი გადადგომის მოთხოვნით, პრეზიდენტმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვა წარმოთქვა და ივანიშვილის მთავრობას თავისი პარტიული კოლეგების დაპატიმრებისთვის დაესხა თავს. ლაურენს შითსი კრიზისის საერთაშორისო ჯგუფიდან სხვა ხატ-სურათს გვთავაზობს, რომელიც ზუსტად აღწერს ამჟამინდელ სიტუაციას. ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი საქართველოს ლიდერების კოჰაბიტაცია, ამბობს ის, **„წააგავს ორი, ერთმანეთისადმი სულ უფრო მტრულად განწყობილი, საკანში გამომწყვდეული მეტოქის იძულებით ქორწინებას“.** სამწუხაროა, მაგრამ ცოტა ხანში მას მერე, რაც მე თბილისიდან წამოვედი, კონფლიქტი ღია კონფლიქტში გადაიზარდა – ივანიშვილის მხარდამჭერების მასა თავს დაესხა მიშას თანაპარტიელების ჯგუფს, რასაც ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა და რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ივანიშვილის აქტივისტები ახლა იმუქრებიან, რომ ალყას შემოარტყამენ პრეზიდენტის რეზიდენციას და მას რეალურად აქცევენ თავის სასახლეში გამომწყვდეულ ტუსაღად. ვითარება დღეს ისეთია, რომ ამ ზღაპარს ბედნიერი დასასრული, ალბათ, ვერ ექნება.

***http://foreignpress.ge/***

## ვერსიანიუსი

### დეპუტატებს პარლამენტში დაკითხავენ



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, პროკურატურა იძულებულია, დეპუტატები პარლამენტში დაკითხოს. თუ პარლამენტარები ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებით და პროკურატურაში არ მიდიან, პროკურატურა თვითონ მივა პარლამენტში.

**„თვითონ ამბობენ პროკურატურაში მოსვლაზე უარს. თუ ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები თავს არიდებენ დაკითხვაზე მოსვლას, პროკურატურა ვერ დაიწყებს პაექრობას და აქედან გამომდინარე, თავად მივა დასაკითხად პარლამენტში“,** — აცხადებს წულუკიანი და იმასაც დასძენს, რომ პროკურატურა მოქმედებს კანონით დადგენილი წესებით. იმისთვის, რომ ჩაატაროს გამოძიება, ვალდებულია, დეპუტატებს რამდენჯერმე გაუგზავნოს დაკითხვაზე მოწვევა.

თეა წულუკიანს არ დაუკონკრეტებია, როდის დაიკითხებიან ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები პარლამენტში.

***„ინტერპრესნიუსი“***

### გაფიცვა ხაშურის სალიანდაგო სამმართველოში



ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს 800-მდე თანამშრომელი გაიფიცა. გაფიცული მუშა-მოსამსახურეები ხელფასების მომატებასა და წლების წინ არსებული შეღავათების აღდგენას ითხოვენ.

აღნიშნული სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული ზესტაფონი-გორის მონაკვეთი ამ დროისთვის მუშა-მოსამსახურეების გარეშეა დარჩენილი.

გაფიცულები ავარიულ შემთხვევებს არ გამორიცხავენ, თუმცა ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას იხსნიან და აცხადებენ, რომ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე დეპარტამენტსა და სამმართველოს ხელმძღვანელობას უკვე აცნობეს.

ხაშურის სამმართველოს უფროსის, ზაზა ჭყოიძის თქმით, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა გაფიცულებთან შეხვედრას პარასკევამდე ვერ შეძლებს. სწორედ ამიტომ, იგი თანამშრომლებს სამუშაო ადგილებზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს. გაფიცულებისთვის ეს შეთავაზება მიუღებელია და მათი აქცია ხაშურის რკინიგზის სადგურთან გრძელდება.

***„ინტერპრესნიუსი“***



# ჰოროსკოპი
## 15 თებერვალი

***ვერძი*** — ვერძებს დღეს შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მათი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ. გამოავლინეთ შემოქმედებითი აზროვნება და ნუ მოგერიდებათ ხუმრობის.

***კურო*** — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლების ახალი წყაროების ძიება. ყურადღებით იყავით ურთიერთობისას და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

***ტყუპები*** — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს ან ახლობლებს და მაშინვე მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს.

***კირჩხიბი*** — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ფრონტზეც. შეგიძლიათ კარდინალურად, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. დადგა დრო, გადაწყვეტილების მიღებისა.

***ლომი*** — ლომებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და სიფრთხილე არ დაივიწყოთ. ნუ მიახარჯავთ ერთბაშად მთელ თანხას უსარგებლო ნივთებში. თავი ხელში აიყვანეთ და გონებას მოუხმეთ.

***ქალწული*** — ქალწულებს შეუძლიათ, დღეს საკუთარი პროექტების ნახევარი მაინც, რეალობად აქციონ. თქვენთვის საქმიანობის ისეთი ახალი მიმართულებები გამოჩნდება, რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ — მატერიალურ კეთილდღეობასა და მორალურ კმაყოფილებას.

***სასწორი*** — სასწორებს დღეს ფინანსური სირთულე ელით. შესაძლოა, დიდი თანხა დახარჯოთ გაუთვალისწინებელ ნივთებზე ან ძველი ვალი დააბრუნოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელოდებათ და სიტუაციაც თქვენთვის სასიკეთო მიმართულებით შეიცვლება.

***ღრიანკალი*** — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. პროფესიულ სფეროში გარკვეული გამოცოცხლებაა. შესაძლოა, სხვა საქმით დაკავდეთ ან სხვისი მოვალეობები შეასრულოთ. მოთმინება და პატიოსნება ყველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს შეიძლება მოულოდნელად, მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ იმ წყაროდან, რომლის იმედიც საერთოდ არ გქონდათ. სასიამოვნოდ გაგაოცებთ ძველი ნაცნობიც, რომელიც ღირსეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენი სურვილის რეალიზებაში, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე აუხდენელი ოცნება გეგონათ.

***თხის რქა*** — სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და საიმედო ნოტზე დასრულდება. ახლა სწორედ შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწყენინათ ან ვისაც აწყენინეთ. იყავით გულღია და პატიოსანი.

***მერწყული*** — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელით: დიდი გამოფენა, ბაზრობა ან კარგი კონცერტი. შეგიძლიათ, იმედი იქონიოთ არა მხოლოდ იმაზე, რომ დროს კარგად გაატარებთ და ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებთ, არამედ იმაზეც, რომ ახალ ადამიანებს გაიცნობთ ან ძველ მეგობარს შეხვდებით.

***თევზები*** — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. უჩვეულო აზრები და ორიგინალური იდეები თავში გიღიტინებთ და გამოსვლას ითხოვს. როგორ განკარგავთ მას, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თუ თქვენი ნოვატორული გეგმების გამოსაყენებლად ვერაფერს მოიფიქრებთ, გაუზიარეთ ის კოლეგებს ან მეგობრებს.

# ინტერნეტში შესაშინებელი ფოტოების განთავსება აკრძალეს

აშშ-ს ტენესის შტატის ახალი კანონის თანახმად, „გამოსახულების გადაცემა ან განთავსება" ინტერნეტში, რომელსაც ადამიანის შეშინება ან განაწყენება შეუძლია, ამიერიდან, დანაშაულად მიიჩნევა. უსიამოვნო სურათების გამოქვეყნებაზე აკრძალვას, რომელსაც შტატის გუბერნატორმა მოაწერა ხელი, უკვე არსებულის კანონის დამატებაა. უფრო ადრე, ტენესის ხელისუფლებამ დანაშაულად გამოაცხადა სატელეფონო ზარები, ელექტრონული წერილები და ასევე უშუალო კონტაქტებიც, რაც შეგნებულად „მორალურ ზიანს აყენებს" ადრესატს. თუ ასეთ ურთიერთობაში „კანონიერი მიზანი" არ დევს, ადამიანს პატიმრობა ემუქრება. ახლა კი ამ აკრძალვებს სურათებიც დაემატა. თანაც, აღნიშნავენ, რომ შესაშინებელი გამოსახულების პოტენციური მსხვერპლი არა მხოლოდ მისი ადრესატი, არამედ ნებისმიერი ადამიანია, რომელიც მას თვალს შეავლებს.




**შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საფარი"**

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები.

მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**






ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 8 | 3 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 |
| 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 8 | 4 | 2 | 9 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 8 | 1 | 3 |
| 2 | 3 | 5 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 8 |
| 6 | 8 | 4 | 9 | 2 | 3 | 5 | 7 | 1 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 9 | 2 | 4 | 8 | 3 | 5 | 7 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 3 | 4 | 9 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 5 | 7 | 9 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 9 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 7 | 4 |
| 3 | 4 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 8 | 9 |
| 2 | 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 5 | 6 | 3 |
| 9 | 2 | 3 | 7 | 1 | 6 | 8 | 4 | 5 |
| 8 | 5 | 6 | 9 | 2 | 4 | 7 | 3 | 1 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 8 | 5 | 9 | 2 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 9 |
| 4 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 6 | 8 | 7 |
| 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 8 | 3 | 5 | 1 |
| 6 | 4 | 3 | 8 | 1 | 2 | 9 | 7 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 3 | 9 | 4 | 6 | 2 |
| 9 | 3 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 2 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 1 | 6 |
| 8 | 2 | 1 | 4 | 6 | 5 | 7 | 9 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 7 | 4 | 8 | 6 | 5 | 1 | 2 |
| 5 | 6 | 2 | 1 | 9 | 3 | 4 | 8 | 7 |
| 1 | 8 | 4 | 7 | 5 | 2 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 5 | 9 | 3 | 1 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 2 | 7 | 6 | 5 | 9 |
| 2 | 5 | 6 | 3 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 6 | 8 | 2 | 4 | 3 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 |



# ჰოროსკოპი
## 16 თებერვალი

***ვერძი*** — ვერძებისთვის დღეს არც ისე სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა და გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული სამუშაოთი დაკავდეთ. მშვიდად დააკვირდით მოვლენებს, რაც ქვენს ირგვლივ ხდება.

***კურო*** — დღეს, შესაძლოა, ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყავით, გარშემომყოფებისგან ეჭვიანობა ან წყენა რომ არ დაიმსახუროთ. მეტი იმოძრავეთ და ფიზიკურ დატვირთვას თავს ნუ აარიდებთ.

***ტყუპები*** — აუჩქარებელი ნაბიჯით მოასწრებთ იქ მისვლას, სადაც სხვები მიიჩქაროდნენ და ხშირად აგვიანდებოდათ. იოცნებეთ, იმოქმედეთ, შექმენით! შესაძლებლობა გეძლევათ, ხელსაყრელი ფინანსური ოპერაციით მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესოთ.

***კირჩხიბი*** — ახალი წლების კალეიდოსკოპმა თქვენი ცხოვრების ემოციური სფერო გადატვირთა. დროა საჭირო, რომ ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდეთ. ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას და ახლობლების რჩევაც აუცილებლად გაითვალისწინეთ.

***ლომი*** — დღეს მომხდარი მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით საკუთარ თავს, ცოტა წაიზარმაცოთ. ეს დღე სასარგებლო კონტაქტების დამყარებას დაუთმეთ. შესაძლოა, უცხოელი სტუმარიც მიიღოთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის მირაჟებისა და ილუზიების დღეა. გეგმები და დაპირებები, შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს. მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ, უკეთეს დროს დაელოდეთ.

***სასწორი*** — შექმნილი ვითარება იმ საქმეში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და ცხოვრებაში მისი რეალურად განხორციელება დაიწყეთ.

***ღრიანკალი*** — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დასახულ საქმეს დაასრულებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემათ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა. გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ. მაგრამ ნუ ინერვიულებთ, ასე არ არის, უბრალოდ, მოწყენილი და სევდიანი დღეა.

***მშვილდოსანი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები დღეს მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, ცოტა საქმეც გადაგღალოთ. მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

***თხის რქა*** — დღეს ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

***მერწყული*** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელის მადლიერი იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის ცოტა მოთმინებაა საჭირო. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გარკვევას ნუ შეეცდებით, ამისთვის შესაფერისი დღე ნამდვილად არ არის.

***თევზები*** — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები, მეტად — გონიერი პრაგმატიზმი. საქმე საქმედ, მაგრამ ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ, გაიხსენეთ, ოფისისა და სახლის გარდა, ბოლო დროს, სადმე თუ იყავით?

# ტორტზე სანთლების ჩაქრობა საშიშია?



„მწვანე კონტინენტზე“ მალე ბავშვებს დაბადების დღის ტორტზე სანთლების ჩაქრობას აუკრძალავენ. ამ ხერხით ავსტრალიაში საშიში მიკრობების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ. ადგილობრივმა სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ფილტვებიდან ჰაერის გამოდევნისას, ბავშვები მიკრობების გავრცელებას უწყობენ ხელს, რომელიც შესაძლოა, ტორტზე მოხვდეს. გარდა ამისა, მკვლევარები მშობლებს საბავშვო დღესასწაულებზე შვილის გაშვებას ინდივიდუალური ჭურჭლით ურჩევენ. ამ ინიციატივამ, რომელიც ავსტრალიის ჯანდაცვისა და სამედიცინო კვლევების საბჭოს ეკუთვნის, მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია. მათი აზრით, ეს ინიციატივა დღესასწაულებს მოსაწყენ შეკრებად აქცევს.

# საპონი ფულის სუნით




ამერიკელმა გამომგონებელმა, 27 წლის ადამ ანდერსონმა უჩვეულო სუნის მქონე საპონი შექმნა, რომელსაც ყავის, ღვინის, მარიხუანას, კვამლისა და ფულის არომატიც აქვს. როგორც ნებრასკელი ახალგაზრდა აცხადებს, ყოველთვის ოცნებობდა, შეექმნა საპონი „ნამდვილი მამაკაცებისთვის“. ამასთან ამბობს, რომ ძალიან მობეზრდა „ქალების არომატიანი“ საპნით ხელების დაბანა, რომელსაც სხვადასხვა ყვავილის სურნელი ასდის. ადამმა საკუთარი სამზარეულო ქიმიურ ლაბორატორიად აქცია და უამრავი ექსპერიმენტის შემდეგ, სასურველ მიზანსაც მიაღწია. ანდერსონმა განსხვავებული არომატის სულ 20 ჰიგიენური საშუალება დაამზადა, ერთ-ერთი კი ქარვისფერი სასმელის სუნითაც გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ანდერსონის შექმნილი პროდუქტი საკმაოდ ძვირი ღირს, ის მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ვისაც სურს, გასუფთავდეს ამ უჩვეულო საპნით, რომელსაც „მამაკაცის ხელები“ ჰქვია, ერთ ცალში 7 დოლარის გადახდა მოუწევს.

# ჩინელებს „ბოიფრენდების“ მიქირავებას სთავაზობენ

ჩინელმა მეწარმეებმა ქვეყნის მარტოხელა მანდილოსნებს „მეორე ნახევრის“ პრობლემის მოგვარება ახალი სერვისით — „ბოიფრენდი გაქირავებით“ შესთავაზეს. ასეთი ახალგაზრდის მომსახურება ძვირი არ იქნება — დაახლოებით 50 დოლარი დღე-ღამეში, თუმცა, ინტიმი შეთავაზებულ მომსახურებაში არ შედის. „ბოიფრენდებზე“ განსაკუთრებული მოთხოვნა დღესასწაულებზეა, რადგან მათ, ტრადიციულად, ოჯახურ წრეში აღნიშნავენ. ბევრ გოგონას სურს, მშობლებს აჩვენოს, რომ მას ჰყავს საყვარელი მამაკაცი. ამ ახალი სერვისის პრაის-ლისტი კი ასეთია: ბოიფრენდთან ერთად ვახშმობისთვის კლიენტმა საათში ხუთი დოლარი უნდა გადაიხადოს, თანაც, საღამოც მისი ჯიბიდან ფინანსდება. ლოყაზე ერთი კოცნა გოგონას რვა დოლარი დაუჯდება, სრული სადღესასწაულო საღამო კლიენტის ოჯახთან ერთად 80 დოლარი ღირს. თუკი გოგონა მოისურვებს, ახალგაზრდა მამაკაცმა მასთან ღამე გაატაროს, ამ სურვილის ასრულებაში მას 90-95 დოლარის გადახდა მოუწევს. ამასთან, „ბოიფრენდს“ დასაძინებლად ცალკე საწოლი უნდა გაუმზადოს. შეთავაზებულ სერვისებში ინტიმური მომსახურება არ შედის.



# გინება ტკივილს გაგიყუჩებთ



სწავლულები ნისლიანი ალბიონიდან ირწმუნებიან, რომ გინებას ტკივილის გაყუჩება შეუძლია. ის განსაკუთრებულ ეფექტს იმ ადამიანებზე ახდენს, რომელთა ლექსიკაშიც უცენზურო სიტყვები საერთოდ არ არსებობს. ამის დასამტკიცებლად მეცნიერებმა სპეციალური კვლევა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათეული ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს — პირველში ისინი მოხვდნენ, ვინც არასოდეს იგინება, მეორეში კი ის მოხალისეები, ვინც დღეში 60-ჯერ მაინც ხმარობს უცენზურო სიტყვებს. მათი გამოცდა ყინულივით ცივ წყალში ხელების ჩაყოფა იყო მანამდე, ვიდრე ტკივილი გაუსაძლისი გახდებოდა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სალანძღავი სიტყვების გამოყენებით, პირველი ჯგუფის წევრებმა არა მხოლოდ 2,5 წუთით მეტხანს გაძლეს ცივ წყალში, არამედ ტკივილსაც ადვილად გაუმკლავდნენ. სწავლულები განმარტავენ, რომ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად არ იგინებიან, უცენზურო სიტყვების წარმოთქმისთანავე, უაქტიურდებათ ემოციებსა და გრძნობებზე პასუხისმგებელი ტვინის უჯრედები. მათ კი, ვის ლექსიკაშიც გინება იშვიათობა არ არის, ეს უჯრედები ნაკლებად აქტიური აქვთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 7 | | | 4 | |
| | 3 | 5 | 8 | | | | 1 | |
| | 6 | 4 | | | 1 | 3 | | |
| | | 6 | | | 7 | | | 5 |
| | | | | | | | | |
| 4 | | | 2 | | | 1 | | |
| | | 1 | 9 | | | 8 | 7 | |
| | 8 | | | | 3 | 4 | 5 | |
| | 4 | | | 1 | | | | 3 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 8 | | | | 4 | 5 |
| | 4 | | | | 1 | | 9 | 7 |
| | | | | 9 | 5 | 3 | | |
| | | | 6 | | | 2 | | |
| | 6 | | | | | | 1 | |
| | | 3 | | | 9 | | | |
| | | 6 | 5 | 4 | | | | |
| 7 | 1 | | 9 | | | | 6 | |
| 3 | 9 | | | | 7 | | | 2 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 5 | | | | |
| | | | | | 9 | 7 | 6 | |
| 7 | | 5 | | 1 | 8 | 2 | | |
| 4 | 8 | | | | | | | 7 |
| | 2 | | | | | | 1 | |
| 1 | | | | | | | 8 | 9 |
| | | 2 | 1 | 4 | | 9 | | 8 |
| | 3 | 1 | 5 | | | | | |
| | | | | 6 | | | 5 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 6 | 8 | | 5 | 3 | | |
| | | | | 1 | | | | |
| 1 | | | 3 | | | | 6 | |
| | | | | 2 | | | | 4 |
| | 2 | | 1 | | 9 | | 7 | |
| 9 | | | | 5 | | | | |
| | 6 | | | | 4 | | | 2 |
| | | | | 3 | | | | |
| | | 1 | 9 | | 6 | 8 | 4 | |



# კაბა, რომელიც აღგზნებისას ქრება

ნიდერლანდელმა მოდელიორ-ნოვატორმა დაან როზეგარდესმა კაბა შექმნა, რომელიც გამჭვირვალე ხდება, როცა მისი პატრონი სექსუალურ აღგზნებას განიცდის. გაუმჭვირვალე რჩება მხოლოდ კაბის ქვედა ნაწილი, რომელიც ფოლგითაა დაფარული. ზედა მხარე კი, რაც მკერდს ფარავს, ტყავისა და ეგრეთ წოდებული, ელექტრონული ფირფიტებისგანაა დამზადებული. გარკვეულ მომენტში ის აღარ ფარავს ქალის მკერდს. კაბას Intimacy 2.0 უწოდეს. მისი ავტორი დარწმუნებულია, რომ ასეთი შესამოსელის კონვეიერული გამოშვება გამართლებული იქნება, რადგან ადამიანებს არცთუ იშვიათად სურთ, საკუთარი განცდები ტანსაცმლით გამოხატონ.



# ყველაზე ექსტრაორდინარული მერი

მსოფლიოში ყველაზე „მაგარ“ მერს არასოდეს უსწავლია უმაღლეს სასწავლებელში. ამ საპატიო თანამდებობის დაკავებამდე, ტაქსის მძღოლად მუშაობდა, ადგილობრივი პანკ-ჯგუფის წევრიც იყო და მოგვიანებით, კომიკოსი-მსახიობი გახდა, თუმცა ეს არ არის იიონ გნარის მიღწევების სრული ჩამონათვალი, ადამიანისა, რომელიც სასწაულებრივად გახდა ისლანდიის დედაქალაქის — რეიკიავიკის მერი. იიონს ჯერ კიდევ ბავშვობაში დაუსვეს გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზი, თუმცა ამან ვერ შეაფერხა მისი გამარჯვებით სვლა ხელისუფლებისკენ. 2010 წელს მან დააფუძნა პოლიტიკური პარტია მარტივი, მაგრამ ეფექტური სახელწოდებით „ყველაზე კარგი პარტია“ და ქალაქის თავის არჩევნების პირველივე ტურში გამარჯვება მოიპოვა — ამომრჩეველთა ხმების 34,7% დააგროვა. გნარის პარტიის რიგებს ავსებენ მხატვრები, კომედიანტები და პანკები. უნიკალური ჰქონდათ საარჩევნო დაპირებების ლოზუნგებიც, ისინი რეიკიავიკის მოსახლეობას საცურაო აუზებზე უფასოდ შესვლასა და უფასო პირსახოცებს ჰპირდებოდნენ, ასევე „დისნეილენდს“ ბავშვებისთვის დედაქალაქის აეროპორტში. მათი მოწოდებები იყო: არც ერთი ნარკომანი მთავრობაში 2020 წლისთვის. ასევე ამომრჩევლებს ჰპირდებოდნენ, რომ გაითვალისწინებდნენ მოხუცებისა და ქალების მოსაზრებებს.

# მსოფლიოს ყველაზე საშიში ქალაქები




მექსიკურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ რეიტინგი შეადგინა, რომელშიც პლანეტის 50 ყველაზე საშიში ქალაქი შეიტანა. სიას სათავეში, უკვე მეორედ, ჰონდურასის ქალაქი სან-პედრო-სულა უდგას. ყოველწლიურად აქ, 100 ათას მოსახლეზე 169 განზრახ ჩადენილი მკვლელობა მოდის. სახელგანთქმულ მექსიკურ კურორტს, აკაპულკოს ექსპერტებმა მეორე ადგილი მიანიჭეს — წელიწადში, 100 ათას ადამიანზე 143 მკვლელობა. ამ ანტირეიტინგის ლიდერთა სამეულში შევიდა ვენესუელას დედაქალაქი კარაკასი, წელიწადში 119 მკვლელობით. ჰონდურასის დედაქალაქის ოლქმა და მექსიკურმა ტორეონმა შესაბამისად, მე-4 და მე-5 ადგილები დაიკავეს. ანალიტიკოსების განცხადებით, ყოველ კონკრეტულ ქალაქში სიტუაცია იმაზეა დამოკიდებული, ადგილობრივი ხელისუფლება რა ძალისხმევას ახმარს დანაშაულთან ბრძოლას, მაგალითად, კიდევ ერთი მექსიკური ქალაქი სიუდად-ხუარესი 2011 წელს ამ რეიტინგში მეორე ადგილზე იყო, ახლა კი მან მე-18 საფეხურზე ჩამოინაცვლა.

# ქველმოქმედება სიცოცხლეს ახანგრძლივებს



ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კეთილშობილება არა მხოლოდ მორალური ღირებულებაა, არამედ ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. გამოკვლევამ, რომელიც 800-ზე მეტ მოხალისეზე ტარდებოდა ხუთი წლის განმავლობაში, აჩვენა, რომ ვინც ახლობლებს ხშირად ეხმარება, გულგრილ ადამიანებზე დიდხანს ცოცხლობს. სწავლულებმა ისიც გამოარკვიეს, რომ კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანები სტრესულ სიტუაციაში მოხვედრისას, იშვიათად იღუპებიან. ასეთ სიტუაციად კი მკვლევარები მძიმე დაავადებებს, ძარცვას, ფინანსურ კრიზისსა და ახლობლების გარდაცვალებას გულისხმობენ. ექსპერიმენტის მონაწილეებს, ასევე მათ მეგობრებსა და ახლობლებს ეკითხებოდნენ, ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად ხშირად ეხმარებოდნენ ადამიანებს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც სხვის უბედურებას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით იზიარებს, სტრესს უკეთ უმკლავდებიან, ეს კი, თავის მხრივ, ავადმყოფობისა და სიკვდილის რისკს ამცირებს. სოციალური იზოლაცია და გულგრილობა კი პირიქით, ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე ნეგატიურად აისახება. ქველმოქმედი ადამიანები, როგორც წესი, მორწმუნეები არიან, რწმენა და ლოცვა კი მათ კრიზისული სიტუაციის გადატანაში ეხმარება, — აღნიშნავენ სწავლულები.




# ციხეში დარჩენას ითხოვს

ინდონეზიის პროვინცია აჩეხში, 20 წლის ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც რვათვიანი პატიმრობა აქვს მისჯილი ძარცვის მცდელობის გამო, სასჯელის ვადის გაგრძელებას ითხოვს. მისი თქმით, ციხეში ყოფნა ძალიან მოსწონს. საპატიმროში მან, ჯერჯერობით, სამი თვე გაატარა, სადაც მეზობლის გაქურდვის მცდელობის გამო მოხვდა. ვიდრე გისოსებსმიღმა აღმოვჩნდებოდი, საშინელი ცხოვრება მქონდა. კვირაში  მხოლოდ 4 დოლარამდე ფულს ვშოულობდი. ციხიდან გასვლის მერე მეშინია, ისევ უმუშევარი ვიქნები და ძველ ცხოვრებას დავუბრუნდები, — ასე ხსნის თავის სურვილს ახალგაზრდა პატიმარი. ის ახლა აპირებს, სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივროს.



# ჰოროსკოპი
## 17 თებერვალი

***ვერძი*** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, ეს ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს, შესაძლოა, საჩუქარიც მიიღოთ.

***კურო*** — დღეს იმის საშიშროებაა, რომ ილუზიებსა და თქვენსავე მოგონილ ტყუილებში გაეხვიოთ, მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

***ტყუპები*** — ეცადეთ, დღეს ისე არ მოიქცეთ, მერე ბოდიშის მოხდამ მოგიწიოთ. თავი შეიკავეთ ქიმიური საშუალებებისა და მექანიკური საგნების ხმარებისგან, რადგან დიდია ტრავმების ალბათობა. ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან ამ მხრივ, არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

***ლომი*** — ლომებისთვის წარმატებული დღეა. არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. სწორი გადაწყვეტილებების მისაღებადაც ეს დღეს აირჩიეთ. საღამოს თუ გარკვეულ დროს დასვენებას დაუთმობთ და ყველა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება. ცოტა ხნით მარტოობაც სასარგებლოა.

***ქალწული*** — ამ დღეს შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ გარშემომყოფი ადამიანების შეცვლა, არამედ ახალი საქმიანობის დაწყებაც. ეს საქმე კი ძალზე საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჰარმონია პარტნიორულ ურთიერთობებში.

***სასწორი*** — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან იმ სიტუაციაში, რომელშიც აღმოჩნდებით, ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა, თუმცა საიმედო მოკავშირეებს იპოვნით და მათი დახმარებით, მიზანსაც მიაღწევთ.

***ღრიანკალი*** — დღეს კარგი განწყობა და ხასიათი საქმეშიც შეგეტყობათ და რომანტიკულ ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის, თუმცა ნურც დასვენებაზე იტყვით უარს, მით უმეტეს, რომ დღეს საკუთარი თავის სიამოვნება და ახლობლებისთვის ფულის ხარჯვა ძალიან მოგწონთ, ჰოდა, თავს ნუ შეიზღუდავთ ამ საქმეშიც.

***მშვილდოსანი*** — დღეს მშვილდოსნების წარუმატებლობის ხანა დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს. ბევრი სასიამოვნო წუთი გელით — მეგობრებთან გართობა, მომხიბლავი ადამიანის ვიზიტი და მომგებიანი ფინანსური ოპერაციები. თქვენც დატკბით ცხოვრებით და გაჭირვებულებსაც დაეხმარეთ.

***თხის რქა*** — დღეს გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. დინებას მიჰყვებით და ამის გამო, საკმაოდ ნერვიულობთ, თუმცა შექმნილი ვითარება არც ისე რთულია, როგორც გეჩვენებათ.

***მერწყული*** — მერწყულებმა აქცენტი დღეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ. ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა შოპინგისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. დღეს შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც დიდი ხანია არ ელაპარაკებით. პირველმა გადადგით ნაბიჯი შერიგებისკენ და ნახავთ, როგორ სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ.

***თევზები*** — ნებისმიერი მოკრების და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც დღევანდელი დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატაროთ.

## ამინდის პროგნოზი

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თბილისი | +11 | +12 | +13 |
| ქუთაისი | +22 | +13 | +10 |
| ბათუმი | +23 | +13 | +11 |
| სოხუმი | +21 | +11 | +8 |

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თელავი | +11 | +11 | +12 |
| გუდაური | +4 | +1 | -1 |
| ბაკურიანი | +5 | -4 | -4 |
| მესტია | +5 | 0 | -3 |



# კინემატოგრაფები ნუკრი ქანთარიას კინოსექტორის რეფორმირების იდეას სახიფათოს უწოდებენ



კინემატოგრაფები, ნუკრი ქანთარიას იდეას კინოსექტორის რეფორმირებასთან დაკავშირებით, რომელიც ეროვნული კინოცენტრისა და კინოსტუდია ,,ქართული ფილმის" გაერთიანებასაც გულისხმობს, მოცემულ რეალობაში სახიფათოსა და აბსურდულს უწოდებენ. ასეთი შეფასება საქართველოს კინოკავშირის ხელმძღვანელმა, ელდარ შენგელაიამ და კინოკავშირისა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებმა გააკეთეს.

კინემატოგრაფების განცხადებით, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე არასწორად იქნა გაგებული და ჩამოყალიბებული კანონში ცვლილების არსი.

ამასთან, კინემატოგრაფისტებმა ნუკრი ქანთარიას მხრიდან არაობიექტურ დამოკიდებულებაზე ისაუბრეს და კომიტეტის სხდომის ვიდეოჩანაწერი წარმოადგინეს, სადაც დეპუტატი ქანთარია ელდარ შენგელაიას მოიხსენიებს ნაციონალური მოძრაობის აქტიურ წევრად და აცხადებს, რომ სწორედ „ნაცმოძრაობის" მმართველობის დროს განადგურდა საქართველოში ბევრი რამ, რაც ქართველ კინემატოგრაფს ეხებოდა.

როგორც თავად ელდარ შენგელაიამ აღნიშნა, ,,ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში, დანაპირები, რომელსაც ისინი ხალხს აძლევდნენ, მისაღები იყო, თუმცა იყო ბევრი უარყოფითი მოვლენებიც, რომლის მაგალითადაც შენგელაიას 7 ნოემბერი მოჰყავს.

**„ვწუხვართ, რომ არ იყო სწორად გაგებული და ჩამოყალიბებული კანონპროექტის არსი. ასევე დისკუსიის მსვლელობის დროს ბატონ ნუკრი ქანთარიას მიერ გაჟღერდა მეტად სახიფათო იდეები კინოსექტორის მომავალი რეფორმირების შესახებ. სამწუხაროდ, უტაქტოდ და არაობიექტურად იყვნენ მოხსენიებულნი როგორც ბატონი ელდარ შენგელაია, ასევე კინოცენტრის თანამშრომლები და ზოგადად, კინოცენტრის, როგორც სტრუქტურის მოღვაწეობა",** — განაცხადეს კინოს სახლში შეკრებილმა კინემატოგრაფისტებმა.

რაც შეეხება ნუკრი ქანთარიას მიერ გაჟღერებულ რეფორმირების პროექტს. კინემატოგრაფისტები მიიჩნევენ, რომ პროექტი ეროვნული კინოცენტრის გაერთიანების შესახებ კინოსტუდია ,,ქართულ ფილმთან" არსებული კანონის დარღვევაა.

**„ზოგადად, ეს იდეა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით აბსურდულად ჟღერს. საქართველოში არსებული დამოუკიდებელი სტუდიები აწარმოებენ დამოუკიდებელ პროდუქციას, რომელიც ყოველწლიურად ფინანსდება კინოცენტრის სუბსიდიით, კონკურსის საფუძველზე და მათ თანაბარი უფლება აქვთ, მიიღონ ეს სუბსიდია ისევე, როგორც კინოსტუდია ,,ქართულ ფილმს". გარდა ამისა, მსგავსი რეფორმა სრულ კოლაფსში ჩააგდებს, ზოგადად, სექტორსა და მისი განვითარების პერსპექტივას. დღეს კინოსექტორი მუშაობს ევროპული მოდელის მიხედვით. ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომელთანაც ქართული დამოუკიდებელი მწარმოებლები შედიან კოპროდუქციაში, არსებობს ანალოგიური სტრუქტურა, რომელიც არეგულირებს ევროპული კონვენციის აღსრულებას",** — აცხადებენ კინემატოგრაფები.

***„ნიუსპოსტი"***

# გერმანიის წლის ყველაზე დებილი კრიმინალები ქართველები გახდნენ

გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ქართველი იუველირი, ალექსანდრე საგინაშვილი დააყაჩაღეს. გერმანული პრესის ცნობით, ყაჩაღები ქართველები იყვნენ.

მათ ოქრომჭედელი დააბეს და აწამეს, შემდეგ კი დანით დაჭრეს, თუმცა მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, ოქრომჭედელი საგინაშვილი სეიფის გახსნაზე უარს აცხადებდა. მისი ყვირილი მეზობელმა გაიგონა და პოლიციაში დარეკა.

როდესაც ყაჩაღები შენობიდან გამოვიდნენ, პოლიციას უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული საგინაშვილის სახლისთვის. შესაბამისად, ისინი მალევე დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ყაჩაღები გერმანიის სხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ, „ნაკოლის" მიღების შემდეგ.

გერმანულმა პრესამ მათ წლის ყველაზე „დებილი" კრიმინალები შეარქვა. შემთხვევა ვილი ბრანტ შტრასეს 21-ში მოხდა.

***პრესა.გე***




იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com